პარტნიორი მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 სექტემბერი **პარასკევი** 2011

№212 (13509) ფასი 1 ლარი




## ლელოს დღევანდელ ნომერში

რაგბის მსოფლიოს თასისადმი მიძღვნილი პოსტერი-კალენდარი

lariwin.com
the better way to play
მეტი ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“

# დღეს მსოფლიოს თასი იწყება





12

# ქართველებით აღფრთოვანებული პატარები და დამფრთხალი კურდღლები

ბესიკ ჯანგაველაძე ქვინზთაუნიდან



კორესპონდენტების როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ვაჟა სიმონიშვილი ვილნიუსიდან



რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი

# დასანანი მარცხი მაკედონიასთან

საქართველოს ნაკრებს ევრობასკეტზე მეოთხედფინალში გასვლის შანსი არ დაუკარგავს

10

# RUGBY WORLD CUP 2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

| გუნდი | A ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ | აღ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | | | | | | | | | | | |
| საფრანგეთი | | | | | | | | | | | |
| ტონგა | | | | | | | | | | | |
| კანადა | | | | | | | | | | | |
| იაპონია | | | | | | | | | | | |

| გუნდი | B ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ | აღ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | | | | | | | | | | | |
| ინგლისი | | | | | | | | | | | |
| შოტლანდია | | | | | | | | | | | |
| **საქართველო** | | | | | | | | | | | |
| რუმინეთი | | | | | | | | | | | |


არენა მანავატუ


რაგბი პარკი


ოტაგო სტედიუმი


ედენ პარკი


მაკლარენი


ნორს ჰარბორი

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| 09.09. ახ.ზელანდია-ტონგა | 12.30 |
| 10. 09. საფრანგეთი-იაპონია | 10.00 |
| 14.09. ტონგა-კანადა | 09.00 |
| 16.09. ახ.ზელანდია-იაპონია | 12.00 |
| 18.09. საფრანგეთი-კანადა | 12.30 |
| 21.09. ტონგა-იაპონია | 11.30 |
| 24.09. ახ.ზელანდია-საფრანგეთი | 12.30 |
| 27.09 კანადა-იაპონია | 08.00 |
| 01.10. საფრანგეთი-ტონგა | 09.00 |
| 02.10. ახ.ზელანდია-კანადა | 06.30 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| 10.09. შოტლანდია-რუმინეთი | 05.00 |
| 10.09. არგენტინა-ინგლისი | 12.30 |
| 14.09. საქართველო-შოტლანდია | 11.30 |
| 17.09. არგენტინა-რუმინეთი | 07.30 |
| 18.09. საქართველო-ინგლისი | 10.00 |
| 24.09. ინგლისი-რუმინეთი | 10.00 |
| 25. 09. არგენტინა-შოტლანდია | 11.30 |
| 28.09. საქართველო-რუმიენთი | 10.30 |
| 01.10. ინგლისი-შოტლანდია | 11.30 |
| 02.10. საქართველო-არგენტინა | 04.00 |

## მეოთხე

08.10

09.00 C1-D2

11.30 B1-A2

## ნახევარფინალი

| 15.10 12.00 | 16.1012.00 |
|---|---|
| C1/D2 | D1/C2 |
| B1/A2 | A1/B2 |

ფ

23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



## ომარ თეთრაძე:
# ჩემს აწყობილ ვოლგას უკვე შლიან
### გოგუა, ხოჯავა და სალუქვაძე ვოლგას ძირითადიდან მოკვეთეს

"ვოლგას" სამწვრთნელო შტაბმა სამი ქართველი ფეხბურთელი – გოგიტა გოგუა, გოჩა ხოჯავა და ლაშა სალუქვაძე ძირითადი შემადგენლობიდან მოკვეთა. თუმცა რუსული გაზეთი მომხდარის მიზეზს არ აკონკრეტებს. ამდენად, "ვოლგას" ქართველთა სამეული რუსეთის პრემიერლიგის 23-ე ტურში სტუმრად მახაჩყალის "ანჟისთან" ვერ ითამაშებს და ღმერთმა უწყის, საერთოდ ეს რამ გამოიწვია.

ჩვენთვის უცნობია რა მოხდა, თუმცა, ვფიქრობთ, საყურადღებო უნდა იყოს ამ კონტექსტში ინტერვიუ, რომელიც მცირე ხნის წინ თბილისში მყოფ ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ყოფილ მთავარ მწვრთნელ ომარ თეთრაძეს ჩამოვართვით.

**- თქვენი წამოსვლის შემდეგ "ვოლგას" მდგომარეობა გაუარესდა. რა გახდა თქვენი გაშვების მიზეზი?**

- გუნდში იყო უამრავი პრობლემა, რომელიც ჩემი წამოსვლით ვერ მოგვარდებოდა, რადგან ის თეთრაძის ბრალი არ იყო. ასეც მოხდა, როგორც ვიცი, დღემდე იგივე ვითარებაა, თუმცა დაკონკრეტება არ მსურს. ეგაა, რომ ეს ჩემი ჩამოყალიბებული გუნდი იყო და გული მწყდება, ვითარება რომ აირია.

**- "ვოლგას" პრემიერლიგის პოტენციალი არ ჰქონდა?**

- როგორ არ ჰქონდა. დარწმუნებულიც ვარ, რომ ჩემი შეკრებილი გუნდით ბევრის მიღწევა შეგვეძლო. ჩვენი მიზანი კი მხოლოდ პრემიერლიგაში დარჩენა იყო და ამას რამენაირად მოვახერხებდით.

**- და მაინც, რატომ გაგიშვეს?**

- ეს პრეზიდენტის გადაწყვეტილება იყო და ასე ამჯობინა. ეგონა, ეს გუნდისთვის უკეთესი იქნებოდა. საბოლოოდ, "ვოლგას" დატოვება თავადაც მოუხდა. მერწმუნეთ, გოიხმანზე ("ვოლგას" ყოფილი პრეზიდენტი) მე წყენა არ დამრჩენია; უბრალოდ, ბიჭების გამო ვწუხვარ, გუნდი ასეთ სავალალო მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა.

**- რუსეთში კარგად გიცნობენ და არსად გიწვევენ?**

- მიწვევები რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბებიდან მაქვს, მაგრამ ჯერ ვფიქრობ.

**- მიწვევებს პრემიერლიგიდან ელით?**

- რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება.

**- საქართველოში მუშაობა არავის შემოუთავაზებია?**

- აქ მხოლოდ დასასვენებლად ჩამოვედი, ეს იყო და ეს. მოლაპარაკება კი არავისთან მქონია.

**- თქვენი წამოსვლის შემდეგ ქართველ გულშემატკივარს საფიქრალი მოემატა, "ვოლგაში" ამდენ ქართველ მოთამაშეს დატოვებენ?**

- თუ "ვოლგაში" მიმდინარე მოვლენებს აკვირდებოდით, პროცესი უკვე დაწყებულია და ჩემი შეკრებილი გუნდის დაშლა დაიწყეს. წავიდა მარცვალაძე, მერე გოგუაც ტრანსფერზე იყო დაყენებული და მხოლოდ გაჭირვების გამო გახდნენ იძულებულები, დაებრუნებინათ. რას იზამ, ახალი მწვრთნელი შემადგენლობას თავისი გემოვნებით აკომპლექტებს.

**- ქართული კლუბების ევროთამაშები თუ ნახეთ?**

-"დინამო"-აეკ-ი ვნახე და ძალიან გამიკვირდა.

**- რა გაგიკვირდათ?**

- ჩემთვის მოულოდნელი იყო, რომ ქართული კლუბი ძლიერ ბერძნულ აეკ-ს თამამად რომ ეთამაშა. ჩემი აზრით, "დინამოს" ამ თაობას ასეთი დონის მატჩების გამოცდილება დააკლდა და ამიტომაც ვერ მოახერხეს მომენტების რეალიზაცია. იცით, ბერძნებმა რის ხარჯზე გაიმარჯვეს? მეორე ტაიმში ოდნავ უკეთესი კლასისა და რაც მთავარია, გამოცდილების ხარჯზე თამამად ითამაშეს და ნერვების ბრძოლაში გაიმარჯვეს. ასეთ მატჩებში კი ნერვების სიმტკიცე ძალიან ბევრს ნიშნავს.

**მერაბ მამულაშვილი**

**ვაზუსტებთ!**

„ლელოს" გუშინდელ ნომერში მე-3 გვერდზე გამოქვეყნებული წერილის „ტექნიკურ უნივერსიტეტში სტადიონი განაახლეს" პირველი აბზაცი უნდა იწყებოდეს ასე: „საქართველოს უნივერსიტეტის"...

ფსკ „დინამო" და ვეტერან სპორტსმენთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სპორტსმენთა დიდი მოამაგე და გულშემატკივარი

**დურმიშხან ცინცაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

ახლო ხედით. გიორგი ქიაბრიშვილი

# მაქსიმალისტი და გულახდილი

როგორც მოსალოდნელი იყო, **გიორგი ქიაბრიშვილი**, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი იყო, "ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 31 წლის სპეციალისტის კარიერაში თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო. გულშემატკივარი მას ნაკლებად იცნობს და ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიეთ, საქართველოს ჩემპიონთა ახალი თავკაცი შეძლებისდაგვარად ახლო ხედით წარმოგიდგინოთ.

ფართო საზოგადოებისგან განსხვავებით, გიორგის კარგად იცნობენ ზესტაფონელი ქომაგები და ადამიანური თვისებების გამო დიდ პატივსაც სცემენ. ასე რომ, ქიაბრიშვილი რამდენიმე წინამორბედისგან განსხვავებით, კომფორტულ მდგომარეობაშია – ადგილობრივი გულშემატკივრებისგან სრულ თანადგომას გრძნობს და თუ ამას კარგი შედეგებიც დაემატა, ზესტაფონში ქიაბრიშვილს ხელის გულზე ტარება გარანტირებული ექნება.

ქიაბრიშვილი ფეხბურთს ექვსი წლის განმავლობაში თამაშობდა, 13-დან 19 წლის ასაკამდე. ამპლუით ხან ნახევარმცველი იყო, ხან თავდამსხმელი. იყო "ვაკე 91"-ის, თსუ-ს, "გურიასა" და "გორდას" წევრი, **გაიოზ დარსაძის** ხელმძღვანელობით ითამაშა საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებში. 19 წლისა მიხვდა, რომ დიდ ფეხბურთს ვერ ითამაშებდა და სამწვრთნელო კარიერა საფეხბურთო სკოლა "საბურთალოში" დაიწყო, სადაც ჯერ ასისტენტი იყო, შემდეგ კი დამოუკიდებლად უძღვებოდა სხვადასხვა ასაკის გუნდებს.

*"ვფიქრობ, ბავშვთა ფეხბურთის ეტაპი ნებისმიერმა მწვრთნელმა უნდა გაიაროს, იმანაც, ვისაც დიდი ფეხბურთი უთამაშია. ამის გარეშე ვერც სამწვრთნელო მეთოდებს გაითავისებ და ვერც ფეხბურთელის ფსიქოლოგიას ჩაწვდები"*, - ასეთია ქიაბრიშვილის აზრი.

"საბურთალოს" შემდეგ იყო თბილისის "დინამოს" ბავშვთა აკადემია, სადაც "დინამოს" მაშინდელი მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე** ახლოს გაიცნო და მისი სიმპათიები და ნდობა დაიმსახურა. გეგუჩაძეს ბავშვთა მწვრთნელებთან მუდმივი კონტაქტი ჰქონდა და ქიაბრიშვილი კარიერულ წინსვლას სწორედ მას და "დინამოს" მაშინდელ სპორტულ დირექტორ **კახა ჭუმბურიძეს** უმადლის.

ამის შემდეგ გეგუჩაძემ "გაგრას" მიაშურა და ქიაბრიშვილი, როგორც მისი "გუნდის" წევრი, ამ კლუბში აღმოჩნდა. გიორგის "გაგრა 2" ჩააბარეს, ცოტა ხნით მთავარი გუნდის პირველი მწვრთნელიც იყო, რასაც ნახევარწლიანი უმუშევრობა მოჰყვა.

2008 წლის შემოდგომაზე გეგუჩაძე "ზესტაფონმა" მიიწვია და მასთან ერთად იმერულ კლუბში ქიაბრიშვილი, **დავით ჯანელიძე** და **გურამ ასპინძელაშვილი** მივიდნენ. გეგუჩაძე "ზესტაფონიდან" წავიდა, მისი "გუნდის" დანარჩენი სამი წევრი ადგილზეა და ქიაბრიშვილი ჯანელიძისა და ასპინძელაშვილის მნიშვნელოვან როლს ყოველთვის ხაზს უსვამს.

რამდენად მოულოდნელი იყო მისთვის ამხელა პასუხისმგებლობა და თუ არის მზად ახალი როლის შესასრულებლად? *"ყოველთვის მქონდა იმის ამბიცია, რომ მთავარ მწვრთნელად მემუშავა. რასაკვირველია, არ ველოდი, რომ ეს ტვირთი ასე უცაბედად დამეკისრებოდა, მაგრამ უარის თქმის დრო არ იყო და ბევრიც არ მიფიქრია – ცხოვრებაში ასეთი შანსი ბევრი არ გეძლევა და უნდა გამოიყენო. გია გეგუჩაძის ყოველთვის მადლიერი ვიქნები, მის წინაშე ყოველთვის ვალში ვიქნები და სწორედ მისგან შეძენილმა ცოდნამ გადამაწყვეტინა, რომ მისი ადგილი დამეკავებინა – დრო გვიჩვენებს, მივიღე თუ არა სწორი გადაწყვეტილება. დღეს კი ვფიქრობ, რომ ამ ტვირთისთვის მზად ვარ. იმასაც გავუსვამ ხაზს, რომ "ზესტაფონში" სხვა ასისტენტების მსგავსად აქამდეც მნიშვნელოვანი როლი მეკისრა, გეგუჩაძე არ ყოფილა დიქტატორი, მის სამწვრთნელო გუნდში ყველას თავისი მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა და ასე იქნება ჩემი მთავარი მწვრთნელობის დროსაც".*

ვინც ქიაბრიშვილის მიერ გაწვრთნილი "ზესტაფონი" უკვე ნახა, დაგვეთანხმება, რომ იგი გეგუჩაძის სტილის მიმდევარია. *"ქართველები შემოქმედი ხალხი ვართ და ეს სპორტშიც უნდა ავსახოთ. ყველაზე უკეთ შემტევი ფეხბურთის თამაში გამოგვდის და ჩემი ფილოსოფიაც სწორედ ეს არის – არ უნდა იყო მეტოქის შეცდომის მოლოდინში, თამაშის შინაარსი შენ უნდა განსაზღვრო"*. კითხვაზე, ხომ არ ეშინია გეგუჩაძის ჩრდილში დარჩენის, გიორგი უარყოფითად პასუხობს და ამბობს, რომ წინამორბედის ნამუშევრიდან ბევრ რა-



მეს გამოიყენებს, მაგრამ ამავდროულად, მისეულ "ზესტაფონს" სხვა სახასიათო შტრიხებსაც შევატყობთ.

"ზესტაფონი" ახალგაზრდული გუნდია, თუმცა ქიაბრიშვილის ტოლი რამდენიმე ფეხბურთელიც ჰყავს. შეიძლება გაჩნდეს შიში, ხომ არ შეუქმნის ასაკის ფაქტორი ახალ მთავარ მწვრთნელს მნიშვნელოვან წინაღობას გუნდში დისციპლინის დამყარებისა და მართვის სადავეების შენარჩუნების კუთხით. *"ეს გამორიცხულია რამდენიმე მიზეზის გამო. ჩემი ტოლები არიან თორნიკე აფციაური და ზურაბ მენთეშაშვილი. ჩვენ ერთადაც გვითამაშია და მეგობრებიც ვართ, მაგრამ ეს საქმეში ხელს არ გვიშლის. პირიქით, ისინიც და სხვებიც ძალიან კარგად აცნობიერებენ საკუთარ და მწვრთნელის როლს და საქმეს პროფესიონალიზმით უდგებიან. ჩვენ გვაქვს ქცევის კოდექსი, რომელსაც ყველა ფეხბურთელი იზიარებს. მე საქმე მაქვს ჩამოყალიბებულ ადამიანებთან, ჩვენ ერთმანეთისა ბოლომდე გვესმის".*

ბუნებრივია, ქიაბრიშვილს უახლოესი მიზნებიც განსაზღვრული აქვს: *"ბუნებით მაქსიმალისტი ვარ. ჩემი ოცნება "ზესტაფონთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშია. შეიძლება, ხმამაღლა ჟღერდეს, მაგრამ მე მჯერა, რომ ეს ამოცანა მიუღწეველი არ არის. სწორი მუშაობის შემთხვევაში ეს სავსებით შესაძლებელია და ბედნიერი ვიქნები, თუ ქართული კლუბებიდან ამას "ზესტაფონი" მიაღწევს. ჩემპიონთა ლიგაზე გასასვლელად კი ჯერ საქართველოს ჩემპიონობაა საჭირო. ბანალური ნათქვამია, მაგრამ ჭეშმარიტებაა – ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. ჩვენს რეალობაში ნამდვილად ასეა, "დინამო" ხომ საგრძნობლად გაძლიერდა, მის გარდა, კიდევ რამდენიმე ძლიერი კონკურენტი გვეყოლება".*

ფეხბურთელების საბრძოლო განწყობაზე მოსაყვანად განსაკუთრებული მეთოდები არა აქვს. მიაჩნია, რომ საამისოდ დიდი ორატორობა საჭირო არ არის – მთავარია, მწვრთნელმა მოთამაშეებს ბუნებრივი იმპულსები გადასცეს. აუცილებელია, რომ მწვრთნელსაც და ფეხბურთელსაც სჯეროდეს საკუთარი თავის და გამარჯვების – სჯერა, რომ ადამიანს ყველაზე მეტად ღვთის რწმენა აძლიერებს, თუმცა საკუთარ რელიგიურობაზე ხმამაღლა არასდროს ლაპარაკობს და ამას არც ფეხბურთელებს ახვევს თავს. თუმცა მოხარულია, რომ მისი შეგირდები ყოველი მატჩის წინ "მამაო ჩვენოს" წარმოსთქვამენ.

კარგი იქნებოდა, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს ერთმანეთთან მხოლოდ ფეხბურთი არ აკავშირებდეთ, მაგრამ ეს არ გამოდის, რადგან თავისუფალ დროს ყველას ზესტაფონიდან ოჯახებში (უმეტესობას თბილისში) მიეჩქარება. ქიაბრიშვილს წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობად სწორედ ოჯახი მიაჩნია და თავს ამ მხრივაც ბედნიერ ადამიანად მიიჩნევს – გიორგის დამღლელ საქმეს და შინიდან შორს ყოფნას მისი მეუღლე ოლიკო გაგებით ეკიდება. მათ ორი შვილი ჰყავთ – ათი წლის ირაკლი, რომელიც ფეხბურთელია და წლისა და რვა თვის ანასტასია.

ევროტურნირების რამდენიმე მატჩში "ზესტაფონის" დაცვა ბოლომდე საიმედო არ იყო. ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ შემტევ გუნდს უკანა ხაზი დაულაგებელი დარჩეს? ქიაბრიშვილის პასუხი მოკლე და ტევადია: *"თუ დაცვა არ გივარგა, ვერც შეუტევ".*

**ლევან ჯანეზაშვილი**




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეკონსტრუქცია



# ეროვნული სტადიონის განახლება ონლაინში

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი თბილისის "დინამოს' 49-წლიანი იჯარით გადაეცა და სამუშაოებიც დაწყებულია. მოედნის საფარიც მალე აილეს და დრენაჟის დაწყება და სხვა საჭირო სამუშაოებიც უკვე მიმდინარეობს. საფარს კომპანია "გრინტექსი" აგებს, მოედანი საკმაოდ ძვირადღირებულია და ბევრი კლუბი ვერ აძლევს საკუთარ თავს ამის საშუალებას.

"სამუშაოები, მოედნის გასწორება და დრენაჟის დაგება დიდი ტემპით და რაც მთავარია, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს. ქანებს ლაზერით ასწორებენ, რაზეც ადრე ვერ იოცნებებდნენ.

პირველ ეტაპზე "დინამო არენაზე" დაიგება უმაღლესი ხარისხის მოედანი - ბალახის ის სახეობა, რომელიც ჩვენს კლიმატურ პირობებს ყველაზე უკეთ მოერგება. იმედია, ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრება საფრის პრობლემა, დამონტაჟდება ახალი განათება და აღარ იქნება იმ ტიპის ხარვეზები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში.

სამუშაოები სექტემბრის ბოლომდე დასრულდება, ოქტომბრის შუა რიცხვებში კი სტადიონზე უკვე შესაძლებელი იქნება მატჩების ჩატარება.

უკვე მუშავდება მეორე ეტაპის სამუშაოების ბიზნესგეგმა, რომელიც დეკემბერში, ეროვნული ჩემპიონატის ზამთრის შესვენებისას დაიწყება.

საბოლოოდ კი, დარწმუნებული ვარ, საქართველო მიიღებს თანამედროვე სტადიონს, სადაც მართლაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი დონის მატჩების მასპინძლობა" – გვითხრა თბილისის "დინამოს" პრესატაშემ **გიგა გვენცაძემ**.

არენაზე მიმდინარე სამუშაოები პირდაპირ ეთერშიც შეგიძლიათ იხილოთ – საამისოდ უნდა შეხვიდეთ "დინამოს" ოფიციალურ ვებგვერდზე.

**მერაბ მამულაშვილი**



# სახალისო ფეხბურთი სამეგრელოში

სახალისო ფეხბურთი ღია სკოლების წარმომადგენლები განაგრძობენ მთელი ქვეყნის მასშტაბით ბავშვების გახალისებას. ამჯერად ისინი სამეგრელოს რეგიონს ეწვივნენ. აბაშისა და წალენჯიხის შემდეგ 8 სექტემბერს მარტვილში იმყოფებოდნენ. სოფელ დიდი ჭყონის ბერმუხას ცენტრალურ სტადიონზე, რომელიც დაყოფილი იყო რამდენიმე კვადრატად, მუსიკის თანხლებით მწვრთნელებისა და ასისტენტების დახმარებით უამრავმა პატარამ გააგორა ბურთი.მოზარდები იყვნენ სხვადასხვა სოფლებიდან.მათ დაურიგდათ ბურთები,კეპები,მაისურები, სამაჯურები...

„"ამ ღონისძიების მიზანია ბავშვების დაინტერესება ფეხბურთით. არიან ისეთებიც, რომლებსაც ეკლესია პატრონობს, ჩვენ მათ სტიმული უნდა მივცეთ და გავახალისოთ. მოზარდებს თავიდანვე უნდა ჩავუნერგოთ სპორტისადმი ინტერესი,რათა ისინი პატარაობიდანვე ცხოვრების ჯანსაღი წესით აღვზარდოთ. დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი ვარ,რადგან ახალგაზრდების თვალებში დიდ სიხარულს ვხედავ„ — გვითხრა „სახალისო ფეხბურთი ღია სკოლების'' კოორდინატორმა **ბადრი მაჭავარიანმა.**

სპორტული თამაშების ორგანიზატორები იყვნენ მარტვილის მუნიციპალიტეტი, „სახალისო ფეხბურთი ღია სკოლების'' სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაცია **(თამუნა სამუშია)**, ფესტივალს ესწრებოდნენ დანიელი სტუმრები, მასობრივი ფეხბურთის ხელმძღვანელები, რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **ნაული ჯანაშია** და მუნიციპალიტეტის გამგებელი **მამუკა დანელია.**

შეგახსენებთ,რომ სახალისო ფეხბურთი საქართველოში 2003 წლიდან იღებს სათავეს,პროგრამის მიხედვით თამაშები სამი დღე მიმდინარეობს და ყოველ წელს კონფლიქტის ზონიდან დევნილი,ინვალიდი, უნარშეზღუდული გოგონები და ბიჭებიც და ძნელად აღსაზრდელი ბავშვებიც მონაწილეობენ.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან
**ავტორის ფოტო**

ლეგიონერები

# ილია კანდელაკი: საქართველოში დაბრუნებაზე ვფიქრობ

**მაისისბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბაქოს "ინტერის" მცველი, 29 წლის ილია კანდელაკი ავსტრიის ჩემპიონ "შტურმში" ბრუნდებოდა. გუნდს მარცხენა მცველის პრობლემა რომ ჰქონდა, შემდგომ ირიბად დადასტურდა – გრაცელებმა კანდელაკის ნაცვლად გიორგი ფოფხაძე აიყვანეს.**

**თბილისში შეკრებაზე ჩამოსული "ინტერის" მცველი ამ მოლაპარაკებაზე, აზერბაიჯანულ კლუბსა და სხვა თემებზეც გვესაუბრა:**



- "შტურმი" მართლაც იყო დაინტერესებული, მაგრამ მანამდე "ინტერს" შევუთანხმდი და ავსტრიელებთან მოლაპარაკება აღარ დამიწყია. ბაქოელებთან კი სეზონის დაწყებამდე ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

**- დასამალიც რა არის, 30 წელს მიუახლოვდი, ასეთ დროს კი გადამწყვეტი ფინანსური ფაქტორია.**

- რა თქმა უნდა, ევროპულ კლუბებს კი საკმაოდ დიდი ფინანსური პრობლემები აქვთ. სახლთანაც ახლოს ვარ და ოჯახურმა ფაქტორმაც გავლენა მოახდინა. "ინტერში" რომ ქართველი ფეხბურთელები არიან, ესეც არაა უმნიშვნელო ამბავი. თითოეული ჩვენგანის ოჯახს ასე უფრო უადვილდება ცხოვრება.

**- თამაშიც უფრო ადვილია?**

- სხვათა შორის, ასე ველარ იტყვი. ავსტრიული კლუბები ფინანასურმა კრიზისმა დაასუსტა და ისეთი დონის აღარ არიან, როგორც ხუთი და ათი წლის წინ. აზერბაიჯანს კი ფინანსური კრიზისი არ შეხებია, პირიქით, კლუბები გაძლიერდნენ და დამიჯერეთ, თამაში სასიამოვნო მხოლოდ ხელფასის გამო არ არის, დონეც საკმაოდ გაიზარდა.

**- თბილისური შეკრების დროს "დინამო"-აეკის შეხვედრას დაესწარი. ქართულ საკლუბო დონეზე რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

- მართალია, "დინამო" შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა, მაგრამ დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. სიმართლე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, ჩვენი გუნდი ასეთი დონის კლუბს წინააღმდეგობას თუ გაუწევდა. იგივეს ვიტყვი "ზესტაფონზეც". ვთქვი და ვიმეორებ, ავსტრიული ფეხბურთი კრიზისმა ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თამაში დაავიწყდათ. ამიტომ დასაფასებელია, ჩვენებმა "შტურმს" დიდი წინააღმდეგობა რომ გაუწიეს და მოგებაც შეეძლოთ.

"დინამოში" ბევრი ლეგიონერია და მათზე ცუდი შთაბეჭდილება არ დამრჩენია, განსაკუთრებით, ალვაროზე.

**- მართალია, რომ "დინამოში" დაბრუნებას გთავაზობდნენ?**

- მე ვერაფერს გეტყვით. თუმცა საქართველოში დაბრუნებაზე მიფიქრია და მინდა კიდეც. აქ ვარ გაზრდილი, ფეხბურთელი კი უცხოეთში მეტის მიღწევის, გაზრდისა და რა თქმა უნდა, უკეთესი ანაზღაურების იმედად მიდის. კარგ გუნდში და მაღალ დონეზე ფულიც მეტია, მაგრამ დგება დრო, როდესაც სახლი გენატრება და ახლა მეც ასეთ მდგომარეობაში ვარ. ხშირად გვილაპარაკია ბიჭებს, საქართველოს ჩეპიონატის დონე თუ გაიზრდება, ბევრი დავბრუნდებით.

**- დონე სასურველი არ არის, მაგრამ ბევრად მდიდარმა აზერბაიჯანულმა გუნდებმა ევროპის ლიგის პლეი ოფამდე ვერ მიაღწიეს, ჩვენი კი ორი გუნდი გავიდა.**

- ადრეც ასე არ იყო? ჩვენი გუნდები ევროთასებზე ყოველთვის უკეთ და რაც მთავარია, უფრო ლაღად თამაშობდნენ, ვიდრე აზერბაიჯანელები. ეს ჩვენი ფეხბურთელების ნიჭსა და შესაძლებლობაზე მეტყველებს. სხვათა შორის, აზერბაიჯანელებს ევროპაში თამაშის პრობლემა აშკარად აქვთ. შეიძლება, ქართულ კლუბზე ძლიერი იყოს, მაგრამ ევროთასებზე ვერ თამაშობენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# კორლალიძემ ვარჯიში განაახლა



ლევან კორლალიძე

**ლევან კორლალიძემ** რუმინულ "გაზ მეთანში" გადასვლაზე უარი თქვა. 30 წლის ნახევარმცველმა გვითხრა, რომ საბოლოოდ მაინც საქართველოში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელობას სწორედ აქ წააწყდა.

"რუმინეთში აღარ წავედი, რადგან ევროკავშირის წევრი ქვეყანაა და ოჯახი ვერ მიმყავდა. სიმართლე ითქვას, განსაკუთრებულ პირობებსაც არ მთავაზობდნენ და აქეთ-იქით სიარული არ მილიოდა. ვფიქრობდი, ცოტა ნაკლებს შემომთავაზებენ და საქართველოში ვითამაშებდი. თავიდან იყო კონკრეტული მოლაპარაკებებიც, მაგრამ ბოლო დროს არავინ დამკავშირებია და უსიამოვნო ფიქრები მაქვს, ეტყობა, იმდენად ცუდი მოთამაშე ვარ, რომ არავინ ინტერესდება, თორემ განსაკუთრებულ პირობებს არც ვითხოვ" – ამბობს კორლალიძე.

ტრავმის გამო ლევანს ევროსეზონი გაუცდა და თავის ყოფილ კლუბს "დაჩიას" "ზესტაფონთან" ვერ დაეხმარა, შემდეგ კი მოლდოვური გუნდიც დატოვა და ვარჯიში მხოლოდ სექტემბერში განაახლა:"ერთი თვე მოედანს არ გავკარებივარ და ახლა მსუბუქად ვიტვირთები. ისე, ვარჯიში კი დავიწყე, მაგრამ, რა აზრი აქვს? არავინ არ მიწვევს, უცხოეთში წასვლის ხალისიც არ მაქვს, რადგან ოჯახიდან შორს ყოფნა მომბეზრდა და თუ არაფერი გამოჩნდა, ფეხბურთს თავს დავანებებ".

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველო და ევროტურნირები

# ნარსული და ანმყო ციფრებში

მსგავსი რამ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში არასდროს მომხდარა: ერთდროულად ორმა გუნდმა („ზესტაფონი", „დინამო") პლეი ოფის სტადიას მიაღწია და სულ მცირედი დააკლდათ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად. აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ წლევანდელი ევროტურნირების მონაწილე დანარჩენმა ორმა გუნდმაც არ შეგვარცხვინა: „გაგრამაც" და „მეტალურგმაც" მეტ-ნაკლებად ღირსეულად იასპარეზეს. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ კვლავაც ვერაფრით ვახერხებთ შვიდი წლის წინანდელი მიღწევის თუნდაც გამეორებას; შეგახსენებთ, რომ 2004 წელს გია გეგუჩაძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე თბილისის „დინამომ" წარმატებით გაიარა უეფას თასის სამი საკვალიფიკაციო ეტაპი და ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზა. აი, ეს არის ევროტურნირებზე ჩვენი გუნდების საუკეთესო შედეგი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

...1993 წლის ზაფხული იყო, ერთადერთ ქართულ გუნდს (თბილისის „დინამო") ევროტურნირებზე ასპარეზობის უფლება რომ მისცეს — ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით პირველად სწორედ მაშინ იასპარეზა. ამ 18 წლის განმავლობაში ევროტურნირებზე „დინამოს" გარდა სხვა ქართულ გუნდებსაც უასპარეზიათ, თუმცა ჩატარებული მატჩებით „დინამო" არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაშიც კი ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე უნდა იყოს. ისე, მართლაც ხუმრობა საქმე არ არის, როცა „დინამოს" 18 წლის განმავლობაში ევროსეზონი არ გამოუტოვებია! დღეს სწორედ ქართული გუნდების „ევრომონაგარი" გვინდა გაგაცნოთ: მატჩების რაოდენობა, შედეგები, დიდი ანგარიშით მოგებები (სხვათა შორის, არცთუ ცოტა იყო), არანაკლებ კატასტროფული თუ კომმარული წაგებები (სამწუხაროდ, ასეთებიც არ გვაკლდა); ამას გარდა, კონკრეტული ფეხბურთელებიც გვინდა ვახსენოთ: ვინ „დუბლით" გამოირჩა, ვინ — „ჰეთ-თრიქით"; რაღა თქმა უნდა, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ევროტურნირების საუკეთესო ქართველი მეგოლეებიც უნდა ვახსენოთ, — უპირველესად კი 26 წლის ჯაბა დვალი, 13 გოლით საუკეთესო მაჩვენებელი რომ აქვს. ოღონდ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დვალმა ეს მართლაც ჩინებული შედეგი ორი გუნდის („დინამო", „ზესტაფონი") შემადგენლობაში ასპარეზობისას უჩვენა.

... სანაკრებო თუ საკლუბო სტატისტიკას ხშირად გთავაზობთ ხოლმე, მაგრამ ასევე ხშირად „გვავიწყდება", რომ ქართული ფეხბურთი ... 1990 წლამდეც არსებობდა! ბოლოს და ბოლოს, როგორ შეიძლება დაგვავიწყდეს თბილისის „დინამოს" ზღაპრული მატჩები „ლივერპულთან" თუ „ფეიენოორდთან", „ინტერთან" თუ „ნაპოლისთან", „ვესტ ჰემთან" თუ „კარლ ცაისთან"; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 1981 წლის 13 მაისს ნოდარ ახალკაცის დამოძღვრილმა „დინამომ" ხომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა! ისე, მკითხველს ვურჩევთ, რომ „ძველი" „დინამოს" სტატისტიკურ მონაცემებში რამაზ შენგელიას პირად მონაგარსაც დააკვირდეს...

გია ტუხაშვილი

## საბჭოთა პერიოდი

### 1972-73

**უეფას თასი. 1/32 ფინალი**

დინამო-ტვენტე (ჰოლანდია) 3:2
გოლები: გ. ნოდია (2), დ. ყიფიანი;

ტვენტე-დინამო 2:0

### 1973-74

**უეფას თასი**

**1/32 ფინალი**

დინამო-სლავია (ბულგარეთი) 4:1
გოლები: ლ. ნოდია (2), გ. ნოდია, მ. მაჩაიძე

სლავია-დინამო 2:0

**1/16 ფინალი**

დინამო-ოფკ (იუგოსლავია) 3:0
გოლები: დ. ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია

ოფკ-დინამო 1:5
გოლები: დ. ყიფიანი (2), გ. ნოდია, ვ. ჭელიძე, ზ. წერეთელი

**1/8 ფინალი**

დინამო-ტოტენჰემი (ინგლისი) 1:1
გოლი: კ. ასათიანი

ტოტენჰემი-დინამო 5:1
გოლი: ზ. ებრალიძე

### 1976/77

**თასების მფლობელთა თასი**

**1/16 ფინალი**

კარდიფ სიტი (უელსი)-დინამო 1:0
დინამო-კარდიფ სიტი 3:0
გოლები: ვ. გუცაევი, დ. ყიფიანი, ფ. კანთელაძე

**1/8 ფინალი**

დინამო-მტკ (უნგრეთი) 1:4
გოლი: მ. მაჩაიძე

მტკ-დინამო 1:0

### 1977/78

**უეფას თასი**

**1/32 ფინალი**

ინტერი (იტალია)-დინამო 0:1
გოლი: დ. ყიფიანი

დინამო-ინტერი 0:0

**1/16 ფინალი**

ბკ კოპენჰაგენი (დანია)-დინამო 1:4
გოლები: ა. ჩივაძე, დ. ყიფიანი, რ. ჩელებაძე, რ. შენგელია

დინამო-ბკ კოპენჰაგენი 2:0
გოლები: რ. ჩელებაძე (2)

**1/8 ფინალი**

დინამო-გრასჰოპერსი (შვეიც.) 1:0
გოლი: რ. შენგელია

გრასჰოპერსი-დინამო 4:0

### 1978/79

**უეფას თასი**

**1/32 ფინალი**

დინამო-ნაპოლი (იტალია) 2:0
გოლები: დ. ყიფიანი, რ. შენგელია

ნაპოლი-დინამო 1:1
გოლი: ვ. დარასელია

**1/16 ფინალი**

ჰერტა (გფრ)-დინამო 2:0
დინამო-ჰერტა 1:0
გოლი: რ. შენგელია

**1/8 ფინალი**

უოტერფორდი (ირლან.)-დინამო 0:1
გოლი: რ. შენგელია

დინამო-უოტერფორდი 4:0
გოლები: ვ. დარასელია (2), ა. ჩივაძე, გ. ჭილაია

**1/4 ფინალი**

ვესტ ჰემი (ინგლისი)-დინამო 1:4
გოლები: რ. შენგელია (2), ა. ჩივაძე, ვ. გუცაევი

დინამო-ვესტ ჰემი 0:1



დავით ყიფიანი და რამაზ შენგელია

### 1979/80

**ჩემპიონთა თასი**

**1/16 ფინალი**

ლივერპული (ინგლისი)-დინამო 2:1
გოლი: ა. ჩივაძე

დინამო-ლივერპული 3:0
გოლები: ვ. გუცაევი, რ. შენგელია, ა. ჩივაძე

**1/8 ფინალი**

ჰამბურგი (გერმანია)-დინამო 3:1
გოლი: დ. ყიფიანი

დინამო-ჰამბურგი 2:3
გოლები: ვ. გუცაევი, დ. ყიფიანი

### 1980/81

**თასების მფლობელთა თასი**

**1/16 ფინალი**

კასტორია (საბერძნეთი)-დინამო 0:0
დინამო-კასტორია 2:0
გოლები: რ. შენგელია, ვ. გუცაევი

**1/2 ფინალი**

დინამო-ფეიენოორდი 3:0
გოლები: თ. სულაქველიძე (2), ვ. გუცაევი

ფეიენოორდი-დინამო 2:0

**ფინალი**

დინამო-კარლ ცაისი (გდრ) 2:1
გოლები: ვ. გუცაევი, ვ. დარასელია

### 1981-82

**თასების მფლობელთა თასი**

**1/16 ფინალი**

დინამო-გრაცერ აკ (ავსტრია) 2:0
გოლები: ვ. ჟვანია, რ. შენგელია

გრაცერ აკ-დინამო 2:2
გოლები: რ. შენგელია(2)

**1/8 ფინალი**

ბასტია (საფრანგეთი)-დინამო 1:1
გოლი: ვ. გუცაევი

დინამო-ბასტია 3:1
გოლები: რ. შენგელია (2), თ. სულაქველიძე

**1/4 ფინალი**

ლეგია (პოლონეთი)-დინამო 1:1
გოლი: თ. სულაქველიძე

დინამო-ლეგია 1:0
გოლი: რ. შენგელია

**1/2 ფინალი**

დინამო-სტანდარდი (ბელგია) 0:1
სტანდარდი-დინამო 1:0

### 1982/83

**უეფას თასი**

დინამო-ნაპოლი (იტალია) 2:1
გოლები: რ. შენგელია, ნ. ხიზანიშვილი

ნაპოლი-დინამო 1:0

### 1987/88

**უეფას თასი**

**1/32 ფინალი**

ლოკომოტივი (ბულგარ.)-დინამო 3:1
გოლი: რ. შენგელია

დინამო-ლოკომოტივი 3:0
გოლები: თ. სულაქველიძე, გ. გურული, ა. ჩივაძე

**1/16 ფინალი**

ვიქტორია (რუმინეთი)-დინამო 1:2
გოლები: ს. ჭედია, რ. შენგელია

დინამო-ვიქტორია 0:0

**1/8 ფინალი**

ვერდერი (გერმანია)-დინამო 2:1
გოლი: რ. შენგელია

დინამო-ვერდერი 1:1
გოლი: თ. სულაქველიძე

1972-87 წლებში თბილისის „დინამომ" ევროტურნირებზე ჩაატარა 51 მატჩი და დადებითი შედეგითაც გვასახელა: 24 შეხვედრა მოიგო, 9 ფრედ დაამთავრა და 18 წააგო. ბურთების სხვაობაც, დადებითი გვაქვს: 76-57. ახლა კი, ყველა მეგოლეც ვახსენოთ და განსაკუთრებული ყურადღება, რაღა თქმა უნდა, **რამაზ შენგელიას** მართლაც შთამბეჭდავ შედეგიანობაზე უნდა გავამახვილოთ: ქართული ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეულმა ბომბარდირმა და საერთოდაც, 80-იანი წლების ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა ევროტურნირებზე 19 გოლი გაიტანა! აი, დინამოელ მეგოლეთა სრული ჩამონათვალიც: **რ. შენგელია-19, დ. ყიფიანი-10, ვ. გუცაევი-8, ა. ჩივაძე-6, თ. სულაქველიძე-6, გ. ნოდია-5, ვ. დარასელია-4, ლ. ნოდია-3, რ. ჩელებაძე-3, მ. მაჩაიძე-2, კ. ასათიანი-1, ვ. ჭელიძე-1, ფ. კანთელაძე-1, ზ. ებრალიძე-1, ზ. წერეთელი-1, გ. ჭილაია-1, ნ. ხიზანიშვილი-1, ვ. ჟვანია-1, ს. ჭედია-1, გ. გურული-1.**

## დამოუკიდებელი საქართველოს სახელით

### 1993

**ჩემპიონთა ლიგა**

**წინასწარი წრე**

დინამო (თბ.)-ლინფილდი (ჩრ. ირლ.) 2:1
გოლები: შ. არველაძე, ინალიშვილი; ჯონსტონი

ლინფილდი-დინამო 1:1
გოლები: ჰეილოკი; შ. არველაძე
*„დინამოს" დისკვალიფიკაცია მიესაჯა და მომდევნო ეტაპზე „ლინფილდი" გავიდა*

### 1994

**უეფას თასი**

**წინასწარი წრე**

დინამო (თბ.)-უნივერსიტატეა (რუმინ.) 2:0
გოლები: ქინქლაძე, შ. არველაძე

უნივერსიტატეა-დინამო 1:2
გოლები: პიგულია; ყაველაშვილი, ქინქლაძე

**1/32 ფინალი**

დინამო-ტიროლი (ავსტრია) 1:0
გოლი: რ. არველაძე

ტიროლი-დინამო 5:1
გოლები: დანეკი-2, ჩერნი, შტიოგერი, იანეცი; შ. არველაძე

### 1995

**თასების მფლობელთა თასი**

**წინასწარი წრე**

ობილიჩი (იუგოს.)-დინამო (ბთ.) 0:1
გოლი: მაჭუტაძე

დინამო-ობილიჩი 2:2
გოლები: მაჭუტაძე, ა. მუჯირი; შარანცი, პოპოვიჩი

**1/16 ფინალი**

დინამო (ბთ)-სელტიკი (შოტლ.) 2:3
გოლები: მაჭუტაძე, ტულუში; ტომი-2, დონელი

სელტიკი-დინამო 4:0
გოლები: ტომი-2, დონელი, უოკერი

**უეფას თასი**

**წინასწარი წრე**

ბოტევი (ბულგ.)-დინამო (თბ.) 1:0
გოლი: გეროვი

დინამო-ბოტევი 0:1
გოლი: ვიდოლოვი

ვარდარი (მაკედონია)-სამტრედია 1:0
გოლი: ნიკოლოვსკი

სამტრედია-ვარდარი 0:2
გოლები: სერაფიმოვსკი, პეტროვსკი

### 1996

**თასების მფლობელთა თასი**

**წინასწარი წრე**

დინამო (ბთ.)-ჰაფნარი (ფარერ.) 6:0
გოლები: ტულუში-3, უჯმაჯურიძე-2, დავიდსენი-საკუთარ კარში

ჰაფნარი-დინამო 0:3
გოლები: ღლონტი (2), უჯმაჯურიძე

**1/16 ფინალი**

დინამო (ბთ.)-პსვ (ჰოლანდია) 1:1
გოლები: ა. მუჯირი; ნილისი

პსვ-დინამო 3:0
გოლები: ნილისი, ეიკელკამპი, მარსელო

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (თბ)-გრევენმახერი (ლუქს.) 4:0
გოლები: ა. იაშვილი (2), გოგიჩაიშვილი, დემეტრაძე

გრევენმახერი-დინამო 2:2
გოლები: სხოლტენი, ლაუერი; კიკნაძე, კერძევაძე

შლიემა (მალტა)-მარგვეთი (ზესტ.) 1:3
გოლები: ტერნერი; მ. ღონღაძე, ენდელაძე, უკლება

მარგვეთი-შლიემა 0:3
გოლები: მალია, მუსკატი, ტერნერი

**მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (თბ)-მოლდე (ნორვეგია) 2:1
გოლები: გოგიჩაიშვილი, ა. იაშვილი; სტავრუმი

მოლდე-დინამო 0:0

**1/32 ფინალი**

ტორპედო (რუსეთი)-დინამო (თბ) 0:1
გოლი: ჯამარაული

დინამო-ტორპედო 1:1
გოლები: ჯამარაული; ვოსტროსაბლინი

**1/16 ფინალი**

დინამო (თბ)-ბოავიშტა (პორტ.) 1:0
გოლი: გოგიჩაიშვილი

ბოავიშტა-დინამო 5:0
გოლები: ლატაპი (2), ჰასელბანკი (2), ტავარეში

**ინტერტოტოს თასი**

კოლხეთი (ფოთი)-ზემუნი (იუგოს.) 2:3
გოლები: ბ. ამბიძე, კიკლიაშვილი; ისაილოვიჩი (2), ოსუნი

იარო (ფინეთი)-კოლხეთი 2:0
გოლები: ერიომენკო, ვიჯესკოგი

კოლხეთი-გენგამი (საფრანგეთი) 1:3
გოლები: ბ. ამბიძე; ორლავილი (2), კარნო

დინამო (რუმინეთი)-კოლხეთი 2:0

### 1997

**ჩემპიონთა ლიგა**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

კრუზეიდერსი (ჩრ. ირლ.)-დინამო (თბ) 1:3
გოლები: ბაქსტერი; კიკნაძე, გოგიჩაიშვილი, დ. მუჯირი

დინამო-კრუზეიდერსი 5:1
გოლები: ა. იაშვილი (2), დ. მუჯირი (2), ხომერიკი; ჰანტერი

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლევერკუზენი (გერ.)-დინამო (თბ) 6:1
გოლები: მეიერი (2), კირსტენი, რამელოვი, ლენჰოფი, რინკი; ა. იაშვილი

დინამო-ლევერკუზენი 1:0
გოლი: დ. მუჯირი

**თასების მფლობელთა თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (ბთ.)-არარატი (სომხეთი) 4:2
გოლები: ჩუხუა (2), ღლონტი; შეყილაძე; ტერ-პეტროსიანი, ნაზარიანი

არარატი-დინამო 0:2
გოლები: თორლაშვილი, ი. მახარაძე
*შენიშვნა: პირველ მატჩში ბათუმელთა შემადგენლობაში დისკვალიფიცირებულმა ფეხბურთელმა ითამაშა, რის გამოც მასპინძლებს ტექნიკური წაგება (0:3) ჩაეთვალათ.*

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (მინ., ბელ.)-კოლხეთი (ფოთი) 1:0
გოლი: ჩერნიავსკი

კოლხეთი-დინამო 2:1
გოლები: ნ. მიქაბერიძე, ღლანიძე; მაკოვსკი

**1/32 ფინალი**

მპკც (ბელარუსი)-დინამო (თბ) 1:1
გოლები: კუშნირი; დ. მუჯირი

დინამო-მპკც 1:0
გოლი: ალექსიძე

# ქართული ფეხბურთი

**1/16 ფინალი**

ბრაგა (პორტუგ.)-დინამო (თბ) 4:0
გოლები: როდრიგაო, ტონი, კაროგლანი, ბრუნო

დინამო-ბრაგა 0:1
გოლი: ტონი

**ინტერტოტოს თასი**

მერანი-91 (თბ)-ტორპედო (მოს., რუს.) 0:2
გოლები: გაშკინი, მაშკარინი

ირაკლისი (საბერძნეთი)-მერანი-91 2:0
გოლები: სემესი. ვამბაბაკისი

მერანი-91-ფლორიანა (მალტა) 5:0
გოლები: ბ. კვარაცხელია (2), ბ. ამბიძე, მაზიაშვილი, დავითაშვილი

რიდი (ავსტრია)-მერანი-91 1:3
გოლები: ჰანსენი; მაზიაშვილი, გოდერძიშვილი, ბ. კვარაცხელია

## 1998

**ჩემპიონთა ლიგა**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (თბ)-ვლაზნია (ალბანეთი) 1:0
გოლი: ხომერიკი

ვლაზნია-დინამო 3:1
გოლები: კუნგუ, მილოტი, ნოგა; აშვეთია
*შენიშვნა: პირველ მატჩში „ვლაზნიას“ ჩაეთვალა ტექნიკური წაგება (0:3)*

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (თბ)-ატლეტიკი (ესპანეთი) 2:1
გოლები: ხომერიკი, ცქიტიშვილი; იმასი

ატლეტიკი-დინამო 1:0
გოლი: ეჩებერია

**თასების მფლობელთა თასი**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

პარტიზანი (იუგოსლ.)-დინამო (ბთ.) 2:0
გოლები: ბეკოვიჩი. ილიჩი

დინამო-პარტიზანი 1:0
გოლი: სიჭინავა

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

კოლხეთი-1913 (ფ)-ცრ. ზვეზდა (იუგ.) 0:4
გოლები: აჩიმოვიჩი (2), ოგნიენოვიჩი, პანტელიჩი

ცრვენა ზვეზდა-კოლხეთი 7:0
გოლები: მიჩიჩი (3), ოგნიენოვიჩი (2), პანტელიჩი, გოიკოვიჩი

**1/32 ფინალი**

ტილბურგი (ჰოლ.)-დინამო (თბ) 3:0
გოლები: რამზი, არტსი, შენინგი

დინამო-ტილბურგი 0:3
გოლები: ვალკი, სესაი, რამზი.

**ინტერტოტოს თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ტორპედო (ქ.)-ერებუნი (სომხეთი) 6:0
გოლები: გ. მეგრელაძე (2), დ. ჯანაშია (2), ვაჩიბერაძე, კვეტენაძე

ერებუნი-ტორპედო 1:1
გოლები: ოვანესიანი; ხუჯაძე

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლომელი (ბელგია)-ტორპედო (ქ.) 0:1
გოლი: ვაჩიბერაძე

ტორპედო-ლომელი 1:2
გოლები: კვეტენაძე; შუბერტი, კენვოტსი

## 1999

**ჩემპიონთა ლიგა**

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (თბ)-ზიმბრუ (მოლდოვა) 2:1
გოლები: წიტაიშვილი, ხომერიკი; ბერკო

ზიმბრუ-დინამო 2:0
გოლები: დოდული, ეპურეანუ

**უეფას თასი**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლანტანა (ესტონ.)-ტორპედო (ქ.) 0:5
გოლები: ხვადაგიანი, დ. ჯანაშია, კ. ჩხეტიანი, იონანიძე, გ. მეგრელაძე

ტორპედო-ლანტანა 4:2
გოლები: მეგრელაძე (3), იონანიძე; ლეიტანი, დოლინინი

ლოკომოტ. (თბ)-ლინფილ. (ჩრ. ირლ.) 1:0
გოლი: ქებაძე

ლინფილდი-ლოკომოტივი 1:1
გოლები: ლარმური; ქებაძე

**1/64 ფინალი**

ტორპედო (ქ.)-აეკ (საბერძნეთი) 0:1
გოლი: ზიკოსი

აეკ-ტორპედო 6:1
გოლები: კოპიცისი (2), ნიკოლაიდისი, ჩირიჩი, ბიეკოვიჩი, მალადენისი; მეგრელაძე

ლოკომოტივი (თბ)-პაოკ (საბერ.) 0:7
გოლები: გეორგიადისი (2), ფრუსოსი (2), საბრი, ფრანცეკოსი, ვრიზასი.

პაოკ-ლოკომოტივი 2:0
გოლები: ვალენსია, სალპიგიდისი

**ინტერტოტოს თასი**

ცემენტარნიცა (მაკედ.)-კოლხეთი (ფ.) 4:2
გოლები: სერაფიმოვსკი (2), რისტოვსკი, ვუიოვიჩი; გ. დარასელია, ხუჭუა

კოლხეთი-ცემენტარნიცა 0:4
გოლები: რისტოვსკი, სერაფიმოვსკი, ლაზარევსკი, ე. გვასალია-საკუთარ კარში.

## 2000

**ჩემპიონთა ლიგა**

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ცრ. ზვეზდა (იუგოს.)-ტორპედო (ქ.) 4:0
გოლები: დრულიჩი (2), ბოშკოვიჩი, პიანოვიჩი

ტორპედო-ცრვენა ზვეზდა 2:0
გოლები: იმედაძე, დ. ჯანაშია

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ვიტ ჯორჯია (თბ)-ბეითარი (ისრ.) 0:3
*გოლები: მიზრახი, განონი, როსო*

ბეითარი-ვიტ ჯორჯია 1:1
გოლები: შანდორი; ლ. მელქაძე

სლოვანი (სლოვაკ.)-ლოკომ. (თბ) 2:0
გოლები: იანკულა, ჰრნჩარი

ლოკომოტივი-სლოვანი 0:2
გოლები: მესაროში, გიოგი

**ინტერტოტოს თასი. I ეტაპი**

დინამო (თბ)-სტანდარდი (ბელგია) 2:2
გოლები: გოგოლაძე, ზირაქიშვილი; ვოსი, ფლორკინი

სტანდარდი-დინამო 1:1
გოლები: ვან ბუიტენი; ზირაქიშვილი



ჯაბა დვალი (შუაში)

## 2001

**ჩემპიონთა ლიგა**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლინფილდი (ჩ. ირლ.)-ტორპედო (ქ) 0:0
ტორპედო-ლინფილდი 1:0
გოლი: აშვეთია

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ტორპედო (ქ)-კოპენჰ. (დანია) 1:1
გოლები: აშვეთია; ზუმა

კოპენჰაგენი-ტორპედო 3:1
გოლები: ზუმა, ლონსტრუპი, ფერნანდესი; ქუთათელაძე

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (თბ)-ბატე (ბელარუსი) 2:1
გოლები: ვ. დარასელია, მიკუჩაძე; გონჩარუკი

ბატე-დინამო 4:0
გოლები: ლისოვსკი, კუტუზოვი, ლოშენკოვი, გრიგოროვი

ბირკირ. (მალტა)-ლოკომოტ. (თბ) 0:0
ლოკომოტივი-ბირკირკარა 1:1
გოლები: ანჩაბაძე; ზარა

**ინტერტოტოს თასი. I ეტაპი**

ვიტ ჯორჯია (თბ)-რიდი (ავსტრია) 1:0
გოლი: გოგობერიშვილი

რიდი-ვიტ ჯორჯია 2:1
გოლები: ანგერშმიდტი, ლოუერსი; ლ. მელქაძე

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ტრუა (საფრ.)-ვიტ ჯორჯია (თბ) 6:0
გოლები: ბუტალი (3), მენირი, გუზი, ჯუკიჩი

ვიტ ჯორჯია-ტრუა 1:1
გოლები: ლ. მელქაძე; გუსე

## 2002

**ჩემპიონთა ლიგა**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ტორპედო (ქ.)-ტორსჰავნი (ფარ.) 5:2
გოლები: ასათიანი (2), იონანიძე, პოროშინი, კვეტენაძე; ლაკიუნი, მორტარსენი

ტორსჰავნი-ტორპედო 0:1
გოლი: დ. ჯანაშია

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

სპარტა (ჩეხ.)-ტორპედო (ქ.) 3:0
გოლები: ბარანეკი (2), ჰოსპიშილი

ტორპედო-სპარტა 1:2
გოლები: იონანიძე; ზელენკა, იუნი

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (თბ)-ტვმკ (ესტონეთი) 4:1
გოლები: შაშიაშვილი (2), კარლოსი, ვ. დარასელია; ლეეტმა

ტვმკ-დინამო 0:1
გოლი: ახალაია

კოპენჰაგენი (დანია)-ლოკომ. (თბ) 3:1
გოლები: იონსონი (2), ლარსენი; ზ. ჯანაშია

ლოკომოტივი-კოპენჰაგენი 1:4
გოლები: ზ. ჯანაშია; პეტერსონი (2), ზუმა, იონსონი

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლიბერეცი (ჩეხეთი)-დინამო (თბ) 3:2
გოლები: ნეზმარი, ზბონჩაკი, გიანი; ვ. დარასელია, ანჩაბაძე

დინამო-ლიბერეცი 0:1
გოლი: ზბონჩაკი

**ინტერტოტოს თასი. I ეტაპი**

ლოკერენი (ბელგ.)-ვიტ ჯორჯია (თბ) 3:1
გოლები: ზუნდი, გრეტარსონი, კრისტინსონი; დ. დოლიძე

ვიტ ჯორჯია-ლოკერენი 3:2
გოლები: გოჩაშვილი. გ. ყიფიანი, წუწუნავა; სილა, კომოტო

## 2003

**ჩემპიონთა ლიგა**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (თბ)-ტირანა (ალბანეთი) 3:0
გოლები: ლ. მელქაძე, ანჩაბაძე, ვ. დარასელია

ტირანა-დინამო 3:0 (პენ. 4:2)
გოლები: ლიკი, ფორტუზი, ჰალილი

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლანსი (საფრ.ი)-ტორპედო (ქ.) 3:0
გოლები: უტაკა (2), დიოპი

ტორპედო-ლანსი 0:2
გოლები: ბაკარი

თბილისი (თბ)-შამქირი (აზერ.) 1:0
გოლი: გ. ნუგზარის ძე ჭელიძე

შამქირი-თბ 1:4
გოლები: ალიევი; მიკუჩაძე (2), გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, გ. კვარაცხელია

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

სლავია (ჩეხეთი)-დინამო (თბ) 3:1
გოლები: ადაუტო, პიტაკი, კალივოდა; ლ. მელქაძე

დინამო-სლავია 2:0
გოლები: ლ. მელქაძე, კანკავა

თბილისი-ლეგია (პოლონეთი) 0:1
გოლი: სოკოლოვსკი

ლეგია-თბილისი 6:0
გოლები: ვლოდარჩუკი (3), მაგიერა, საგანოვსკი, სოკოლოვსკი

**III საკვალიფიკაციო ეტაპი**

ვისლა (პოლონეთი)-დინამო (თბ) 4:3
გოლები: ფრანკოვსკი (2), გორავსკი, ჟურავსკი; კანკავა, ალადაშვილი, კლოსი-საკუთარ კარში

დინამო-ვისლა 2:1
გოლები: ნემსაძე, კაკალაძე; ფრანკოვსკი

პუხოვი (სლოვაკ)-სიონი (ბოლ.) 3:0
გოლები: ბრეშკა (2), პერნიში

სიონი-პუხოვი 0:3
გოლები: ნემეცი (2), გეგიჩი

**ინტერტოტოს თასი. I ეტაპი**

პაშინგი (ავსტ.)-ვიტ ჯორჯია (თბ) 1:0
გოლი: გლიდერი

ვიტ ჯორჯია-პაშინგი 2:1
გოლები: ლ. მელქაძე, ე. მერებაშვილი; ჰორვატი

## 2004

**ჩემპიონთა ლიგა**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ვიტ ჯორჯია (თბ)-ტორსჰ. (ფარ.) 5:0
გოლები: გოჩაშვილი, მარცვალაძე, დილმელაშვილი, ინწკირველი, ებანოიძე

ტორსჰავნი-ვიტ ჯორჯია 3:0
გოლები: ტორსტეინსონი, იესპერსენი, ელისენი

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ვიტ ჯორჯია-ვისლა (პოლონეთი) 2:8
გოლები: თ. კობიაშვილი, ადამია; ფრანკოვსკი (4), ჟურავსკი (2), გორავსკი, კუჟბა

ვისლა-ვიტ ჯორჯია 3:0
გოლები: კუჟბა, ომეონუ, გორავსკი

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ბატე (ბელარუსი)-დინამო (თბ) 2:3
გოლები: ჟევნოვი, სტახანოვიჩი; კაკალაძე, გონჩაროვი, რომერო

დინამო-ბატე 1:0
გოლი: კვირკველია

**ჯგუფური ეტაპი**

დინამო (თბ)-სოშო (საფრანგეთი) 0:2
გოლები: ილანი, პაისლი

ნიუკასლი (ინგლისი)-დინამო (თბ) 2:0
გოლები: შირერი, ბელამი

დინამო (თბ)-სპორტინგი (პორტ.) 0:4
გოლები: ლიედსონი (3), ჭიჭვეიშვილი-საკუთარ კარში

პანიონიოსი (საბერ.)-დინამო (თბ) 5:2
გოლები: მანციოსი (3), ბრეშკა, მარკორა; კაკალაძე, ახალაია

**ინტერტოტოს თასი. I ეტაპი**

მარეკი (ბულგ.)-დილა (გორი) 0:0
დილა-მარეკი 0:2
გოლები: პარგოვი (2)

## 2005

**ჩემპიონთა ლიგა**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლევადია (ესტონეთი)-დინამო (თბ) 1:0
გოლი: ნაჰკი

დინამო-ლევადია 2:0
გოლები: ლ. მელქაძე, ორბელაძე

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (თბ)-ბრონდბიუ (დანია) 0:2
გოლები: სკუბო, ელმანდერი

ბრონდბიუ-დინამო 3:1
გოლები: ლორენცენი (2), კამპერი; ს. იაშვილი

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ბანანცი (სომხეთი)-ლოკომ. (თბ) 2:3
გოლები: არ. აკოფიანი, ყარაბახჩიანი; ალავერდაშვილი, ქებაძე, გ. ონიანი

ლოკომოტივი-ბანანცი 0:2
გოლები: არ. აკოფიანი, ხაჩატრიანი

ტორპედო (ქ.)-ბატე (ბელარუსი) 0:1
გოლი: ბახა

ბატე-ტორპედო 5:0
გოლები: ლებედევი (2), რუდნენკო (2), მოლოში

**ინტერტოტოს თასი. I ეტაპი**

ლომბარდ-პაპა (უნგ.)-ვიტ ჯორჯია (თბ) 2:1
გოლები: საბო (2); ებანოიძე

ვიტ ჯორჯია-ლომბარდ-პაპა 0:1
გოლი: ჰერკეგფალვი

## 2006

**ჩემპიონთა ლიგა**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

სიონი (ბოლნისი)-ბაკი (აზერ.) 2:0
გოლები: ჩასემი, უგრეხელიძე

ბაკი-სიონი 1:0
გოლი: გულიევი

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლევსკი (ბულგარეთი)-სიონი 2:0
გოლები: ანგელოვი, ბორიმიროვი

სიონი-ლევსკი 0:2
გოლები: დომოვჩიისკი, ანგელოვი

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

არტმედია (სლოვაკ.)-ვიტ ჯორჯ. (თბ) 2:0
გოლები: ჰარტიგი, რეიტერი

ვიტ ჯორჯია-არტმედია 2:1
გოლები: დ. ლომაია, რაზმაძე; ჰალენარი

ამერი (თბ)-ბანანცი (სომხეთი) 0:1
გოლი: ტადევოსიანი

ბანანცი-ამერი 1:2
გოლები: ტადევოსიანი; წინამძღვრიშვილი, დობროვოლსკი

**ინტერტოტოს თასი. I ეტაპი**

კილიკია (სომხეთი)-დინამო (თბ) 1:5
გოლები: ერზრუმიანი; დვალი-2, ხუციშვილი, ბობოხიძე, ტორნინი

დინამო-კილიკია 3:0
გოლები: გრიგალაშვილი, გიგაური, ს. იაშვილი

**II ეტაპი**

რიდი (ავსტრია)-დინამო (თბ) 3:1
გოლები: კლასპერი, დრეშლერი, სეო; გრიგალაშვილი

დინამო-რიდი 0:1
გოლი: დრეშლერი

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ჰერტა (გერმანია)-ამერი (თბ) 1:0
გოლი: ოკორონკვო

ამერი-ჰერტა 2:2
გოლები: დავითნიძე, დავითაშვილი; ლაკიჩი, ჰანტელიჩი

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო-2012 სტატისტიკა

# როცა ბურთი არ ტყუის, ანუ ძაღლის თავს ხომ არ მივაგენით?

## კარგი და ცუდი სტატისტიკა ქეცბაიას ნაკრებისთვის

Ball Don't Lie (ბურთი არ იტყუება) **ბრაიან ჰილის** ფილმია, რომელიც ქაბუკი კალათბურთელის ერთი დღის ცხოვრებაზე გვიამბობს, ამავდროულად, Yahoo-ზე ანალოგიური დასახელების ბლოგი ერთობ პოპულარულია NBA-ს მოყვარულთა შორის. მოკლედ, თუკი ვინმეს რამე დეტალი გამოეპარება, სტატისტიკური ანალიზი იქვეა და სწორი დასკვნების გაკეთებაც შესაძლებელია. ევრო-2012-ის შესარჩევი ციკლი დასასრულს უახლოვდება (ჩვენთვის ხომ ყველაფერი უკვე დასრულდა), ამიტომაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მიმდინარე სტატისტიკა, დასკვნების გამოტანა კი ისევ თქვენთვის მოგვინდია.

შესარჩევი ციკლის დასრულებამდე 43 მატჩილა დარჩა (მათ შორის, საქართველო-საბერძნეთი), მასპინძლების, პოლონეთისა და უკრაინის გარდა, ფინალური ეტაპის საგზური უკვე გარანტირებული აქვთ: გერმანიას, იტალიას, ესპანეთსა და ჰოლანდიას. ვფიქრობთ, მომავალ ჩემპიონატს სწორედ ეს 4 ფავორიტი ეყოლება.


ჩვენი გუნდი ხორვატებთან გამარჯვების წინ

### ინდივიდუალური სტატისტიკა

**გოლები**

| გოლი | ფეხბ. | ნაკ. | (წთ) |
|---|---|---|---|
| 10 | კლაას-იან ჰუნტელაარი | ჰოლანდია | 504 |
| 9 | მიროსლავ კლოზე | გერმანია | 505 |
| 7 | მიქაელ ფორსელი | ფინეთი | 625 |
| 6 | რობინ ვან პერსი | ჰოლანდია | 294 |
| 6 | დავიდ ვილია | ესპანეთი | 490 |
| 6 | ძერძეი რუდოლფი | უნგრეთი | 642 |
| 5 | ტიმ მატავჟი | სლოვენია | 311 |
| 5 | დირკ კუიტი | ჰოლანდია | 522 |
| 5 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | შვედეთი | 597 |
| 5 | რობი კინი | ირლანდია | 712 |
| 4 | ადამ სალაი | უნგრეთი | 198 |
| 4 | მარიო გომესი | გერმანია | 240 |
| 4 | ჯერდან შაჩირი | შვეიცარია | 291 |
| 4 | მარვინ ოგუნჯიმი | ბელგია | 304 |
| 4 | კრიშტიანო რონალდო | პორტუგ. | 360 |
| 4 | კასპერ ჰამალაინენი | ფინეთი | 463 |
| 4 | მარკო არნაუტოვიჩი | ავსტრია | 469 |
| 4 | იოსი ბენაიუნი | ისრაელი | 469 |
| 4 | გევორქ ლაზარიანი | სომხეთი | 516 |
| 4 | ნიკო კრანჩარი | ხორვატია | 520 |
| 4 | არდა თურანი | თურქეთი | 534 |
| 4 | ანტონიო კასანო | იტალია | 551 |
| 4 | იურა მოვსისიანი | სომხეთი | 588 |
| 4 | ალექსანდრს ცაუნია | ლატვია | 630 |
| 4 | მესუთ იოზილი | გერმანია | 698 |
| 4 | ჰენრიკ მხითარიანი | სომხეთი | 720 |
| ...2 | დავით სირაძე | საქართვ. | 331 |
| 2 | ჯაბა კანკავა | საქართვ. | 450 |
| 1 | ალექსანდრე იაშვილი | საქართვ. | 534 |
| 1 | ლევან კობიაშვილი | საქართვ. | 720 |

სომხეთის ნაკრების სამმა ფეხბურთელმა, **გევორქ ლაზარიანმა, იურა მოვსისიანმა** და **ჰენრიკ მხითარიანმა** ჯამში 12 გოლი გაიტანეს, საქართველოს ნაკრებმა კი - ორჯერ ნაკლები - 6! თანაც, ჩვენმა მეზობლებმა მატჩით ნაკლები ითამაშეს.

**საგოლე პასები**

| პასი | ფეხბ. | ნაკ. | (წთ) |
|---|---|---|---|
| 6 | სებასტიან ლარსონი | შვედეთი | 591 |
| 6 | მესუთ იოზილი | გერმანია | 698 |
| 6 | ვესლი სნეიდერი | ჰოლანდია | 720 |
| 5 | დირკ კუიტი | ჰოლანდია | 522 |
| 5 | ბალაჟ ძუძაკი | უნგრეთი | 586 |
| 5 | კიმ კალსტრიომი | შვედეთი | 631 |
| 4 | დენის რომედალი | დანია | 515 |
| 4 | ნანი | პორტუგ. | 527 |
| 4 | ტომაშ როსიცკი | ჩეხეთი | 534 |
| 4 | მაჰირ შუკუროვი | აზერბ. | 540 |
| 4 | თომას მიულერი | გერმანია | 658 |
| ...1 | დავით თარგამაძე | საქართვ. | 180 |
| 1 | ოთარ მარცვალაძე | საქართვ. | 257 |
| 1 | უჩა ლობჟანიძე | საქართვ. | 270 |
| 1 | დავით სირაძე | საქართვ. | 331 |

ერთმა აზერბაიჯანელმა მცველმა **მაჰირ შუკუროვმა** იმდენივე საგოლე პასი გააკეთა, რამდენიც მთელმა ჩვენმა ნაკრებმა - 4.

**ზუსტი დარტყმა**

| დარტ. | ფეხბ. | ნაკრ. | (წთ) |
|---|---|---|---|
| 17 | დავიდ ვილია | ესპანეთი | 490 |
| 17 | მიქაელ ფორსელი | ფინეთი | 625 |
| 16 | კლაას-იან ჰუნტელაარი | ჰოლანდია | 504 |
| 16 | ზლ. იბრაჰიმოვიჩი | შვედეთი | 597 |
| 16 | ძერძეი რუდოლფი | უნგრეთი | 642 |
| 14 | კრიშტიანო რონალდო | პორტუგალია | 360 |
| 13 | ზორან ტოშიჩი | სერბეთი | 444 |
| 13 | ქარიმ ბენზემა | საფრანგეთი | 599 |
| 13 | მესუთ იოზილი | გერმანია | 698 |
| 13 | ივან ტრიჩკოვსკი | მაკედონია | 710 |
| 13 | ვესლი სნეიდერი | ჰოლანდია | 720 |
| 12 | მიროსლავ კლოზე | გერმანია | 505 |
| 12 | კონსტანტ. ვასილიევი | ესტონეთი | 720 |
| ...5 | ალექსანდრე იაშვილი | საქართველო | 534 |
| 4 | ჯაბა კანკავა | საქართველო | 450 |
| 3 | შოთა გრიგალაშვილი | საქართველო | 60 |
| 3 | ოთარ მარცვალაძე | საქართველო | 257 |
| 3 | დავით სირაძე | საქართველო | 331 |
| 2 | გია გრიგალავა | საქართველო | 180 |
| 2 | გურამ კაშია | საქართველო | 260 |
| 2 | ზურაბ ხიზანიშვილი | საქართველო | 720 |
| 2 | ლევან კობიაშვილი | საქართველო | 720 |
| 1 | ალექსანდრე კობახიძე | საქართველო | 13 |
| 1 | გიორგი მერებაშვილი | საქართველო | 76 |
| 1 | დავით თარგამაძე | საქართველო | 180 |
| 1 | მურთაზ დაუშვილი | საქართველო | 254 |
| 1 | მალხაზ ასათიანი | საქართველო | 360 |
| 1 | ჯანო ანანიძე | საქართველო | 419 |
| 1 | კახა კალაძე | საქართველო | 810 |

ყველაზე ზუსტი ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებში (**ალექსანდრე იაშვილი**) შესარჩევ ციკლში 104-ე ადგილზეა.

**არაზუსტი დარტყმა**

| დარტყ. | ფეხბ. | ნაკ. | (წთ) |
|---|---|---|---|
| 16 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | შვედეთი | 597 |
| 15 | დავიდ ვილია | ესპანეთი | 490 |
| 15 | ლიორ რაფაელოვი | ისრაელი | 605 |
| 15 | ვესლი სნეიდერი | ჰოლანდია | 720 |
| 14 | იურა მოვსისიანი | სომხეთი | 588 |
| 14 | ივან ტრიჩკოვსკი | მაკედონია | 710 |
| ...6 | ოთარ მარცვალაძე | საქართვ. | 257 |
| 6 | ჯაბა კანკავა | საქართვ. | 450 |
| 6 | ზურაბ ხიზანიშვილი | საქართვ. | 720 |
| 5 | ვლადიმერ დვალიშვილი | საქართვ. | 324 |
| 4 | გურამ კაშია | საქართვ. | 260 |
| 4 | გოგიტა გოგუა | საქართვ. | 290 |
| 4 | ლევან კობიაშვილი | საქართვ. | 720 |
| 3 | დავით სირაძე | საქართვ. | 331 |
| 3 | ჯანო ანანიძე | საქართვ. | 419 |
| 3 | კახა კალაძე | საქართვ. | 810 |
| 2 | შოთა გრიგალაშვილი | საქართვ. | 60 |
| 2 | დავით თარგამაძე | საქართვ. | 180 |
| 2 | უჩა ლობჟანიძე | საქართვ. | 270 |
| 2 | დავით კვირკველია | საქართვ. | 293 |
| 2 | ალექსანდრე იაშვილი | საქართვ. | 534 |
| 2 | ალეკო ამისულაშვილი | საქართვ. | 611 |

თუკი სიზუსტეში მოვიკოჭლებთ, ამცილებლებში ჩვენგან „საუკეთესო" (**ოთარ მარცვალაძე**) 59-ე ადგილზეა. თან ოთარი ყოველ 42 წუთში ერთხელ აცილებდა.

**თამაშგარე**

| თამაშგ | ფეხბ. | ნაკ. | (წთ) |
|---|---|---|---|
| 14 | ქარიმ ბენზემა | საფრანგეთი | 599 |
| 14 | ენდი სილვა | სან მარინო | 630 |
| 14 | ედინ ჯეკო | ბოსნია | 683 |
| 12 | ზლ. იბრაჰიმოვიჩი | შვედეთი | 597 |
| 12 | ჰამდი სალიჰი | ალბანეთი | 658 |
| 11 | დიმიტ. სალპინგიდისი | საბერძნეთი | 573 |
| 10 | ძერძეი რუდოლფი | უნგრეთი | 642 |
| ...6 | ლადო დვალიშვილი | საქართველო | 324 |
| 3 | ლევან კობიაშვილი | საქართველო | 720 |
| 2 | გოგიტა გოგუა | საქართველო | 290 |
| 2 | ალექსანდრე იაშვილი | საქართველო | 534 |
| 1 | დავით თარგამაძე | საქართველო | 180 |
| 1 | ოთარ მარცვალაძე | საქართველო | 257 |
| 1 | დავით კვირკველია | საქართველო | 293 |
| 1 | დავით სირაძე | საქართველო | 331 |
| 1 | მალხაზ ასათიანი | საქართველო | 360 |

**ვლადიმერ დვალიშვილი** ყოველ 54 წუთში ერთხელ ხვდებოდა თამაშგარე მდგომარეობაში. მართალია, ეს ბენზემას „შედეგს" (43 წუთში ერთხელ) ჩამორჩება, მაგრამ მაინც ძალიან ცუდი მაჩვენებელია.


კლაას-იან ჰუნტელაარი შესარჩევი ციკლის ბომბარდირია 10 გოლით

**გაფრთხილება**

| გაფრ. | ფეხბ. | ნაკ. | (წთ) |
|---|---|---|---|
| 5 | დავიდე სიმონჩინი | სან მარინო | 466 |
| 5 | ტიმოფეი კალაჩევი | ბელარუსი | 484 |
| 5 | ვინსენ კომპანი | ბელგია | 514 |
| 5 | ზოლტან ლიპტაკი | უნგრეთი | 521 |
| ...3 | ზურაბ ხიზანიშვილი | საქართველო | 720 |
| 2 | ოთარ მარცვალაძე | საქართველო | 257 |
| 2 | უჩა ლობჟანიძე | საქართველო | 270 |
| 2 | ლევან კობიაშვილი | საქართველო | 720 |

**გაძევება**

32 ფეხბურთელი თითო გაძევებით

საქართველოს ნაკრებმა 9 მატჩში ერთხელაც არ მიიღო წითელი ბარათი.

### გუნდური სტატისტიკა

**გოლები**

| გოლი | ნაკრები | საშუალოდ |
|---|---|---|
| 34 | ჰოლანდია | 4,25 |
| 28 | გერმანია | 3,5 |
| 26 | შვედეთი | 3,25 |
| 22 | უნგრეთი | 2,44 |
| 21 | ესპანეთი | 3,5 |
| 17 | სომხეთი | 2,12 |
| 16 | ბელგია | 2 |
| 16 | ხორვატია | 2 |
| 16 | იტალია | 2 |
| ...6 | საქართველო | 0,67 |

საქართველოს ნაკრებს თამაშში საშუალოდ 0,67 გოლი გააქვს - ძალზე დაბალი შედეგია. ეს 51 ნაკრებში 38-ე ადგილზეა.

**მიღებული გოლები**

| გოლი | ნაკრები | საშუალოდ |
|---|---|---|
| 1 | იტალია | 0,12 |
| 3 | ჩერნოგორია | 0,5 |
| 3 | საფრანგეთი | 0,38 |
| 3 | ინგლისი | 0,43 |
| 4 | რუსეთი | 0,5 |
| 4 | საბერძნეთი | 0,5 |
| 4 | დანია | 0,67 |
| ...7 | საქართველო | 0,78 |

ნაკრების დაცვა მონოდების სიმაღლეზეა - მხოლოდ 0,78 გაშვებული ბურთი მატჩში, ეს მსოფლიოს ჩემპიონ ესპანელებზე (0,83) უკეთესი შედეგია, ზოგადად კი მე-14 მაჩვენებელია.

**ზუსტი დარტყმა**

| დარტ. | ნაკრები | საშუალოდ |
|---|---|---|
| 75 | გერმანია | 9,38 |
| 72 | ესპანეთი | 12 |
| 69 | ჰოლანდია | 8,62 |
| 65 | შვედეთი | 8,12 |
| 58 | ხორვატია | 8,12 |
| 56 | სომხეთი | 7 |
| ...39 | საქართველო | 4,33 |

საქართველოს ნაკრებმა საშუალოდ ზუსტად ლამის სამჯერ იშვიათად ურტყა მეტოქეთა კარში, ვიდრე ამ მაჩვენებლით საუკეთესო ესპანეთმა.

**არაზუსტი დარტყმა**

| დარტ. | ნაკრები | საშუალოდ |
|---|---|---|
| 72 | შვედეთი | 9 |
| 65 | გერმანია | 8,12 |
| 64 | ესტონეთი | 7,11 |
| 63 | ბელგია | 7,88 |
| 63 | სლოვაკეთი | 7 |
| 59 | საბერძნეთი | 6,56 |

მგონი, ნაკრების წარუმატებლობის მთავარ მიზეზსაც მივაგენით. საქართველოს ნაკრები ამცილებელ გუნდთა ლიდერებშია, მე-6 ადგილზეა. თანაც ჩვენ „წინ" ვინც არიან, ისინი ზუსტადაც მეტს ურტყამდნენ, ვიდრე ქეცბაიას რაზმი.

**კუთხურები**

| კუთხ. | ნაკრები | საშუალოდ |
|---|---|---|
| 62 | სლოვენია | 6,89 |
| 59 | შვედეთი | 7,38 |
| 58 | ხორვატია | 7,25 |
| 58 | საფრანგეთი | 7,25 |
| 55 | ესპანეთი | 9,17 |
| ...44 | საქართველო | 4,89 |

44 კუთხური მე-16 შედეგია, რაც ურიგო არ არის, მაგრამ ერთიცაა - 44-დან მხოლოდ 1-ს მოჰყვა გოლი მეტოქის კარში - **კანკავამ თარგამაძის** კუთხურის შემდეგ მალტას თავით გაუტანა.

**ჯარიმები**

| ჯარ. | ნაკრები | საშუალოდ |
|---|---|---|
| 143 | ესტონეთი | 15,89 |
| 137 | ფარერები | 13,7 |
| 134 | უნგრეთი | 14,89 |
| 134 | ლატვია | 16,75 |
| 134 | სან მარინო | 14,89 |
| 133 | ბელგია | 16,62 |
| 130 | სლოვაკეთი | 16,25 |
| ...110 | საქართველო | 12,22 |

**ჯარიმები (მათ წინააღმდეგ)**

| ჯარ. | ნაკრები | საშუალოდ |
|---|---|---|
| 132 | ბელარუსი | 14,67 |
| 129 | საბერძნეთი | 16,12 |
| 120 | საქართველო | 13,33 |
| 118 | სომხეთი | 14,75 |
| 118 | ბოსნია | 14,75 |

საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ 120-ჯერ დაჯარიმდნენ, ეს მესამე შედეგია - ანუ ჩვენ გუნდს კვლავ უფრთხიან. თუმცა ეს მაჩვენებელი ბევრს არ ნიშნავს - მაგალითად, ანდორა 114 ჯარიმით (მათ წინააღმდეგ) ლიდერებშია, ესპანეთის (67) და პორტუგალიის (66) წინააღმდეგ კი ყველაზე იშვიათად ჯარიმდებოდნენ.

**მატჩების სტატისტიკა**

ყველაზე მეტი გოლი: 11 - **ჰოლანდია-სან მარინო (11:0)**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 20 - **ბელგია-ავსტრია (4:4)**

ყველაზე მეტი აცილება: 19 - **შოტლანდია-ლიტვა (1:0)**

ყველაზე მეტი კუთხური: 18 - **სლოვაკეთი-ანდორა (1:0)**

ყველაზე მეტი თამაშგარე: 18 - **ლიტვა-ლიხტენშტაინი (0:0)**

ყველაზე მეტი ჯარიმა: 46 - **ჩერნოგორია-ბულგარეთი (1:1)**

ყველაზე მეტი გაფრთხილება: 12 - **ბოსნია-ბელარუსი (1:0)**

### საქართველოს ნაკრების სტატისტიკა

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი (7 თ, -4 გ), გიორგი ლორია (2 თ, -3 გ)

**მცველები:** კალაძე (9 თ), ხიზანიშვილი (8), ამისულაშვილი (7), სალუქვაძე (5), ასათიანი (4), კვირკველია (4), კაშია (3), ლობჟანიძე (3), ხუბუტია (3), გრიგალავა (2).

**ნახევარმცველები:** კობიაშვილი (8, 1), ანანიძე (7), კანკავა (5, 2), გოგუა (5), დაუშვილი (5), მერებაშვილი (3), გრიგალაშვილი (2), თარგამაძე (2), აფციაური (1), კოშკაძე (1), კობახიძე (1).

**თავდამსხმელები:** იაშვილი (9, 1), დვალიშვილი (8), სირაძე (7, 2), მარცვალაძე (4), გელაშვილი (1).

კახა კალაძემ და ალექსანდრე იაშვილმა ნაკრების 9-ვე მატჩი ითამაშეს. აღსანიშნავია კალაძის მიღწევა - შეუცვლელად, 810 წუთი თამაში. ასე ჯანმრთელად ჩვენი კაპიტანი არც ერთ შესარჩევ ციკლში არ ყოფილა.

**შენიშვნა:** ყველა სტატისტიკური მაჩვენებელი უეფას ოფიციალური საიტიდანაა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ინგლისის ნაკრები



ფაბიო კაპელო: მთავარი პრობლემა ფეხბურთელების ტვინებშია

# ფაბიო კაპელო გამოსავლის ძიებაში

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** ფიფას რეიტინგში 117-ე ადგილზე მყოფ უელსთან არადამაჯერებელი გამარჯვებით უკმაყოფილო დარჩა. მაესტრომ ხაზი გაუსვა, რომ მის შეგირდებს უპირველესად ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნათ, ხოლო მატჩის წინა მოთელვაზე შეამჩნია, რომ ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ იყო კონცენტრირებული. ზოგიერთმა ტრიბუნების ზეწოლას ვერ გაუძლოო. იქვე მან ყველას მიანიშნა, რომ ამის აღმოსაფხვრელად მზადაა, მოთამაშეთა ნაწილს დაემშვიდობოს და ნაკრებში უფრო გაწონასწორებულებს უხმოს. იტალიელი ვარაუდობს, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე წარუმატებელმა გამოსვლამ ფეხბურთელებს დიდი დაღი დაასვა, რაც მათ ფსიქიკაში ღრმად არის დალექილი. "რამდენიმე მნიშვნელოვან რამეს მატჩის დაწყებამდე მივხვდი, - თქვა დონ ფაბიომ. - მიყვარს მატჩის წინა მოთელვის ყურება, რადგან დაკვირვების საფუძველზე ხშირად მინინასწარმეტყველებია, თუ რა მოხდებოდა შეხვედრაში. რას მივხვდი? მოდი, შევთანხმდეთ, რომ ეს ჩემი და ფეხბურთელების საიდუმლოდ დარჩება. ვიცოდი, რომ რთული შეხვედრა გველოდა. ყველა მცდელობა ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე და პირველი ტაიმის შემდეგაც, ფუჭი აღმოჩნდა. ვერაფრის შეცვლა ვერ მოვახერხე. არადა, ვცადე, დაველაპარაკებოდი ფეხბურთელებს. მთავარი პრობლემა მათ თავებში იყო. ხანდახან მართლა ვერ ვხვდები, რა ხდება ხოლმე მათში. კარგად სულ 20 წუთი ვითამაშეთ. კი, მაგრამ რატომ არ უნდა გვეთამაშა იმავე დონეზე მთელი მატჩი? აი, სწორედ ამას ვერ ვიგებ. როცა ამის დროს მოვა, ფეხბურთელებს კიდევ დაველაპარაკები, რადგან შეიძლება ისინი კარგად გამოიყურებოდნენ ვარჯიშებზე, ყველაფერს აკეთებდნენ, რასაც ვავალებ, მაგრამ მატჩი დაიწყება თუ არა, გადასხვაფერდნენ. იმედია, შევძლებ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მისვლას".

ბრალდება ფიფას

# ბინ ჰამამის მორიგი ლაშქრობა

ფიფას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი **მოჰამედ ბინ ჰამამი** ამ ორგანიზაციამ რამდენიმე თვის წინ ფეხბურთიდან სამუდამოდ მოკვეთა. თუმცა ის არ ცხრება და მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანოს ისევ უტევს. ყატარელმა ბიზნესმენმა თავის ოფიციალურ საიტზე წერილი გამოაქვეყნა, სადაც კიდევ ერთხელ უყენებს ბრალდებებს ფიფას მოქმედ პრეზიდენტ **ზეპ ბლატერსა** და გენერალურ მდივან **ჟერომ ვალკეს**: "ევროპელი ფუნქციონერი რომ ვყოფილიყავი, ბლატერი და ვალკე თითსაც ვერ დამაკარებდნენ. პირიქით, სწორედ ისინი რომ არ ყოფილიყვნენ ევროპელები, არ ექნებოდათ საშუალება, ფიფას ეთიკის კომისიაში ემუშავათ და ყველა არასასურველი პერსონის წინააღმდეგ ის ეკეთებინათ, რასაც მოისურვებდნენ. ზუსტად ისე, როგორც მე მომექცნენ. არასდროს არავისი მოსყიდვა არ მიცდია და კომისიის სხდომაზე შეკრებილმა ყველა ადამიანმა ეს მშვენივრად იცოდა. ბლატერი ჩემ წინააღმდეგ სწორედ იმ ადამიანების ნალაპარაკებს ეყდნობოდა, ვინც თავად მიიწვია ჩვენებების მისაცემად.

მსოფლიოში არავის სჯერა, რომ ბლატერი და ვალკე კორუფციის წინააღმდეგ რამეს იღონებენ. თუკი მათ მართლა სურთ ამ მოვლენასთან ბრძოლა, საქმე საკუთარი თავებიდან უნდა დაიწყონ, რადგან მათ წინააღმდეგ წლების განმავლობაში ისმოდა ბრალდებები".



მოჰამედ ბინ ჰამამი

ამბები

## უეფამ დაადასტურა

შეცდომა ყველას მოსდის, მათ შორის ყველაზე პედანტურად მომუშავე ორგანიზაციებსაც კი. ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის 6 სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩების გამართვიდან მეორე დღესაც კი უეფას საიტზე ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეთა შორის ჰოლანდია ჯერ არ ეწერა. ეს მაშინ, როცა ამ ქვეყანაში პრესამ წინა საღამოს დაიწყო ზეიმი, ევროპის ჩემპიონატზე მივდივართო. ორგანიზაციამ საკუთარი ვებგვერდის შეცდომა გუშინ გამოასწორა და დაადასტურა, რომ "ნარინჯისფრებმა" საგზური უკვე დაიბევეს. ჩვენი გაზეთი ამას უკვე წერდა, თუმცა მკითხველს მაინც გავუმეორებთ – 8 შეხვედრაში 24 ქულის დაგროვების შემდეგ **ბერტ ვან მარვიიკის** გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი არა, მაგრამ საუკეთესო მეორეადგილოსნის სახელი უკვე გაინაღდა, რაც მას ჩემპიონატის საგზურს ანიჭებს. ამრიგად, მასპინძელი ქვეყნების პოლონეთისა და უკრაინის შემდეგ ჩემპიონატზე თამაში გაინაღდეს ევროპირველობის უმთავრესმა ფავორიტებმა გერმანიის, ჰოლანდიის, ესპანეთისა და იტალიის ნაკრებებმა.

## ფერგიუსონი ქებად დაიღვარა



"მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** "მარკას" ჟურნალისტებთან ინტერვიუსას "რეალის" დამრიგებელ **ჟოზე მოურინიოზე** დადებითად ილაპარაკა. მოგეხსენებათ, პორტუგალიელს ბოლო პერიოდში კრიტიკოსები ისევ მოუმრავლდა. შოტლანდიელი ამტკიცებს, რომ "განსაკუთრებული კაცი" მას საკუთარ თავს აგონებს. "მოურინიო საკუთარ ახალგაზრდობას მაგონებს. მეც სწორედ ასეთი ენთუზიაზმით ვუდგებოდი საქმეს. გულშემატკივრები ხვდებიან, რომ ის თავდაუზოგავად იბრძვის მათთვის და გუნდისთვის. ჟოზე ჩემი დიდი მეგობარია. ის არასოდეს მალავს საკუთარ ემოციებს. ამ თვისებას კი ადამიანებში ძალიან ვაფასებ. ამას გარდა, თავისუფლად შეუძლია დასცინოს საკუთარ თავს. როდესაც ის "ჩელსიში" მუშაობდა, ერთმანეთთან დაპირისპირების შემდეგაც შეგვეძლო დავმსხდარიყავით და ღვინო დაგველია, გველაპარაკა ძალიან ბევრ თემაზე. შეიძლება 4-5 წლის შემდეგ ის დაღვინდეს და ბევრად უფრო მშვიდ ადამიანად გადაიქცეს", – განაცხადა ფერგიუსონმა.

## შეთავაზება უეფას

ევროპის წამყვანი კლუბები უეფას სთავაზობენ შემოიღოს კანონი, რათა ფინანსური ფეარ პლეის დარღვევის შემთხვევაში კლუბებს ტრანსფერებზე შეზღუდვა დაუწესდეთ. "ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს ფინანსურ ფეარ პლეის, რადგან ევროპული ფეხბურთი საჭიროებს ცვლილებებს. კლუბების საერთო ფინანსური ზარალი ევროპის მასშტაბით მხოლოდ შარშანდელი წლის განმავლობაში ერთ მილიარდ ევროს გადასცდა, ასე რომ, უკვე გადამწყვეტი მოქმედებების დრო დადგა, – განაცხადა "ინტერის" გენერალურმა დირექტორმა **ერნესტო პაოლილომ**. – აუცილებელია სანქციების შემოღება, რადგან კლუბებმა უნდა იცოდნენ, რა ელით წესების დარღვევის შემთხვევაში. ტრანსფერების აკრძალვა ან შეზღუდვა, ასევე უეფასგან კუთვნილი პრემიული თანხების ჩამორთმევა მისაღები სანქციები უნდა იყოს".

მსგავსი გადაწყვეტილების მიღებაზე რეკომენდაცია ოფიციალურად უეფას ფინანსური საბჭოს პრეროგატივაა. "ინტერის" წარმომადგენელმა ამ შემთხვევაში გაახმოვანა იდეა, რომელსაც მრავალი გავლენიანი მხარდამჭერი ჰყავს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

მოსაზრება

# გარიგება ჩელსის სასარგებლოდ

**ვეტერანი თუ მოქმედი ფეხბურთელების მესვეტეობა ბრიტანულ გაზეთებში დიდი ხნის ტრადიციაა. „დეილი მეილის" ფურცლებზე ხშირად წერს საკუთარ მოსაზრებებს "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ფეხბურთელი გარი ნევილი. ამჯერად მან 2009/10 წლების სეზონი, "ჩელსის" მიერ პრემიერლიგის მოგება და თავისი ბოლო თამაში გაიხსენა კარიერაში:**

"ჩელსის" დაეხმარნენ, როცა მათ პრემიერლიგა ბოლოჯერ მოიგეს 2010 წელს. ლონდონელებს მხოლოდ რამდენიმე მატჩი რჩებოდათ ტურნირის დამთავრებამდე. ვილაცებს ეგონათ, რომ მათ რთული მატჩი ელოდათ "ენფილდზე", თუმცა ჩვენ, "მანჩესტერში" მშვენივრად ვიცოდით, რომ "ლივერპული" შეეცდებოდა "არისტოკრატებისთვის" დავალების შესრულება შეემსუბუქებინა, რათა ჩვენ სარეკორდო მე-19 ტიტული არ მოგვეგო. ჩვენამდე მთელი კვირა მოდიოდა ხმები, რომ "ლივერპულის" ვეტერანი ფეხბურთელები ხშირად უმეორებდნენ თავის ახალგაზრდა თანაგუნდელებს, წყეულიმც იყვნენ ეს "ეშმაკები", შანსი არა აქვთ, რომ წელს ლიგა მოიგონო.

არ ვიცი, ეს ხმები მართალია თუ ვინმეს ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ საკუთარი თვალით ვუყურებდი, რომ იმ დღეს "ლივერპული" მოედანზე მხოლოდ დასეირნობდა. ბევრს შეეძლო შეემჩნია, რომ მასპინძლები იმ დღეს საზაფხულო არდადეგებზე ფიქრობდნენ, ის შეხვედრა კი საერთოდ არ აღელვებდათ. მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ ამ თემაზე წუწუნს ვერ დავიწყებდით, მით უფრო - ხმამაღლა. საბოლოოდ ეს ჩვენთვისაც სამართლიანი შედეგი იქნებოდა, რადგან ხსენებულ სეზონში ოპტიმალური ფორმისგან შორს ვიყავით. ამ შემთხვევამ "ლივერპული" კიდევ უფრო მკვეთრ ფერებში დაგვიხატა".

ამავე სვეტში ნევილი იხსენებს "მანჩესტერ იუნაიტედში" თავის უკანასკნელ თამაშს "ვესტ ბრომვიჩის" წინააღმდეგ. ვეტერანი ისე საშინლად თამაშობდა, რომ შესვენებისას განმარტოება მოუნდა და სხვა ადგილი რომ ვერსად ნახა, ტუალეტში ჩაიკეტა. "მართლა საზიზღრად ვთამაშობდი პირველი 45 წუთის განმავლობაში, მაგრამ გულშემატკივრებს ეს ვერ აჩერებდა, ისინი ჩემს სახელს სკანდირებდნენ, მღეროდნენ, "გარი ნევილი წითელია, წითელია"... პირველად ცხოვრებაში ამის გამო თავი უხერხულად ვიგრძენი. გულში ვითხოვდი, დღეს მაინც ნუ მღერით ამას, მე ხომ ეს არ დამიმსახურებია. ადრე შეიძლება, მაგრამ ახლა ნამდვილად არა-მეთქი. ერთი სული მქონდა, როდის დამთავრდებოდა შეხვედრა. გასახდელში ფერგიუსონი გვიყვიროდა, რათა საშინელი თამაში გამოგვესწორებინა. ჩვენ კი მართლა გულისამრევად გამოვიყურებოდით. თუმცა ჩემთვის ესეც სულერთი იყო. მე უბრალოდ სახლში წასვლა მსურდა. მინდოდა, გავუჩინარებულიყავი. ვიჯექი, ვუყურებდი კედლებს და ვხვდებოდი, რომ ჩემი გონება სულ სხვაგან იყო და ვხვდებოდი იმასაც, რომ ცხოვრების ყველაზე საშინელი წარმოდგენები რეალობად მექცა".



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევერტონი



ევერტონი სწორედ ამ ორ ადამიანზე დგას: ბილ კენრაიტი (მარცხნივ) და დევიდ მოიესი

# შომაბეზრებელი სტაბილურობა

**ზოგადად** ყველგან ასე ხდება. თუ კი ინგლისური პრემიერლიგის კლუბებზეა ლაპარაკი, ყველაზე ხშირად "დიდი ოთხეულის" წევრებზე იწერება, რადგან მათ ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავთ მთელ მსოფლიოში. ამ ბოლო დროს ასევე პოპულარულები გახდნენ "მანჩესტერ სიტი" და "ტოტენჰემიც". თუმცა ინგლისური ფეხბურთი არ არის მხოლოდ "დიდი ოთხეული", პლუს აღნიშნული ორი კლუბი. დღეს ჩვენ გვინდა სტატია "ევერტონზე" შემოგთავაზოთ. "გუდისონ პარკის" მკვიდრებზე ეს ნაშრომი უცხოურ სპორტულ ვებგვერდზე ვნახეთ.

მთელი ზაფხული სიტუაცია "გუდისონ პარკზე" გვაგონებდა ოკეანეს აბსოლუტური სიწყნარის დროს, მაგრამ ამის მიუხედავად გემი სახელად "ევერტონი" მაინც სერიოზულად შეირყა. გაუგებრობა მერსისაიდის ლურჯ ნაწილში მაშინ დაიწყო, როცა კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **ბილ კენრაიტი** "ევერტონის" გულშემატკივრებს შეხვდა. "სახალხო კლუბი" ხომ ერთ-ერთი ყველაზე პასიური იყო სატრანსფერო ბაზარზე. სხვა რა შეიძლება ითქვას, როცა მთელი ზაფხული კლუბს "სპორტინგიდან" **ერიკ დირის** მეტი არავინ დაუმატებია და ისიც იჯარით. მხოლოდ ბოლო დღეებში მოხერხდა **როისტონ დრენტესა** და **დენის სტრაკალურსის** გადაბირება და რაც მთავარია, მათიც იჯარით. სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ ფონზე **დევიდ მოიესი** და ბილ კენრაიტი დუმდნენ. ამ დროს "ევერტონის" გულშემატკივრები შურით ტუჩებს ილოკავდნენ, როცა ხედავდნენ, იმას, რაც ლივერპულის წითელ ნაწილში ხდებოდა – მათი გუნდის შემადგენლობა ხომ რა ხანია, სერიოზულად არ გადახალისებულა. "ევერტონი" ხომ ბოლო წლებში მეტნაკლებად სტაბილურად ინარჩუნებს შემადგენლობას.

დუმილი კლუბის ადმინისტრაციის მიერ ორი კვირის წინ დაირღვა და იმას, რაც ითქვა, ნამდვილად არ გამოუწვევია დადებითი ემოციები. კენრაიტი გამოტყდა, რომ ამ ეტაპზე გაყიდული ფეხბურთელებისთვის მიღებული თანხების ახალ მოთამაშეებში დახარჯვის უფლებას კლუბი საკუთარ თავს ვერ მისცემდა, რადგან ბანკი მათგან ვალების დროულად დაფარვას ითხოვდა. საქმე ის არის, რომ "ზამბახების" ვალი 45 მილიონ ფუნტს უდრის. ბუნებრივია, ამ პირობებში შემადგენლობის რაიმენაირ გაძლიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ბანკი კლუბისთვის დამატებით თანხების გამოყოფაზე კატეგორიულ უარს ამბობდა. სხვათა შორის, **სტივენ პიენაარის** გაყიდვით მიღებული ფული კლუბმა პირდაპირ მიმართა ვალის დასაფარავად. პრინციპში "ლურჯების" ფანები რაიმე დამაიმედებელის მოსმენას შეხვედრის დაწყებამდეც არ ელოდნენ. ისინი უკვე შეეგუვნენ, რომ კლუბი მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით საზრდოობს და შეეგუვნენ იმასაც, რომ დევიდ მოიესს ახალი ფეხბურთელის შეძენის შანსი მაშინ ეძლევა, როცა ძვირად ღირებულ მოთამაშეს გაყიდის. დევიდს ტყუილად ხომ არ უწოდებენ გენიოსს? უკვე წლებია, ის შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში ახერხებს პრემიერლიგის ლიდერთა შორის დატოვებას.

ამ პირობებში ყველაზე მეტი ზეწოლა, რა თქმა უნდა, კენრაიტზე მოდის და ეს სამართლიანიც არის. თუმცა მან რამდენადაც უნდა მოინდომოს რადიკალურად სიტუაციის შეცვლა, არაფერი გამოვა. ყველაზე იოლი პირველივე მყიდველისთვის "ევერტონის" მიყიდვა იქნებოდა (სხვათა შორის მისტერ ბილმა უკვე განაცხადა, ერთი ასეთი შარლატანის წინადადება შორს დავიჭირეო), თუმცა რეალურად ეს არ არის გამოსავალი. ძალიან ძნელია ადამიანის ნახვა, ვინც რეალურად არის დაინტერესებული კლუბის წარმატებებით. ყველას ხომ ისე არ უმართლებს, როგორც "ჩელსისა" და "მანჩესტერ სიტის" – ჰკითხეთ "პორტსმუთის" ფანებს და გეტყვიან, როგორია უუნარო ხელმძღვანელების ატანა. ხოლო იქამდე, ვიდრე ღირსეული ინვესტორები გამოჩნდებიან, კლუბის მართვა ისევ და ისევ კენრაიტს მოუწევს. ის, რომ "ევერტონის" მყიდველი არ ჩანს, ამას ორი ძალიან გავლენიანი ქალბატონიც ადასტურებს. ესენი არიან ცნობილი ინგლისელი ფინანსისტი, წარსულში საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარე, ახლა კი საინვესტიციო კომპანია "სეიმურ პირსის" ხელმძღვანელი **კეიტ ჰარისი** და საფინანსო-კონსალტინგური კომპანია "პისიპი კეპიტალ პარტნერსის" თავმჯდომარე **ამანდა სტეივლი**.

კლუბის მმართველებმა დაადასტურეს, რომ სამწვრთნელო შტაბმა ოთხი ფეხბურთელის გაყიდვას თავიდანვე დაადო ვეტო - **ლეიტონ ბეინსი, ფილ ჟაგიელკა, მარუან ფელაინი** და **ტიმ ჰოვარდი**, რადგან ისინი ულაპარაკოდ მიიჩნევიან გუნდის უმთავრეს აქტივებად. რაც შეეხება "ზამბახების" კიდევ ერთ ლიდერ **ჯეკ როდუელს**, ვისი გადაბირებაც "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ტოტენჰემს" სურდათ, მასზე მოიესს არ უთქვამს, ხელშეუხებელიაო. ახალგაზრდა ინგლისელი 20 მილიონ ფუნტად არის შეფასებული. მისი წასვლა არ მოჩანს ისე მომაკვდინებლად გუნდისთვის, რადგან მოიესისთვის შეუცვლელ ფეხბურთელად ვერ იქცა. მით უფრო, რომ ბოლო სეზონში წინსვლა შეანელა. საბოლოოდ მაინც ისე მოხდა, რომ გუნდი დატოვა არა როდუელმა, არამედ **მიკელ არტეტამ**. ერთი შეხედვით ენა არ გვიბრუნდება ვთქვათ, რომ ეს დანაკლისი აუნაზღაურებელია-თქო... მიუხედავად ტალანტისა, ესპანელი ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ხშირად იყო ტრავმირებული, თანაც ნახევარდაცვის ცენტრი ნამდვილად არ არის "ევერტონის" ყველაზე სუსტი ხაზი – გუნდს საკმაოდ ჰყავს ამ პოზიციაზე კარგი შემსრულებლები, თუმცა ეს მაინც ნახევრად თავის დამშვიდებაა. ისინი ვინც გუნდში რჩებიან, თამაშის სტილით მიკელისგან ძალიან განსხვავდებიან. ყველაფერს ისიც უნდა დავამატოთ, რომ მერსისაიდელებმა ესპანელში არცთუ ისე დიდი თანხა აილეს.

საშიში სხვა რამ არის: ხომ არ იქცევა არტეტას გაყიდვა გემის ჩაძირვის პირველ საგანგაშო სიგნალად. მოიესმა უკმაყოფილება გამოხატა ბოლო მომენტში ფეხბურთელის გაყიდვის გამო, რადგან შემცვლელის მოყვანის კი არა, ფიქრის დროც კი აღარ დარჩა, ვინ შეიძლებოდა ეყიდა მის ადგილას. გუნდი დატოვა ასევე ორმა ფორვარდმა – **ჯერემი ბეკფორდმა** და **იაკუბუ აიგბენიმ**, ისინი "ევერტონის" დონეზე უბრალოდ ვერ "ქაჩავდნენ". მათ ადგილზე ერთადერთი თავდამსხმელი მოვიდა: არგენტინელი დენის სტრაკალურსი, მაგრამ განა ადაპტაციის პრობლემებისგან ვინმე დაზღვეულია? თავდასხმაში ალტერნატივა პრაქტიკულად არ არსებობს. **ლუის საა** საავადმყოფოში უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე ბაზაზე, **ვიქტორ ანიჩებე** ნამდვილად ვერ ბრწყინავს (გუშინ ცნობილი გახდა, რომ ნიგერიელიც სერიოზულად დაიმტვრა - რედ.), **მაგე გაიეს** კი დიდ შანსი აქვს, ბეკფორდისა და აიგბენის გზას გაჰყვეს. მოიესს გულზე მალამოდ ეფინება 17 წლის **როს ბარკლის** თამაში, რომელიც ასაკის გათვალისწინებით უჩვეულოდ დაბრძენებულად თამაშობს. არტეტას შეცვლა ალბათ სწორედ მას დაევალება. საფეხბურთო ექსპერტები მას უკვე ასახელებენ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად. ბარკლი ალბათ უკვე ძალიან მალე მიიპყრობს მდიდარი კლუბების ყურადღებას. ნამდვილად არ იქნება გასაკვირი, თუკი "ევერტონი" მის მიმართაც ისეთივე პოზიციას დაიჭერს, როგორსაც როდუელის მიმართ, როცა ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობს ტრანსფერზე უარის თქმას.

შეუძლებელია წინასწარ იმის თქმა, რა თანხას გამოუყოფენ მოიესს შემადგენლობის გასაძლიერებლად უახლოეს სატრანსფერო პერიოდში, ერთი კი უკვე ვიცით, შოტლანდიელს ნახევარდაცვისა და თავდასხმისთვის სურს ახალი სისხლის გადასხმა.

ამბები

## ტორესს გოლები მართებს

ესპანეთის ნაკრების დამრიგებელმა **ვისენტე დელ ბოსკემ** გასაგებად აუხსნა **ფერნანდო ტორესს**, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელია, მანამდე, ვიდრე ის "ჩელსიში" გოლების გატანას რეგულარულად არ დაიწყებს, ნაკრებში მისი ადგილი არ იქნება. შეგახსენებთ, რომ ლიხტენშტაინთან მატჩისას "ფურია როხას" დამრიგებელმა შეგირდი მატჩის საყურებლად ტრიბუნებზე გაუშვა. მის ნაცვლად კი ძირითადში **ალვარო ნეგრედო** გაამწესა, ვინც თავი დუბლით ისახელა. ძირითადში იყო დავიდ ვილიაც, ვინც ასევე ორი გოლი გაიტანა. თავდამსხმელთაგან სკამზე **ფერნანდო ლორენტე** დარჩა.

დელ ბოსკეს პოზიცია გასაგებია, რადგან "ჩელსიში" გადასვლიდან დიდი დრო გავიდა, "ელ ნინიომ" კი ერთადერთხელ, 23 აპრილს "ვესტ ჰემთან" შეხვედრაში მოახერხა თავის გამოჩენა. ის შეხვედრა მისმა გუნდმა 3:0 მოიგო, ასე რომ, იმ შეხვედრაში ფერნანდოს რამე განსაკუთრებულ ღვაწლზე უბრალოდ ვერ ვილაპარაკებთ.

## ევერტონმა ანიჩებე დაკარგა

"ევერტონის" პრობლემებს ესლა აკლდა... ლივერპულელებმა 23 წლის შემტევი **ვიქტორ ანიჩებე** სამი თვით დაკარგეს. ნიგერიელმა ტრავმა სანაკრებო შეხვედრაში მიიღო. შეგახსენებთ, რომ 31 აგვისტოს კლუბმა ორი თავდამსხმელი გაუშვა - **იაკუბუ აიგბენი** "ბლექბერნში" გაყიდა, **ჯერმეინ ბეკფორდი** – "ლესტერში". **დევიდ მოიესის** განკარგულებაში სამი კვალიფიციური ფორვარდიღა რჩება **ლუის საა, დენის სტრაკვალურსი** და **ჟოზე ბაქსტერი**.

## პირველი სამწვრთნელო დანაკარგი

პორტუგალიის ჩემპიონატის დაწყებიდან ჯერ სამი ტურია გასული და ლიგა საგრეშში პირველი სამწვრთნელო ცვლილება უკვე მოხდა – კარისკენ მიუთითეს "უნიაუ ლეირიას" დამრიგებელს, 40 წლის **პედრო კახინიას**. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ქულის აღებაც კი ვერ მოახერხა. ბურთების სხვაობა კი 4:9-ზეა. ამ მაჩვენებლით მარინიაგრანდელები ბოლო ადგილზე არიან.

## არსადაც არ მიდის

"არსენალის" პრეზიდენტი **პიტერ ჰილ-ვუდი** გაკვირვებულია პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თითქოს ის **არსენ ვენგერის** გუნდიდან გაშვებას აპირებდეს: *"ვენგერი მუშაობას განაგრძობს. ხმები მისი შესაძლო გათავისუფლების შესახებ სისულელეა და მეტი არაფერი. სეზონის დაწყებამდე ჩვენ ახალი ფეხბურთელები შევიძინეთ და მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს კარგად არც კი ვიცნობ, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გაგვაძლიერებენ".*



სამირ ნასრი

## ნასრი ითამაშებს

"მანჩესტერ სიტის" ახალწვეულმა **სამირ ნასრიმ** ექიმებისგან ნებართვა მიიღო, რომ მომავალ უქმეებზე "უიგანის" წინააღმდეგ პრემიერლიგის მე-4 ტურში ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ რუმინეთთან შეხვედრაში 24 წლის ფეხბურთელმა ხელის თითი მოიტეხა. ფრანგის არყოფნა "ქალაქელებისთვის" სერიოზული დანაკლისი იქნებოდა, მით უფრო ფანტასტიკური სადებიუტო შეხვედრის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ "ტოტენჰემთან" მატჩში "უაით ჰართ ლეინზე" სამირმა სამი საგოლე გადაცემა მიითვალა.

## ცოტა პოლიტიკაც...

პოლიტიკურ თემატიკაზე წერა ჩვენი გაზეთის საქმე არ არის, მაგრამ ამ ინფორმაციას მაინც შემოგთავაზებთ, მით უფრო, რომ ის ფეხბურთსაც ეხება. ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის **დირკ ბრენგელმანის** განცხადებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენლები უახლოეს პერიოდში უკრაინას ეწვევიან, რათა ერთად შეიმუშაონ დახმარების პაკეტი, რომელიც ამ ქვეყანას მომავალ წელს შეიძლება დასჭირდეს ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზომების გასატარებლად.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



Warsteiner
EINE KÖNIGIN UNTER DEN BIEREN
რეპორტაჟების სპონსორია
გერმანული ლუდი ვარშტაინერი
როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ევრობასკეტი 2011

# ბოსგან დაბომბილები

## მეოთხედფინალში გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს

6 სექტემბერი
ლიტვა, ვილნიუსი

**საქართველო-მაკედონია 63:65**

12-13, 14-16, 18-25, 19-11

3000 მაყურებელი

მსაჯები: რობერტ ლოტერმოსერი (გერმანია), ადემირ ზურაპოვიჩი (ბოსნია), მარიუს ჩიულინი (რუმინეთი)

| საქართველო | წთ | ო.ბ. | ო.ბ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | ა | მ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. გამყრელიძე | 14 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 4 | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 |
| *5. ვ. ბოისა | 16 | 2/4 | 50.0 | 2/4 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 4 |
| 6. ა. ბოისა | 8 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| *8. ცინცაძე | 12 | 0/2 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 0 | 1 |
| 9. შერმადინი | 16 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 1 |
| *11. მარკოიშვილი | 33 | 3/11 | 27.3 | 3/8 | 37.5 | 0/3 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 3 | 3 | 2 | 4 | 2 | 0 | 4 | 8 |
| 12. პეინსი | 21 | 1/5 | 20.0 | 1/4 | 25.0 | 0/1 | 0.0 | 4/5 | 80.0 | 1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 6 |
| *13. სანიკიძე | 32 | 5/6 | 83.3 | 4/4 | 100.0 | 1/2 | 50.0 | 4/6 | 66.7 | 2 | 5 | 7 | 1 | 7 | 1 | 0 | 2 | 15 |
| 14. შენგელია | 24 | 2/9 | 22.2 | 2/8 | 25.0 | 0/1 | 0.0 | 3/4 | 75.0 | 2 | 2 | 4 | 0 | 2 | 1 | 1 | 2 | 7 |
| *15. ცქიტიშვილი | 25 | 6/13 | 46.2 | 3/5 | 60.0 | 3/8 | 37.5 | 5/6 | 83.3 | 3 | 7 | 10 | 2 | 2 | 1 | 1 | 3 | 20 |
| გუნდი | | | | | | | | | | 3 | 6 | 9 | | 1 | | | 0 | |
| ჯამი | | 19/52 | 36.5 | 15/37 | 40.5 | 4/15 | 26.7 | 21/29 | 72.4 | 15 | 31 | 46 | 11 | 21 | 7 | 2 | 23 | 63 |

| საქართველო | წთ | ო.ბ. | ო.ბ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | ა | მ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. მირაკოვსკი | 8 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 4 | 0 |
| *5. ილიევსკი | 29 | 2/8 | 25.0 | 0/2 | 0.0 | 2/6 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 4 | 6 |
| 6. სოკოლოვი | 12 | 1/3 | 33.3 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | 3 |
| *7. მაკალები | 31 | 10/16 | 62.5 | 10/13 | 76.9 | 0/3 | 0.0 | 7/9 | 77.8 | 0 | 1 | 1 | 4 | 4 | 4 | 0 | 3 | 27 |
| *8. ვ. სტოიანოვსკი | 27 | 2/4 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 2/4 | 50.0 | 2/2 | 100.0 | 1 | 3 | 4 | 2 | 0 | 1 | 0 | 4 | 8 |
| 9. დ. სტოიანოვსკი | 13 | 1/7 | 14.3 | 1/2 | 50.0 | 0/5 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 4 |
| *11. გეჩევსკი | 21 | 1/6 | 16.7 | 1/4 | 25.0 | 0/2 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 4 |
| *12. ანტიჩი | 38 | 3/12 | 25.0 | 2/8 | 25.0 | 1/4 | 25.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 0 | 5 | 8 |
| 14. ჩეკოვსკი | 2 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| 15. სამარჯინსკი | 19 | 2/8 | 25.0 | 2/8 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 5 | 1 | 6 | 0 | 1 | 1 | 4 | 3 | 5 |
| გუნდი | | | | | | | | | | 3 | 2 | 5 | | 1 | | | 0 | |
| ჯამი | | 22/66 | 33.3 | 16/39 | 41.0 | 6/27 | 22.2 | 15/18 | 83.3 | 12 | 20 | 32 | 9 | 10 | 13 | 5 | 29 | 65 |

### ბუ

ძალიან ცუდი რამ მოხდა მეორე პერიოდის დასრულებამდე 3 წუთით ადრე: ტრავმა მიიღო **გიორგი ცინცაძემ,** რომელმაც მატჩის გაგრძელება ვერ შეძლო. თამაშის დასრულების შემდეგ „ბუ“ საავადმყოფოში წაიყვანეს და მივიღეთ არასახარბიელო დიაგნოზი: გიორგის ფეხზე ჯვარედინი იოგი აქვს გაწყვეტილი და ოპერაცია დასჭირდება.

### ბო

**ბო მაკალები** მაკედონიის ნაკრების ნატურალიზებული გამთამაშებელია, რომელმაც მთელი მაკედონია გაახარა: მატჩის დასრულებამდე 16 წამით ადრე, ანგარიშზე 63:63, ბურთი ბოლომდე გაათამაშა საქართველოს ნაკრების ფარქვეშ შეიჭრა დაზედ საფინალო სირენასთან ერთად გამარჯვების მომტანი ორქულიანი ჩააგდო. მაკალებმა საბოლოოდ 27 ქულა მოაგროვა, მაშინ, როცა ვერც ერთი მაკედონელი ასცდა 10-ქულიან ნიშნულს.

პრესკონფერენციაზეც მთავარი თემა სწორედ ბო იყო. საქართველოს ნაკრების თავკაცმა **იგორ კოკოშკოვმა** თქვა:

*- მაკალები შეხვედრის საკვანძო ფიგურა გახლდათ. მაშინ, როცა მის გუნდს შეტევაში უჭირდა, სწორედ ბო მაკალები აგდებდა. ჩვენ კი არ აღმოგვაჩნდა ასეთი კალათბურთელი. სამწუხაროდ, ბოლო წამებზე ვერ შევძელით ბოს შეჩერება და გადამწყვეტი ბურთიც მან ჩააგდო. ძალიან რთული მატჩი იყო, ჩემმა ბიჭებმა ბოლომედე იბრძოლეს. მათ მიმართ სასაყვედურო არ მაქვს.*

ქართველმა კალათბურთელებმა მართლაც ბოლომდე იბრძოლეს, გიორგი ცინცაძისა და **ზაზა ფაჩულიას** არყოფნაში ბოლო წუთებზე 10-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, სირენამდე 16 წამით ადრე **ნიკა ცქიტიშვილმა** ორი საჯარიმოთი ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ მაკალებმა ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. ვიდრე ბო კალათისკენ დაიძრებოდა, მასზე ჯარიმის აღებაც შეიძლებოდა და ბოლო იერიშის უფლება საქართველოს დარჩებოდა, მაგრამ ჩვენები ასე არ მოიქცნენ. იყო კიდევ ერთი ნიუანსი: ყველამ იცოდა, რომ მაკალები ფარისკენ დაიძვრებოდა. ასეთ დროს კი ზონების გადაკეტვის სპეციალისტი **ვლადიმერ ბოისაა,** რომელიც გადამწყვეტ მომენტს სათადარიგოთა სკამზე შეხვდა...

ნამატჩევს მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა გამოუცდელობა ახსენა. ევრობასკეტზე მიღებული გამოცდილება ქართველ კალათბურთელებსაც ძალიან გამოადგებათ და მწვრთნელებსაც. ვფიქრობ, იგორ კოკოშკოვი ნანობს, რომ ნაკრებში გამოუცდელი **მარკიზ პეინსი** ჩამოიყვანა. არადა, ევროპაში მაკალებისა და **როულანდის** დონის კალათბურთელი არაერთია, რომელიც ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარს ნამდვილად არ იტყოდა და მგონია, არც ბულგარეთთან წავაგებდით, არც მაკედონიასთან და სლოვენიასთანაც შეიძლებოდა მოგება.

### სკიბა

ნიშნის მოგებით არ ვამბობ: ტურნირის მსვლელობისას გვერდით მყოფ ჟურნალისტს გადავულაპარაკე - მწვრთნელმა ნიკოლოზ ცქიტიშვილი მეტად უნდა გამოიყენოს. იგი რაც ნაკლებ ნდობას გრძნობს, მით ინერტულია. გავიხსენეთ, რომ პორტუგალიაში შარშან სასტარტო ხუთეულში მოხვედრა 15 მოხსნით აღნიშნა.

იგორ კოკოშკოვმა მაკედონიასთან ზაზა ფაჩულიას გარეშე ითამაშა და არაერთი სიახლე შემოგვთავაზა. პირველი მოულოდნელობა ცქიტიშვილის სასტარტო შემადგენლობაში ცენტრის პოზიციაზე გამწესება იყო. შესაბამისად მივიღეთ მობილური ხუთეული, რომელმაც მაკედონელებს დიდი თავსატეხი გაუჩინა. ნიკა ფარქევშაც კარგად იბრძოდა და პერიმეტრზე სამქულიანების სატყორცნადაც ადიოდა. გამოჩნდა, რომ ასეთი ტაქტიკით თამაში მაშინაც შეიძლებოდა, როცა ზაზა ფაჩულია ჯანმრთელად იყო. გუშინ ნიკა მაკალების შემდეგ მოედანზე საუკეთესო იყო - 20 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. ქართველთა მიერ რეალიზებული 4-დან 3 სამქულიანი სკიტას ანგარიშზე მოდის.

*- ბოლომდე ვიბრძოლეთ, მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი კალათბურთელები (ცინცაძე და ფაჩულია) გვაკლდნენ, ურიგოდ არ გვითამაშია. კარგად გამოვიყურებოდით დაცვაში, მაგრამ ბო მაკალებმა დიდი თავსატეხი გაგვიჩინა და საბოლოოდ მოგვიგო კიდეც,* - აღნიშნა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა.

### ციფრები

იცით კიდევ რა არის დასანანი? - მაკედონელებმა ვერც ტყორცნებში გვჯობეს და ვერც ფარქვეშ. მეტსაც გეტყვით, - მოხსნებში საქართველოს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა: 46:32, რაც ლოგიკურად გამარჯვების საწინდარი უნდა გამხდარიყო... მაგრამ ეს უპირატესობა ჩვენმა გუნდმა შეცდომებით გადაფარა (21:10).

აქვე უნდა ვთქვათ: წაგების მიუხედავად, ქართველებს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი არ დაუკარგავთ. ამისთვის აუცილებელია ბოლო ორი მატჩის მოგება, 10 სექტემბერს ფინეთთან და 12-ში საბერძნეთთან.



რა გვაქვს მენიუში? - გულშემატკივრობა

# მი ი სლოვენცი, ვპირიოდ რასია და საქართველოს გაუმარჯოს!

7 სექტემბერს ვილნიუსში მეორე ეტაპის პირველი ტურის მატჩები გაიმართა. მასპინძელი ლიტვის ნაკრები მესამე შეხვედრას (ადგილობრივი დროით 21 საათზე) თამაშობდა. დარბაზის ღებვა ნელ-ნელა დაიწყო და 21 სათისთვის მთლიანად დასრულდა - გულშემატკივრებმა „სიმენს არენა“ პირამდე გაავსეს, გაამეწვანეს და გამოგიტყდებით, ტრიბუნების თვალიერება არანაკლებ საინტერესო იყო, ვიდრე მატჩი - ხან ლიტვის უზარმაზარი დროშა გადმოფინეს, ხან გერბი, ხან პლაკატები წარწერით „შარას“... ვფიქრობ, სერბების დამარცხებაში გულშემარტივარმაც დიდი წვლილი შეიტანა.

■ ■ ■

ცხადია, კლაიპედაში ქართველები იმდენი არ იყვნენ, რომ დარბაზი პირამდე გაევსოთ, მაგრამ 1500-მდე ჩვენიანს ქომაგობაში ლიტველებიც ეხმარებოდნენ და თამამად შეიძლება ითქვას - კლაიპედური ტური ქართულმა გულშემატკივრობამ გაალამაზა.

ჩვენები საყვირებითა და თეთრ-წითელი მაისურებით შეიჭრნენ კლაიპედას ქუჩებიდან არენაზე და თვით სლოვენიელებიც გაკვირვებულები დატოვეს: უკრაინა-ბელგიის მატჩის შესვენებაზე დარბაზის ფოიეში ბანქოს მოთამაშე სლოვენიელებს ჩავუარე. გამაჩერეს და მკითხეს, თქვენი თამაში ხომ ორი საათის წინ დასრულდა, გულშემატკივარი კი ახლაც იმდენია, რაც საქართველოს მატჩისას. რაშია საქმეო?

ავუხსენი, რომ ჩვენი გუნდის მომდევნო ეტაპზე გასვლა უკრაინაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ქართველი გულშემატკივრები უკრაინის დროშის ფერებში გამოეწყვნენ და მხურვალედ ქომაგობდნენ ლურჯ-ყვითლებს. მანამდე ერთი დღით ადრე, უკრაინა-საქართველოს მატჩის ბოლოს ჩვენი ქომაგები ამხნევებდნენ როგორც საქართველოს, ასევე უკრაინას.

მთავარი შეძახილი კი ასე ჟღერს: „გაუმარჯოს, გაუმარჯოს, სა-ქარ-თვე-ლოს გაუმარჯოს!“

ქომაგებმა ყველაზე მეტად კალათბურთელებს შეაყვარეს თავი, 6 სექტემბერს, როცა ჯგუფიდან გასვლის საკითხი დადებითად გადაწყდა, მოთამაშეებმა ფანებთან ერთად გაიხარეს, იცეკვეს და იმღერეს საქართველოს ჰიმნი. ავტობუსი რომ დაიძრა, წინ დიდი დროშა გაშალეს და ისე გააცილეს.

4 სექტემბერს ერთმა ლიტველმა გულშემატკივარმა დანანებით მითხრა - ორი დღეც და კლაიპედა დაცარიელდება, ველარ გავიგონებთ საყვირების ხმას, ველარ შევხვდებით ქართველებსო...

...მაგრამ მთავარია, რომ გუნდი მომდევნო ეტაპზე გავიდა და ახლა ქართული დღეები ვილნიუსში იწყება.

■ ■ ■

უკრაინელებს კლაიპედაში საკუთარ ქომაგებზე მეტად ქართველები გულშემატკივრობდნენ, ბულგარელებს ფანები სულ არ ჰყავდათ, ხოლო ბელგიელთა ერთი ჯგუფი მეორე მატჩიდან ორგანიზებულად ყვიროდა: Let's go Belgium, let's go!

რუსებისა და სლოვენიელების რიცხვი კი ლიტვაში დღითი-დღე მატულობს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მათი გუნდები რეგულარულად პლეი ოფში თამაშობენ და ქომაგიც უფრო გადამწყვეტი მატჩებისთვის ემზადება.

რუსებს ხახადაფჩენილი დათვის გამოსახულებიანი დროშა „ამშვენებდათ“ და ისე გაიძახოდნენ: Мы едины, мы не победимы! Вперед Россия мы с тобой! ამას მოსდევდა სხვადასხვა სიმღერები. „კატიუშათი“ დაწყებული, ჰიმნით დამთავრებული.

ყველაზე მეტად მაინც სლოვენიელი ქომაგებით მოვიხიბლე. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში ფეხზე დგანან და ხელაწეულები მღერიან: „მი ი სლოვენცი!“

სლოვენიასთან მატჩის მიმოხილვაში დავწერე, შეხვედრის წინ როგორ დამიძახეს „მწვანეებმა“ ზურგსუკნიდან - წარმატებას გისურვებთო. სად არ შეხვდებოდით სლოვენიელებს: „სუხიშვილების“' კონცერტზე ლუდით ხელში მოცეკვავეებს, კლაიპედასთან მდებარე კუნძულის უკიდურეს სამხრეთში, სადაც საოცარი ხედი იშლება... მოულოდნელად საშუალება მომეცა ცნობილი ლუდი „შვიტურისის“ ქარხანა დამეთვალიერებინა, იქაც სლოვენიელთა ოცკაციანი ჯგუფი დამხვდა, რომელსაც გიდი მიუძღოდა. მოკლედ, სლოვენიელებმა კარგად იციან რა აკეთონ დარბაზში და მის გარეთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**
ვილნიუსიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ევროპასკეტი 2011. მეორე ჯგუფური ეტაპი


დირკ ნოვიცკი

# დირკზე წინ მხოლოდ გალისია

## ფრანგებმა ორი მატჩით ჟელაბალე დაკარგეს

ევროპასკეტზე ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. მეორე ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში გერმანიისა და ესპანეთის ნაკრებთა მატჩის შემდეგ, ბუნდესნაკრების ლიდერი **დირკ ნოვიცკი** ევროპის ჩემპიონატების ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე გადავიდა.

ამ მომენტისთვის „დალას მავერიქსის" ვარსკვლავის მონაგარი 938 ქულას შეადგენს, რაც ისტორიაში მეორე შედეგია. ლიდერი კვლავინდებურად ლეგენდარული ბერძენი **ნიკოლას გალისია** - 1004 ქულა.

ნოვიცკიმ ბომბარდირთა სიაში გაუსწრო ისრაელელ **მიკი ბერკოვიჩს**, რომლის ანგარიშზე 935 ქულა მოდის. .

■ ■ ■

გუშინ, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა **ვენსან კოლემ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისმა გუნდმა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე დაკარგა. თურქეთთან მატჩში **მიკაელ ჟელაბალემ** მარჯვენა ფეხი დაიზიანა და მეორე ჯგუფური ეტაპის დარჩენილ ორ შეხვედრას გამოტოვებს.

*„ჟელაბალე ნამდვილად არ ითამაშებს ესპანეთისა და ლიტვის წინააღმდეგ. იმედია, მეოთხედფინალისთვის ის მწყობრში იქნება"*, - განაცხადა კოლემ.

ევრობასკეტზე მიკაელი საშუალოდ 25 წუთს თამაშობს და 9.3 ქულასა და 2.5 მოხსნას აგროვებს.

# რუსეთი მეორე ასპროცენტიანია

წლევანდელ ევრობასკეტზე ორი გუნდია, რომელსაც ჯერ თამაში არ წაუგია. გუშინწინ, საფრანგეთმა თურქეთს მოუგო და გამარჯვებათა სერია 6 მატჩამდე აიყვანა, გუშინ კი **კოლეს** გუნდს რუსეთმა მიჰბაძა და მანაც თითქმის გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური.

საინტერესოა, რომ წარსულში ცნობილმა საბჭოთა კალათბურთელმა **სერგეი ტარაკანოვმა** რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს **დევიდ ბლატს** „იღბლიანი" უწოდა და მართლაც, აქამდე რამდენიმე შეხვედრაში (მათ შორის საქართველოსთან) რუსებს აშკარად გაუმართლათ, მაგრამ ფინეთთან გუშინდელ თამაშზე ამას ვერ ვიტყვით. როგორც ჩანს, სკანდინაველთა სენსაციების მარაგი პირველ ჯგუფურ ეტაპზე ამოიწურა და ამჯერად, ფინეთმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს. ფინელებმა მხოლოდ ბოლო მეოთხედი მოიგეს ორი ქულით, მაგრამ სანამ ეს მეოთხედი დაიწყებოდა, რუსეთი 21 ქულით იყო წინ და ბოლო 10-წუთეულს ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

გამარჯვებულმა გუნდმა მთლიანად დაიპყრო სამწამიანი და ამ ზონიდან ფინეთს 52 ქულა(!) ჩაუგდო, იმ დროს, როცა მეტოქის ანალოგიური მონაგარი მხოლოდ 18 ქულას შეადგენდა. კვლავ საუკეთესო იყო რუსეთის რიგებში **კირილენკო**, რომელმაც თამაშიდან ექვსი ისროლა და ხუთი ჩააგდო, დაცვაში კი ოთხი ჩაჭრა მიითვალა. მოულოდნელი იყო **ხრიაპას** 11 შედეგიანი პასი.

რაც შეეხება დღის ბოლო შეხვედრას, სლოვენიამ ფანტასტიკური მესამე მეოთხედის წყალობით არა მარტო გააბათილა 12-ქულიანი ჩამოჩენა საბერძნეთთან, არამედ ბოლო 10-წუთეულის წინ ორი ქულით დაწინაურდა და ამის შემდეგ, თითქმის ბოლომდე ქულა ქულაში თამაში მიდიოდა. ბოლო წუთ-ნახევარმა კი **ცისისის** ორი და **ფოცისის** ერთი სამქულიანი და სლოვენიის მიერ ხუთიდან ოთხი აცილებული საჯარიმო დაიტია და საბერძნეთმა უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო, რაც ჯგუფში პირველობის შანსს უტოვებს.

**F ჯგუფი**

**ფინეთი-რუსეთი · 60:79**

**14:18, 6:15, 18:26, 22:20**

**ფ:** პუფი (14), რანიკო (11), კოპონენი (10), ლი (9), კოტი (6+7 მოხსნა), კოივისტო (4), ნიკილა (2+7 მოხსნა), ვირტანენი (2).

**რ:** კირილენკო (14+4 ჩაჭრა), შვედი (12+6 პასი), ვორონცევიჩი (11), მოზგოვი (11), ბიკოვი (8), ხრიაპა (7+11 პასი+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), მონია (6), ფრიძონი (6), შაბალკინი (2), ანტონოვი (2).

**სლოვენია-საბერძნეთი 60:69**

**13:18, 12:19, 21:7, 14:25**

**სლო:** ლაკოვიჩი (14), ზ. დრაგიჩი (10), ლორბეკი (10+5 მოხსნა), ბეგიჩი (8+12 მოხსნა+3 დაფარება), გ. დრაგიჩი (7), სმოდიში (5), ოზბოლტი (3+5 მოხსნა), მურიჩი (1).

**საბ:** ცისისი (19+5 მოხსნა), ბურუსისი (8+6 მოხსნა), კალატესი (7), ფოცისი (7), ბრამოსი (7), კუფოსი (6+8 მოხსნა), პაპანიკოლაუ (6+6 მოხსნა), ვასილეადისი (5+4 პასი), მავროედისი (2), კაიმაკოგლუ (2).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 3 | 3 | 0 | 209-182 | 6 |
| 2. მაკედონია | 3 | 3 | 0 | 209-191 | 6 |
| 3. საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 208-193 | 5 |
| 4. სლოვენია | 3 | 1 | 2 | 211-209 | 4 |
| 5. საქართველო | 3 | 0 | 3 | 196-217 | 3 |
| 6. ფინეთი | 3 | 0 | 3 | 191-232 | 3 |


სლოვენია-საბერძნეთი

# არის პროგრესი! სეზონი გადარჩა?

## ამერიკაში ნახევარფინალისტები გაიცნეს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ და მოთამაშეთა პროფკავშირმა ოთხშაბათს მორიგი შეხვედრა გამართეს ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების საკითხში კონსენსუსის მისაღწევად. ამჯერად მოლაპარაკებები ხუთსაათ-ნახევარი გაგრძელდა და მისი შედეგების შესახებ მოგვიანებით გახდა ცნობილი.

როგორც ამერიკული პრესა წერს, ინფორმაცია დამაიმედებელია. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, მხარეები პრინციპულ შეთანხმებამდე მივიდნენ და სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში ლიგა და მოთამაშეები შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს იპოვიან.

*„ვფიქრობ, გარიგების დადების დრო მოვიდა"*, - განაცხადა პროფკავშირების შეფმა **ბილი ჰანტერმა**. გარდა ამისა, მოთამაშეთა პროფკავშირის პრეზიდენტმა **დერეკ ფიშერმა** ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ კომპრომისი ძალიან ახლოა.

მოლაპარაკებები გუშინ უნდა გაგრძელებულიყო. შეხვედრა პარასკევსაც არის დაგეგმილი.

■ ■ ■

თუ ლოკაუტი დროულად დასრულდა და NBA-ში სეზონი დაიწყო, აზრი ეკარგება იქაური კალათბურთელების კონტრაქტებს ევროპულ კლუბებთან. არადა, გუშინ კიდევ ერთი ასეთი ტრანსფერი განხორციელდა. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ თურქულის ლიგის კლუბმა „თურქ ტელეკომმა" „იუტა ჯაზის" თურქი ცენტრი **მეჰმეთ ოქური** გაიფორმა.

რა თქმა უნდა, კონტრაქტის შემადგენელი პუნქტია ლოკაუტის დასრულებისთანავე NBA-ში დაბრუნება.

32 წლის ცენტრზე პრეტენზიას „ფენერბაჰჩეც" აცხადებდა, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებამდე საქმე მაინც არ მივიდა.

ოქურმა ბოლო ცხრა წელი NBA-ში გაატარა, სადაც „დეტროიტსა" და „იუტაში" თამაშობდა. გასულ სეზონში მან ტრავმის გამო მხოლოდ 13 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ მოკრძალებული 4.9 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

ევრობასკეტის პარალელურად, არგენტინაში მიმდინარეობს ამერიკის ჩემპიონატი, სადაც ასევე ოლიმპიური საგზურები თამაშდება. იქ მეორე ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი, თუმცა უკვე გაირკვა ოთხივე ნახევარფინალისტი. ლონდონის თამაშების ორი საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებენ: ბრაზილია, არგენტინა, პუერტო რიკო და დომინიკის რესპუბლიკა. ნახევარფინალური წყვილები გუშინდელი მატჩების შემდეგ უნდა გარკვეულიყო.

ასევე გასარკვევი იყო სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილის მფლობელი. ამ პოზიციისთვის ერთმანეთს ვენესუელა და კანადა ებრძოდნენ. მეხუთე ადგილი გაისად ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე გამოსვლის უფლებას იძლევა. ლონდონში მოხვედრის ყველანაირი შანსი დაკარგეს მეორე ეტაპის აუტსაიდერებმა - პანამამ და ურუგვაიმ.

გუშინ გაიმართა ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა - არგენტინა ბრაზილიის წინააღმდეგ.


არგენტინა-ბრაზილია

**ბრაზილია-არგენტინა 73:71**

**19:17, 8:11, 26:19, 20:24**

**ბ:** ჰეტსჰეიმერი (19+8 მოხსნა), მარსელინიო უერტასი (17), ვინისიუსი (14), ჯოვანიონი (13+8 მოხსნა).

**ა:** სკოლა (24+11 მოხსნა), ჯინობილი (14), პრიჯიონი (13+5 პასი), დელფინო (12).

# აბსურდი ვოლკოვისგან

## უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: საქართველოს ნაკრებს მსაჯები ეხმარებოდნენ, იყო პოლიტიკური ზეწოლა...

უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრ ვოლკოვმა** აღნიშნა, რომ ევრობასკეტის მატჩებში არბიტრებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოს ნაკრების მიმართ.

*„მსაჯობა აშკარად ლოიალური იყო საქართველოს ნაკრების მიმართ. მე ეს მხოლოდ უკრაინასთან მატჩის დროს არ შემინიშნავს. ვნახე ქართველების შეხვედრები სლოვენიასთან, რუსეთთან და იგივე შთაბეჭდილება დამრჩა... ქართველების ჩამოსვლა ევროპის ჩემპიონატზე - ათასობით გულშემატკივარი, ორგანიზებული ჩარტერები, ყველაფერი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების კონტროლქვეშ, პრეზიდენტისა და მინისტრების ჩამოსვლა... როგორც ჩანს, გარკვეული ზეწოლა იყო, შესაძლოა, პოლიტიკური ზეწოლაც კი"*, - ამბობს უკრაინული კალათბურთის შეფი.

*„ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა... მსაჯობა ერთგვარად პოლიტიზებული იყო. ბოლომდე ვერ გავრკვეულვარ, საკუთარ გამოძიებას ვატარებ. შესაძლოა, ეს ყველაფერი მომეჩვენა. მაგრამ, ერთი შეხედვით მართლაც ისე ჩანდა, რომ მსაჯები საკმარისად ლოიალურები იყვნენ საქართველოს მიმართ და ამ გუნდის გაქცევას შეუწყვეს ხელი უკრაინასთან მატჩში"*, - აგრძელებს „ფილოსოფიას" ვოლკოვი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



lariwin.com
the better way to play
მეტი, მიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორი ონლაინ კაზინო „ლარივინი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჭანგავაძე ქვინზთაუნიდან

● რაგბი. საქართველოს ნაკრები



# ბორჯღალოსნებით აღფრთოვანებული პატარები და დამფრთხალი კურდღლები

საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიაში ოთხი დღეა იმყოფება, თუმცა აქაურებმა თავიანთი სტუმართმოყვარეობით, თბილი და უშუალო დამოკიდებულებით, "ბორჯღალოსნებს" თავი უკვე უსაზღვროდ შეაყვარეს.

ხუთშაბათს **რიჩი დიქსონის** გადაწყვეტილებით, საქართველოს ნაკრების მორაგბეები ისვენებდნენ და მასპინძლებმა ჩვენს ბიჭებს სიურპრიზი მოუწყვეს. ქვინზთაუნთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ვანაკაში, რომელიც ძირითადად ფერმერებითაა დასახლებული, გუნდი დილაადრიანად გაემგზავრა. ჩვენი მორაგბეები ამ ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სკოლის მოსწავლეებთან შესახვედრად დაპატიჟეს.

ქვინზთაუნში დილიდან წვიმდა და საკმაოდ ციოდა. თუმცა ვანაკაში მშრალი ამინდი დაგვხვდა, რამაც ღონისძიება ჩაშლას გადაარჩინა. სკოლის დარბაზში შეკრებილი მოსწავლეები "ბორჯღალოსნებს" საქართველოს ჰიმნით შეხვდნენ.

სკოლის დირექტორმა მოკლე სიტყვაში საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს თასზე წარმატება უსურვა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბავშვები ჩვენს გუნდთან შესახვედრად ერთი თვეა ემზადებიან და რომ ამ დროის განმავლობაში, ბევრი რამ შეისწავლეს ჩვენი ქვეყნის შესახებ.

"ბორჯღალოსნებს" ტრადიციული მაორული სიმღერა "კივი ჰაკა" გოგონათა გუნდმა უმღერა, რასაც მთელი დარბაზის მიერ ახალი ზელანდიის ჰიმნის შესრულება მოჰყვა. მერე ქართულმა დელეგაციამ ვეტერანი მორაგბის **გივი ჭიჭინაძის** მეთაურობით, ჩვენი ქვეყნის ჰიმნი დასჭექეს, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

პატარებმა ჩვენს მორაგბეებს საჩუქრები დაახვედრეს, ეს ძირთადად სხვადასხვა ზომის ფურცლებზე გამოსახული საქართველოს დროშა და მასზე მიწერილი კეთილი სურვილები იყო.

შეხვედრამ ძალიან მეგობრულ, შესანიშნავ გარემოში ჩაიარა. დარბაზში სკოლის თითქმის ყველა მოსწავლეს მოეყარა თავი და ავტოგრაფის გარეშე არავინ დარჩენილა. ერთი პატარა, მოტეხილი ფეხით მოვიდა და ჩვენს მორაგბეებს ავტოგრაფი თაბაშირზე დაატოვებინა.

ღონისძიების დასრულებისთანავე ნაკრები მოთამაშეთა ერთმა ნაწილმა ბავშვებთან, იქვე არსებულ შესანიშნავ სარაგბო მოედანზე ოვალური ბურთით თამაშში მიიღო მონაწილეობა. მატჩი იმდენად დაძაბული გამოდგა, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში საქართველოს ნაკრების მენეჯერი **ვასილ აბაშიძე** დაშავდა, თუმცა ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

ამის შემდეგ, ჩვენი ეროვნული გუნდი სარაგბო კლუბ "იუპერ რუთას" რეზიდენციაში მიიწვიეს ბარბექიუზე. მერე გუნდი ორად გაიყო. ნაწილმა იქვე ტბაზე ნავებით სეირნობა და თევზაობა გადაწყვიტა, მეორე ჯგუფმა კი კურდღლებზე ნადირობა არჩია და მეც მათ გავყევი.

მასპინძლებმა ერთ-ერთი თავიანთი მეგობრის ფერმაში მიგვიყვანეს. აქაც ჯგუფი ორად გაიყო, ვინც ადგილზე დარჩა, სასტენდო სროლით გაერთო. **მამუკა გორგოძე, დავით ზირაქაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, დავით კაჭარავა, მერაბ კვირიკაშვილი, გივი ბერიშვილი** და **ლაშა მალაღურაძე** კი კურდღლებზე სანადიროდ გაემართნენ.

ერთი უცნაური დეტალი. ახალზელანდიელები კურდღლის ხორცს არ ჭამენ. მიაჩნიათ, რომ ის პარაზიტი ცხოველია და ძროხასა და ცხვარს ბალახს უჭამს. ეს ორი შინაური ცხოველი კი ადგილობრივებისთვის შემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა. კურდღლისგან ხეირი ცოტაა. ამიტომ მუსრს ავლებენ, თუმცა მაინც ძალიან სწრაფად მრავლდება.

ჩვენს მასპინძელს კი ფერმაში სრულიად სხვა ცხოველის ბიზნესი აქვს. ფერმა რამდენიმე ასეულ ჰექტარზეა გაშენებული და საკმაოდ მაღალ მთა-გორაკებს მოიცავს. აქ ექვსი ათასამდე შველ-ირემი ბინადრობს. ბუნების სილამაზეზე აღარაფერს ვიტყვით, ის უბრალოდ ენით აუწერელია.

ერთი სიტყვით, ჩვენი გუნდის წამყვანმა მოთამაშეებმა, ნაწილმა ფეხდაფეხ, ნაწილმა კი პატარა ვერტმფრენით კურდღლებზე ინადირა: ყველაზე მეტი შერკინების ბურჯმა დავით ზირაქაშვილმა მოინადირა. მის ანგარიშზე შვიდი კურდღელია. ორ-ორი მიითვალეს მამუკა გორგოძემ, დავით კაჭარავამ და გივი ბერიშვილმა, ერთიც ჯაბა ბრეგვაძემ. მგეზავებმა მერაბ კვირიკაშვილმა და ლაშა მალაღურაძემ, რომლებიც ასევე საქართველოს ნაკრების მთავარი დამრტყმელები არიან, მიზანში ვერ გაარტყეს.

"ბორჯღალოსნების" გართობა-დასვენება ამით დამთავრდა. დღეს ისინი ორჯერ ივარჯიშებენ და 14 სექტემბრამდე მხოლოდ რაგბით იქნებიან დაკავებულნი. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩს ჩვენი გუნდი ინვერქარგილში შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს.

| განრიგი აქეთია |
|---|
| 14 სექტემბერი |
| საქართველო-შოტლანდია |
| 18 სექტემბერი |
| საქართველო-ინგლისი |
| 28 სექტემბერი |
| საქართველო-რუმინეთი |
| 2 ოქტომბერი |
| საქართველო-არგენტინა |

ავტორის ფოტო

● რაგბი. მსოფლიოს თასი

# ოლ ბლექსი იწყებს, ვინ დაამთავრებს

**დღეს ოქლენდში მსოფლიოს თასის წლევანდელი გათამაშება გაიხსნება. პირველ შეხვედრაში, მასპინძლები, რომლებიც შეჯიბრების უმთავრესი ფავორიტები არიან, ტონგას ნაკრებს ეთამაშებიან.**

"ოლ ბელქსის" თავკაცმა **გრემ ჰენრი** პირველივე მატჩში საბრძოლო შემადგენლობას გამოიყვანს. ახალზელანდიელებს, ცხადია, ეჭვი არ ეპარებათ, რომ ტონგას ნაკრებს დაამარცხებენ და ბოლომდე ტრიუმფით ივლიან. თუმცა ისიც კარგად ესმით, რომ მსოფლიოს თასის გათამაშებაში სუსტი გუნდები არ არიან და ყველა ბოლომდე, თავდადებით იბრძვის.

საქართველოს ნაკრების მეტოქეები ერთმანეთს შაბათს, 10 სექტემბერს ეთამაშებიან. ინვერქარგილში შოტლანდიის ნაკრები რუმინეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. სკოტების შემადგენლობაში მსოფლიოს თასზე მეოთხედ იასპარეზებს **კრის პატერსონი**, რომელიც "ნარშავების" ინგლისელმა მთავარმა მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა** ფულბეკად გაამწესა.

მან რამდენიმე უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. მაგალითად, **ნიკ დე ლუკასა** და **გრემ მორისონს, ჯონ ანსბრო** და **შონ ლამონტი** ამჯობინა. შერკინების ბურჯი **როს ფორდი** კი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

თითქმის ოპტიმალური შემადგენლობითაა წარმოდგენილი რუმინეთის ეროვნული ნაკრები. **კატალინ ფერკუს** გარდა, რომელიც ახალ ზელანდიაში ფრენისადმი შიშის გამო არ წავიდა, ყველა წესრიგშია და ტრავმები არ აწუხებთ.

ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს ინგლისისა და არგენტინის ნაკრებების დაპირისპირება. მაგალითად, არიან თუ არა ყველასათვის ძველებურად ანგარიშგასაწევი ძალა, 2007 წლის მსოფლიოს თასის ფინალისტი "პომები" და მესამე ადგილის მფლობელი "პუმები".

როგორც უნდა იყოს, საქართველოს ნაკრებს ორივესთან ელის თამაში და საკმაოდ ძნელი ბრძოლის გადატანა მოუწევს.

იქამდე კი "ბორჯღალოსნები" 14 სექტემბერს პირველ შეხვედრას გამართავენ შოტლანდიის ნაკრებთან. ამიტომ, დღეს "სკოტებისა" და "სტეუარის" დაპირისპირებას საქართველოს ნაკრების მწვრთნელები ყურადღებით მიადევნებენ თვალს.

### ახალი ზელანდია-ტონგა

ახალი ზელანდია: 15. იზრაელ დაგი, 14. რიჩარდ კაჰუი, 13. მაა ნონუ, 12. სონი ბილ ვილიამსი, 11. ისაია ტოეავა, 10. დანიელ კარტერი, 9. ჯიმი ქოუანი. 1. ტონი ვუდკოქი, 2. ენდრიუ ჰორი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ალი ვილიამსი, 6. ჯერომ კაინო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. ვიქტორ ვიტო.

16. კორი ფლინი, 17. ბენ ფრენქსი, 18. ენტონი ბორიჩი, 19. სემ ვაითლოქი, 20. პირი ვიპუ, 21. კოლინ სლედი, 22. კორი ჯეინი.

ტონგა: 15. ვუნგა ლილო, 14. ვილიამ ლონგი, 13. სუკა ჰუფანაგა, 12. ენდრიუ მაილეი, 11. სოალე პიუტაუ, 10. კურტ მორატი, 9. ტანიელა მაოა. 1. სოანე ტონგაუიჰა, 2. ალეკი ლუტუი, 3. ფილისე ტაუფააო, 4. პაინო ჰეჰეა, 5, ჯო ტუინეაუ, 6. სიონე კალამაფონი, 7. ფინაუ მაკა, 8. ვილიამ მააფუ.

16. ეპჰრაიმ ტაუკავა, 17. ალისონა ტაუმალოლო, 18. კის პულუ, 19. სიონე ტიმანი, 20. სიმაუ ვაჰაფოლაუ, 21, სამისონი ფისალაუ, 22. ალიპატე ფატეფეჰი.

### შოტლანდია-რუმინეთი

შოტლანდია: 15. კრის პატერსონი, 14. მაქს ევანსი, 13. ჯო ანსბრო, 12. შონ ლამონტი, 11. საიმონ დანიელი, 10. რიჩარდ ჯექსონი, მაიკ ბლერი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. გოფ გროსი, 4. რიჩი გრეი, 5. ალისტერ კელოკი, 6. კელი ბრაუნი, 7. ჯონ ბარკლი, რიჩი ვერნონი.

16. სკოტ ლაუსონი, 17. Aლასდაირ დიკინსონი, 18. ნათან ჰინესი, 19. როს რენი, 20. კრის კაზიტერი, 21. დენ პარქსი, 22. რორი ლამონტი.

რუმინეთი: 15. იულიან დუმიტრაში, 14. შტეფან ჩუნტუ, 13. ჩაბა გალი, 12. იონუც დიმოფტე, 11. მადალინ ლემნარუ, 10. დანუც დუმბრავა, 9. ლუჩიან სირბუ. 1. მიჰაიტა ლაზარი, 2. მარიუს ტინკუ, 3. პაულიკა იონი, 4. ვალენტინე ურსაკე, 5. კრისტან პეტრე, 6. მიჰაი მაკოვეი, 7. ოვიდიუ ტონიცა, 8. დანიელ კარპო.

16. ბოგდან ზებეგა, 17. სილვიუ ფლორაე, 18. ვალენტინე პოპირლანი, 19. სტელიან ბურეა, 20. ფლორინ სურუჯუ, 21, ოინელ კაზანი, 22. Aდრიან ვლაიკუ.

### ინგლისი-არგენტინა

ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მანუ ტუილაგი, 12. მაიკ თინდოლი, 11. დელონ არმითიჯი, 10. ჯონი ვილკინსონი, 9. რიჩარდ ვაიგლსვორსი. 1. ენდრიუ შერიდანი, 2. სტივ ტომსონი, 3. დენ კოლი, 4. ლუის დიკონი, 5. კორტნი ლავი, 6. ტომ კროფტი, 7. ჯეიმზ ჰესკელი, 8. ნიკ ისთერი.

16. დილან ჰართლი, 17. მეთ სტივენსი, 18. ტომ პელმერი, 19. ტომ ვუდი, 20. ბენ იანგზი, 21. ტობი ფლუიდ, 22. მეთ ბანაჰანი.

არგენტინა: 15. მარტინ როდრიგესი, 14. გონსალო კამაჩო, 13. გონსალო ტიესი, 12. შანტიაგო ფერნანდესი, 11. ორასიო აგულა, 10. ფელიპე კონტეპომი, 9. ნიკოლას ვერგალო. 1. როდრიგო რონსერო, 2. მარიო ლედესმა, 3. ხუან ფიგალო, 4. მანუელ კარისა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ხულიო კაბელო, 7. ხუან მანუელ ლეგუზამონი, 8. ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე.

16. ავგუსტინ კრევი, 17. მარტინ სკელსო, 18. მარიანო გალარსა, 19. ალეხანდრო კამპოსი, 20. ალფრედო ლალანე, 21. მარსელო ბოსხი, 22. ხუან იმჰოფი.





როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE
msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა



# ტესტი: მშვილდოსანთა ოლიმპიურ-კორეული

მართლაც რომ უმძიმესი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ქართველი მშვილდოსნები ისვენებენ, თუმცა ამაში დამნაშავე, დიდწილად, უფულობაცაა. ამ დღეებში ჩინურ შანხაიში მსოფლიოს თასის რიგით მეოთხე, ამ რანგის სეზონის ბოლო შეჯიბრება მიმდინარეობს, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო იქ ჩვენი ნაკრების გაგზავნა ვერ მოხერხდა.

ქართველი მშვილდოსნებისთვის პირველი უახლოესი შეჯიბრება სექტემბრის ბოლო დეკადაში ბათუმში საერთაშორისო ტურნირია, სადაც ქვეყნის უძლიერესი მშვილდოსნებიც გამოვლენ. თუმცა მათი უმეტესობა ისედაც ბათუმელია, თბილისიდან კი ხუთი მსროლელიც დაემატებათ. ბათუმი ამ რანგის შეჯიბრებას რამდენიმე წელიწადია, ატარებს, მაგრამ აქამდე თუ მასში ძირითადად სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის გუნდები მონაწილეობდნენ, ამჯერად მონაწილეობის სურვილი განაცხადების გამოგზავნით ყაზახეთმა და ირანმაც დაადასტურეს.

თვის ბოლოს ჩვენი ქალთა ნაკრები - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა**, **ხათუნა ნარიმანიძე** და **ასმათ დიასამიძე** ლონდონში გაემგზავრება, სადაც 2-10 ოქტომბერს ოლიმპიურ ტესტებში მიიღებს მონაწილეობას. აი, მოგვიანებით კი ბევრად სერიოზული პროექტი იგეგმება - ნაკრების კორეელი მწვრთნელი **ან ჰიუნ სანი**, რომელსაც უკვე გაუგრძელეს კონტრაქტი ლონდონის ოლიმპიადის ჩათვლით, გუნდის წაყვანას მშობლიურ კორეაში გეგმავს ორთვიან შეკრებაზე. დეტალები ჯერ ბოლომდე არაა დაზუსტებული, სხვა თუ არაფერი, თანხაც არაა გადაწყვეტილი, თუმცა ოლიმპიური კომიტეტი დაფინანსებას კი ჰპირდება, მაგრამ გარკვეული მონახაზი არსებობს. სანის სურვილია, ჩვენებმა იქაურებთან რამდენიმე სატესტო შეხვედრაც გამართონ, ვარჯიშებს კი სეულში, მისსავე მშობლიურ კლუბში ჩაატარებენ, სადაც გარკვეულწილად ადგილობრივი მწვრთნელებიც დაეხმარებიან. ეს პროექტი თუ მართლაც განხორციელდა, ვფიქრობთ, ქართული მშვილდოსნობისთვის კარგი საქმე იქნება.

ირაკლი თავაძე

კრივი

# ფალიანმა საჩემპიონატო შემადგენლობა დაასახელა

**აზერბაიჯანის დედაქალაქი 22 სექტემბრიდან მოკრივეთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს უმასპინძლებს. პლანეტის ასზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ 10 წონით კატეგორიაში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საგზურების მოსაპოვებლად. 49-დან და 81 კილოგრამი წონითი კატეგორიების ჩათვლით, ვინც საუკეთესო ათეულში მოხვდება, თამაშების ლიცენზიას მიიღებს, ხოლო 91 და +91 კილოში ექვს-ექვს რჩეულს ერგება ამგვარი ბედნიერება.**

ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის **რამაზ ფალიანის** ხელმძღვანელობით. ჩვენი ბიჭები გუშინ დაბრუნდნენ ალმათიდან, სადაც 12-დღიან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ.

- ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქში ჩვენთან ერთად ვარჯიშობდნენ მასპინძლები და ბრაზილიელები, - გვითხრა **რამაზ ფალიანმა**. - ყაზახებს შეკრებაზე 74 სპორტსმენი ჰყავდათ გამოძახებული, მათ შორის - 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ბახტიარ არტაევი (75), ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი სერიკ საპიევი (69), აზიის ჩემპიონი დიჩკო და სხვები. არტაევი სამი წლის წინათ ჩამოშორდა რინგს, დღეს ყაზახეთის ერთ-ერთი ოლქის ვიცე-გუბერნატორია. კრივში დაბრუნება იმიტომ გადაწყვიტა, რომ მეორედაც იასპარეზოს ოლიმპიურ თამაშებში. ბაქოს ჩემპონატისთვის მომზადებას ვერ ასწრებს, მაგრამ გაისად ასტანაში იქნება სალიცენზიო ტურნირი და იქ აპირებს საგზურის მოსაპოვებლად ბრძოლას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა გაითვალისწინონ მისი კრივისადმი სიყვარული და თავდადება. თანაც იგი ჯაბა ხოსიტაშვილის სავარაუდო მეტოქეა.

**- შეკრებით კმაყოფილი ხართ?**

- დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით. შესანიშნავი კვება და დასვენებისთვისაც ჩინებული პირობები გვქონდა. დღეგამოშვებით სპარინგებს ვმართავდით ხან ყაზახეთთან, ხან - ბრაზილიელებთან. უნდა ვთქვა, რომ სამხრეთამერიკელებს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ.

ჩვენმა ბიჭებმა ამ შეკრებაზე კარგი წრთობა და გამოცდილება მიიღეს, მომავალი მეტოქეებიც დაზვერეს. ყველა ჯანმრთელად დაბრუნდა, თუმცა ალმათის რინგზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად ჩემპიონატამდე დარჩენილ დღეებში თავდადებული გარჯა მოგვიწევს. დასკვნით 12-დღიან შეკრებას თბილისში დკდ-ს კლუბში გავივლით.

**- ნაკრების შემადგენლობა საბოლოოდ თუ ჩამოყალიბდა?**

- დიახ. ყაზახეთის შეკრებამ ნაკრების დასაკომპლექტებლად გარკვეული კორექტივები შეიტანა. ვფიქრობ, რომ საქართველოს სპორტული ღირსების დაცვას ამ ეტაპისთვის საუკეთესოებს ვანდობთ. ბაქოში იასპარეზებენ **ავთანდილ ჭუბაბრია** (ფოთი, 49 კგ), **სევერიან ჭილაძე** (თბილისი, 52), **გიორგი კილანავა** (ფოთი, 56), **ნიკოლოზ იზორია** (ფოთი, 60), **კობა ფხაკაძე** (ქუთაისი, 64), **ზაალ კვაჭატაძე** (თბილისი, 69), **ჯაბა ხოსიტაშვილი** (ახალციხე, 75), **ლევან გულედანი** (თბილისი, 81), **დავით გოგიშვილი** (გორი, 91), **მიხეილ ბახტიძე** (ქუთაისი, +91).

ვაჟა დანელია



რამაზ ფალიანი

ჭადრაკი

# ერთი ლიდერი და რვა მდევარი

თბილისელმა დიდოსტატმა **დავით არუთინიანმა** გუშინ რომის საჭადრაკო ფესტივალის მე-5 ტურში თეთრი ფიგურებით ირლანდიელ სემ კოლინზს სძლია და 4 ქულით მეორე-მეცხრე ადგილებს იყოფს. გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად ლუქსემბურგელი ალბერტო დავიდი მეწინავეობს, რომელიც ესტონელ კაიდო კიულაოტსს დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ: მარტინ კრავცივი (უკრაინა) -ალექსანდრ ფიერი (ბრაზილია), დავიდ ბერცეში (უნგრეთი)-ალოიზ იანკოვიჩი (ხორვატია). მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს **სოფიკო გურამიშვილი** და ლასლო გონდა (უნგრეთი), **ნაზი პაიკიძე** კი თეთრებით მარინ ბოსიჩიჩთან დამარცხდა.

მე-6 ტურში მეწინავეები ასე დაწყვილდნენ: ალბერტო დავიდი (4,5)-იური სოლოდოვნიჩენკო (4), იგორ ხენკინი (4)-მარტინ კრავცივი (4), დავით არუთინიანი (4)-კაიდო კიულაოტსი (4), ალექსანდრ ფიერი (4)-დავიდ ბერცეში (4), მარინ ბოსიჩიჩი (3,5)-ვასიფ დურარბეილი (4)... ბრიან შმიტი (3)-სოფიკო გურამიშვილი (3,5), ფაბრიციო მაგი (2,5)-ნაზი პაიკიძე (2,5).

ვაჟა დანელია



დავით არუთინიანი

## პოლგარი ვაჟებს არ ინდობს

ხანტი-მანსიისკში გრძელდება მოჭადრაკეთა ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელშიც 128 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ჩაება. ოთხი რაუნდის შემდეგ შეჯიბრებას მხოლოდ რვა უძლიერესი შემორჩა.

მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში მონაწილეობდა გალელი **ბაადურ ჯობავა**. შეგახსენებთ, რომ მან ზედიზედ ორი მეტოქე დაამარცხა - აზერბაიჯანელი ნამიგ გულიევი (2:0) და პოლონელი რადოსლავ ვოიტაშეკი (1,5:0,5), მესამე წრეში კი რუს დმიტრი იაკოვენკოსთან წააგო (0:2) და ასპარეზობას გამოეთიშა.

თასის გათამაშებაში სენსაციურად მიიწევს წინ უნგრელი ქალბატონი იუდით პოლგარი. ვაჟთა შორის წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა ოთხი მოჭადრაკე მამაკაცი ჩამოაცილა კვარცხლბეკისკენ მიმავალ ბილიკებს: სტარტზე კუბელი ფიდელ კორალესი დაამარცხა - 2:0, მერე მის გზას გაუყენა სომეხი სერგეი მოვსესიანი - 1,5:0,5. მესამე წრეში ასეთივე ანგარიშით სძლია ტურნირის რეიტინგფავორიტ სერგეი კარიაკინს (რუსეთი), მეოთხეში კი კიდევ ერთი კუბელი შეიწირა - ლეინერ დომინგესი, საამისოდ მას 8 პარტიის თამაშმა მოუწია. საბოლოოდ 4,5:3,5 გაიმარჯვა და მეოთხედფინალში რუს პიოტრ სვიდლერს დაუპირისპირდება. მე-5 წრეში ასევე ითამაშებენ: რუსლან პინომარიოვი (უკრაინა)-ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა)-თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი), დავიდ ნავარა (ჩეხეთი)-ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი).

ვაჟა დანელია

ფოტომატიანე

**1982 წელი. X მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა. 30 ოქტომბერი - 16 ნოემბერი. ლუცერნი (შვეიცარია). საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები მხოლოდ ქართველებით იყო დაკომპლექტებული და ჩემპიონიც გახდა. მარცხნიდან: ნანა ალექსანდრია, ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი. ოლიმპიადაში 45 გუნდი მონაწილეობდა. ადგილები: 1. სსრკ-33ქ, 2. რუმინეთი-30, 3. უნგრეთი-26.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ახალი თაობის ფალავნები



ლაშა ტალახაძე (მარცხნიდან პირველი) მსოფლიოს ჩემპიონატის კვარცხლბეკზე

# თავდაუზოგავი ვარჯიშით გახსნილი ასპარეზი

საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორი **ლაშა ტალახაძე** (50 კგ), ხაშურის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის სექციის აღზრდილია. ამ სკოლაში მწვრთნელი **გია კვინიკაძე** დაახლოებით ოცი წელიწადია რაც საქმიანობს და სასიამოვნოა, რომ ბოლო წლებში მისმა შეგირდებმა არა მხოლოდ სამშობლოში, უცხოეთშიც არაერთხელ იასპარეზეს წარმატებით. თავის მხრივ, ჭიდაობის ქართველ ქომაგებს ამ სპეციალისტის მიღწევები იმიტომაც ახარებთ, რომ საქართველოს კიდევ ერთ ქალაქში თანდათან ყალიბდება მოჭიდავეთა სამჭედლო. ხაშურის ჭიდაობის სკოლიდან ამ ეტაპზე ლაშა ყველაზე წარმატებული და პერსპექტიული მოჭიდავეა. მან ჯერ კიდევ ჭაბუკთა შორის გამოსვლისას მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. თავის ასაკში იგი ქვეყნის ჩემპიონი და პრიზიორი გახდა, წარმატებით იასპარეზა რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაზე.

*„ტყუპისცალ ძმასთან, გიორგისთან ერთად ლაშამ თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში ჩვენთან ხუთი წლის წინათ დაიწყო. მიზანდასახულობა და ბრძოლის ჟინი თავიდანვე ეტყობოდა. სხვათა შორის, მასთან ერთად საკმაოდ პერსპექტიული ბიჭები გამოჩნდნენ - მონწონელიძე, ქელეხსაშვილი, ბუზიაშვილი. მათ მიერ საქართველოს ჩემპიონატებზე მოპოვებული წარმატებები სამომავლოდ შრომის ხალისს გვიათმაგებს ადგილობრივ მწვრთნელებს“* - ამბობს გია კვინიკაძე. შარშან, როდესაც ტალახაძემ ახალგაზრდებს შორისაც მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა, თბილისში ოლიმპიური მომზადების ცენტრში **ჯონი ლორიასთან** გადაიყვანეს. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა **ნუგზარ სხირელმა** კი 50 კგ-ში ადგილი მას ანდო გუნდში და არც შემცდარა. ლაშა ჯერ რიგაში საერთაშორისო ტურნირის ფინალისტი გახდა, შემდეგ კი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე შესაბამისად მესამე და მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდა. ორივეჯერ ახლოს იყო საბოლოო გამარჯვებასთან, თუმცა, როგორც თავად მიიჩნევს, გადამწყვეტ მომენტში პირველად გამოუცდელობამ, მეორედ კი პრინციპული მეტოქის ძლევის შემდეგ მოდუნებამ შეუშალა ხელი. ეს პრინციპული მეტოქე კი მოლდოველი **ანდრეი ბურუიანი** იყო. *„მას ნახევარფინალში შევხვდი, თავდაპირველად ვუგებდი კიდეც, მაგრამ გამოცდილმა სპორტსმენმა ტაქტიკურად მაჯობა და მე საბოლოოდ მესამე ადგილს დავჯერდი, თვითონ კი ჩემპიონი გახდა“* - იხსენებს ლაშა. ერთ თვეში მსოფლიოს ჩემპიონატზეც (ბუდაპეშტში) კვლავ გადაეყარა ბურუიანს და... ისევ ნახევარფინალში. ამჯერად ქართველმა რევანში აიღო - 6 : 0, 5 : 2 და ახლა უკვე ის დატოვა კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე.

*„წონის უმთავრეს ფავორიტთან მოგების მერე თავი ჩემპიონი მეგონა, ფინალში რუს დადაევთან ასეთი თავდაჯერებულობისთვის დავისაჯე და დავმარცხდი“* - გვითხრა მან. ტალახაძეზე საუბრისას შეუძლებელია არ ითქვას, რომ 50 კგ-ში საჭიდაოდ იგი ბევრისთვის წარმოუდგენელ წონას - შვიდ-რვა კილოგრამს იკლებდა. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგალითად, პირადმა მწვრთნელმა აეროპორტში დაანია გასაფრენად გამზადებულ გუნდს - წონის დაკლებით თავს გამოფიტულად გრძნობდა და ფიქრობდა, ნაკრებს აღარ გაჰყოლოდა ჩემპიონატზე. თუმცა, როგორც ვთქვით, ბუდაპეშტიდან ის ვერცხლის მედლით დაბრუნდა. ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის წინ კიდევ უფრო კოშმარული პერიოდი გადაიტანა. ცხრა კილოგრამამდე წონის დასაკლებად ლვარა ოფლი და V ადგილზე მეტის დაკავება ველარ შეძლო. წლეულს უკვე ნათელი იყო, რომ მზარდი ფიზიკური მონაცემების სპორტსმენი 50 კგ-ში ველარ გაჩერდებოდა, მაგრამ ვინაიდან 55 კგ-ში ახალგაზრდულ ნაკრებში ფავორიტი **ლადო ხინჩეგაშვილი** იყო, რომელსაც მის ასაკში კი არა, დიდების ნაკრებში არ ჰყოლია კონკურენტი, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სხირელმა ტალახაძის სულაც დასვენება არჩია. *„არადა, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ ლაშა მოახერხებდა ბუქარესტში (მსოფლიოს ჩემპიონატზე) 50 კგ-ში ასპარეზობას, უმედლოდ არ დარჩებოდა. მაგრამ იმავე დროს ძალიან მეცოდებოდა ეს ბიჭი მორიგი, ფაქტობრივად აუტანელი შრომისთვის საჭირო წონის ჩასაბარებლად და პლანეტის უმთავრეს შეჯიბრებაზე აღარ შევიყვანე გუნდში. ახლა, სექტემბრიდან, ხინჩეგაშვილი ახალგაზრდულ ნაკრებს მთლიანად დატოვებს და ტალახაძესაც უთუოდ მიეცემა ასპარეზი საერთაშორისო ტურნირებზე თავის გამოსაჩენად“* - ამბობს ნუგზარ სხირელი. ახალგაზრდული ნაკრები ამ შემოდგომაზე უკრაინასა და თურქეთში საერთაშორისო ტურნირებზე იასპარეზებს, სადაც გუნდში მის შეყვანას სხირელი უთუოდ გეგმავს. სპორტსმენიც თავის მხრივ უმაღლესი შედეგისთვის აპირებს ბრძოლას.

**ვასილ ბალახაძე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. აუტსაიდერი; 6. პენტათლონი; 7. ლია; 9. ელო; 10. ბეკი; 12. საჯაია; 13. შტანგა; 14. შხელდა; 17. იპონი; 18. უგრინი; 21. თედიაშვილი; 23. უშბა; 24. ტაბიძე; 25. იუკო; 26. მატჩი; 27. სპიდვეი.

**შვეულად:** 2. ტანვარჯიში; 3. ალან; 4. დოლიძე; 5. რინკბოლი; 6. პოლოსიანი; 8. დიდებულიძე; 10. ბაშო; 11. კლაიპედა; 15. დეროუგინი; 16. პიკადორი; 19. ოთურმა; 20. ფინიში; 22. აუტი.

თავგადასავლები

# მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ძიუდოში - თემურ ხუბულური

## სულ მთლად გადარეული პარ

როგორც ქართლელი ბიჭების უმრავლესობა, თავიდანვე ჭიდაობის ტრფიალი ვიყავი. დავიწყე სიარული სექციაში. 10-20 კილომეტრი უნდა გამერბინა ყოველდღე, მაგრამ რბენას გააჩნია. მწვრთნელმა მითხრა - ოფლი რომ გამოვიდეს და წონა დარეგულირდეს, თბილად ჩაცმულმა უნდა ირბინოო. ჩემს სოფელში, მტკვრის პირას გლეხებს ყანები ჰქონდათ და დღენიადაგ შიგ ფუსფუსებდნენ თოხებით. ყანებსა და მდინარეს შორის გადიოდა ჩემი სარბენი ბილიკი.

სანამ გრილი გაზაფხული იყო, გლეხები მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ მაქცევდნენ, მაგრამ თანდათან დათბა და დაცხა. ახლა კი ეჭვიანად დამიწყეს ყურება შუა ივლისში მორბენალ, ჩათბუნულ ჯეელს. ერთ დღეს ყანიდან მეძახიან:

- თემუურ, - რო მობრუნდები, არ გაგვეპარო, საქმე გვააქ!

გლეხკაცის ღალატი სად გაგონილა. რომ მოვბრუნდი, შევძახე - აქა ვარ-მეთქი. თოხები მიყარეს და ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ გზაზე.

რალაცის თქმას კი აპირებენ, მაგრამ ვატყობ - ვერ ბედავენ. ბოლოს ისევ ძია სანდრომ გარისკა:

- თემურ, შვილო, - კი არ გეწყინოს და, ერთი რამ უნდა გკითხოთ.

- შენა, ბიჯო, ეხლა - რო დარბიხარ - თუ გრძნობ, შვილო?

- მააშ... ოოო... ე.ი. რო დარბიხარ - იცი... მაიცა და - რათ დარბიხარ?

- ვვარჯიშობ.

- ვარჯიშობს - მრავლისმეტყველად გადახედა სანდრომ დანარჩენებს.

- აბა, ის თუ იცი, ახლა რა თვეა?

- ივლისი.

- ვააა, ესეც ცოდნია, კაცო! - ახლა მეორემ გამოხატა აღტაცება.

- ... და ასე თბილად რო გაცვია, იმასაც გრძნობ?

- მაშ.

გლეხებმა ისევ გადახედეს ერთმანეთს. მერე თანაგრძნობით დააკანტურეს თავები.

- ირბინე, შვილო, ირბინე...

- მეტი არაფერი გინდოდათ, კაცო? - გამიკვირდა.

- არა... მეტი არაფერი... ნადი, გაიხარე... ეეჰე!

წასასვლელად შევბრუნდი და უცებ გავჩერდი, ფეხზე ზონარი შემხსნოდა და შესაკრავად დავიხარე, გლეხებს წასული ვგონივარ და ყური მოვკარი როგორ ეუბნებოდა სანდრო ძია მიტო ძიას:

- მიტო, ხო გეუბნებოდი და არა გჯეროდა, აჰა, მოგიგე თუ არა ოთხი ბოთლი „პივაი“ თავის „სასიცკითა“?

- ხო გეუბნებოდი, ჩვენი თემურა გიჟია, არაა თავი მატორზე-მეთქი, აჰა, არც ეხლა გჯერა?

- მააშ კაცო, მააშ... მოგებული ხარ - ეუბნება მიტო - რას წარმოვიდგენდი კაცო, არადა, ბალლობაში სუ არ ეტყობოდა, კაცოოო!!!

## პასპორტი

იაპონიის ტურნედან მოსკოვში ჩამოვფრინდით. გამარჯვებით გახარებულებმა თვითმფრინავში კონიაკით შევიქციეთ თავი და გვარიანად შებუჟბუჟებულები ვართ.

აეროპორტში წესია - პასპორტი უნდა შეგიმოწმოს უშიშროებამ. ყველამ ვაჩვენეთ პასპორტები. თითქმის ყველაფერი რიგზეა და... ცხონებული შოთა ჩოჩიშვილის ჯერი დადგა. მოიქექა ჯიბეები - არა აქვს პასპორტი. ახლა შარვლის ჯიბეები მოიქექა, არც იქაა... დაუბრუნდა პიჯაკის გვერდითა ჯიბეებს, მერე გულის გარეთა და შიგნითა ჯიბეებს, არაა პასპორტი.

- ნეტუ პასპორტ! - ეუბნება წესრიგის დამცველებს.

- კარგად მოძებნე! - „დაარიგეს.“ დაიწყო ისევ ძებნა... რაც არ არი, არ არი...

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. მიუხედავად იმისა, რომ შოთას მსოფლიო იცნობდა, რუსები მაინც „აწვებიან“... საქმეში მალალჩინოსნები ჩაერთვნენ.

- ტავარიშ პალკოვნიკ - ვეუბნები - ეტო ჟე ჩოჩიშვილი, ჩემპიონ მირა! - ნუ!

- პუსტ პრედიავიტ პასპორტ, მი ნე ზნაემ...

ისედაც „ნაკონიაკარები“, ავღელდით, ავიფოფრეთ. საქმე სახუმაროდ არაა.

- გაჩხრიკეთო, - ბრძანა „ტავარიშ პოლკოვნიკმა“ და შეუდგა ერთი ქართველი „კაგებეშნიკი“ საქმეს...

პიჯაკის ჯიბეში ცხვირსახოცის და ხურდა ფულის მეტი არაფერია. შარვლის ჯიბეებში ქაღალდის ცოტაოდენი ფული და სანთებელა. შიგნით ჯიბეში ბლოკნოტი. „შმონვა“ უფრო „ღრმად“ მიდის. სვიტრის შიგნით შოთას თბილი პერანგი ეცვა და... იმ პერანგის გარეთა გულის ჯიბეში არ აღმოჩნდა პასპორტი?!

ვეცი ხელში „კაგებეშნიკს“. გამოვგლიჯე შოთას პასპორტი და იპოლიტე ხვიჩიასავით ვეუბნები:

- არის თუ არა ეს - პასპორტი?!

- კი, პასპორტია! - დაიბნა რუსეთში გაზრდილი ჩვენი თანამემამულე.

- მე შენ გეკითხები (გათამამებული „შენობით“ ფორმაზე გადავედი), არის თუ არა ეს პასპორტი?! არის თუ არა ეს - შე უპასპორტო შენა - პასპორტი?!

ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა... შეიძლება ჩვენ რაიმე გამოგვრჩენოდა, მაგრამ კგბე-ს რა დაემალება!“

## გაფრთხილება

ერთი წლის შემდეგ ისევ თვითმფრინავში ვართ და საზღვარგარეთ მივფრინავთ. 12-14 საათი ჰაერში უნდა დავყოთ.

ჩვენთან ერთადაა ჩვენი სული და გული, მუდამ მხიარული და სტიმულის მომცემი საყვარელი პიროვნება, ანზორ მარტყოფლიშვილი. თუ რაიმე „იალლიში“ მოხდებოდა, ანზორი მუდამ პოულობდა გამოსავალს, მაგრამ იმჯერად თვითონ აღმოჩნდა უხერხულ მდგომარეობაში.

ანზორის თავს გადახდენილი ამბები მერე ანეკდოტად გამოსულა და გაფანტულა საქართველოში. მაშ ასე... ჰაერში ვართ. ანზორი დადარდიანებულია, რადგან საკმაოდ დიდი თანხა დაკარგა ჯერ კიდევ აფრენამდე. ამ მუდამ მხიარულ კაცს დანა კბილს არ უხსნის. მიჯდა კუთხეში - ილუმინატორთან და არ იღებს ხმას. იმაზე თუ ფიქრობს, როგორ და რა ვითარებაში უნდა დაეკარგა თანხა. ბუნებრივია, ჩვენც წაგვიხდა ხასიათი და ღრმა მდუმარებით თანავუგრძნობთ თანაგუნდელს. გარეთ კუპრისფერი, ბლანტი სიბნელეა. მხოლოდ თვითმფრინავის ყრუ, მონოტონურად გაბმული ზუზუნი ისმის. მოულოდნელად ლაინერი მკვეთრად გადაიხარა მარჯვენა მხარეს. გაგვაცია და გაგვაცხელა, ანზორს გადავხედეთ, შეშფოთებული ჩანს. თვითმფრინავი მალევე გასწორდა, მაგრამ სულ ცოტა ხანში ისევ დაიხარა იმ მხარეზე. ცოტა ხანში, მოულოდნელად, ძალიან მკვეთრად, მთელი კორპუსით „დაეცა“ ვერტიკალურად და ელვისებურად ისევ ავარდა ზევით.



- დედა, რა იყო ეს! - ნაძალადევი, მშრალი ღიმილით ვამხნევებთ ერთმანეთს.

- კაცო - ეჭვი გამოთქვა ერთმა - საწვავი ხომ არ უთავდება?

ამის თქმა და თვითმფრინავი ისევ „იამკაში“ ჩაეხეთქა. და ეს ჩვენი ანზორი ინსტიქტურდა წამოხტა სკამიდან. სასწრაფოდ გადმოიღო პიჯაკი სასწრაფოდვე გაუყარა ხელები სახელოებში, ქუდიც ჩამოიფხატა თავზე და გასასვლელისკენ დაიძრა შესაშური სიჩქარით;

- საით ანზორ! - ვეცით და გავაკავეთ.

- გიჟია ეს პილოტი ვილაცააა! - მთვრალი უნდა იყოს ჩემი აზრით... გამიშვით კაცო, ნიახური კი არა ვარ, მეორედ ამოვიდე?!!

- ამას შევწირო თავი?!

ძლივს დავაშოშმინეთ და „პასადკაც“ მალე გამოაცხადეს...

## დანაშაული და სასჯელი

1980 წელია. ერევანში ვართ „ზბორებზე“. საზღვარგარეთ ხარ და შინიდან რომ სასიამოვნო ცნობა მოვა, იმ გრძნობას რა შეედრება. „ბიჭი შეგეძინა“ - მაცნობეს თბილისიდან და ცას ავწვდი ხელით. მოლოცვა-მოლოცვასა და ხვევნა-კოცნაში კინაღამ სული ამომხადეს თანაგუნდელმა ბიჭებმა. ყურები დამიგრძელეს...

- მამაძაღლი... არ უნდა აღვნიშნოთ? - თქვა ერთმა და აიტაცეს დანარჩენებმა.

რას ჰქვია, არ აღვნიშნოთ... ეგლა გვაკლია...!!!

ერთი გემრიელი რესტორანი შევარჩიეთ. გავიპარეთ ისე, რომ მწვრთნელებმა არ იციან, სპეციალურად არ გავუმხილეთ (უცებ უარი არ ეთქვათ და არ ჩაემწარებინათ). ხუთნი ვართ. მოვატანინე ხუთი ბოთლი შამპანური. რესტორანის გამგე იქაური ქართველია და დავცხეთ. ხუთი ბოთლი მალე გათავდა.

- კიდევ ხუთი! - ავწიე გაშლილი ხელის მტევანი. მოვიდა... მოვიდა და წავიდააა!!!

- ერთმა შალახო შეუკვეთა ისედაც წკიპზე მყოფ მუსიკოსებს.

მადლიანმა შალახომ ჯერ სკამებზე შემოასკუპა, მერე მაგიდებზე ატყორცნა სხვადასხვა წონის ფალავნები. ვილას ახსოვს დისციპლინა... დისციპლინა - ჩემი 2 საათის წინ ამქვეყანას მოვლენილი პირმშო - ძე-ა.

რაც უნდა იყოს, მე ვმასპინძლობ სიტუაციას და მაგიდაზე ნამდვილად არ ავხტი ამ გადარეულებივით.

რესტორნის გამგე - ჩვენებური კაცი გვერდით მომიჯდა და დელიკატურად მეუბნება:

- თემო, რა მოვიმოქმედოთ, რომ ეს „ლომები“ იატაკზე დავაბრუნოთ?

- რა და... კიდევ 10 ბოთლი! - გავშალე ორივე ხელი.

- მოსულააა! - „გამისწორა“ ქართველმა და ძლივს ჩამოვყარეთ ბიჭები ძირს „სატყუარათი“.

სასტუმროში მივბანდალდით - ღამის 2 საათია. ვესტიბიულში ჩვენი ორივე მწვრთნელი ზის ადმინისტრატორის მაგიდასთან, „აუუუუუ!“ („რას შობი ახლა!“)

- აბა, დადექით ახლა ხაზზე - გვეუბნება და საათს თვალს არ აშორებს.

ჩვენ ერთმანეთს ვეყუდებით.

- რატომ დაითვერით? - დაისვა ავბედითი კითხვა.

- ვინა, ჩვენა? - დაასლოკინა ერთმა, რომელიც ყველაზე მეტად ირწეოდა - გიამ.

მწვრთნელმა უმკაცრესად შეხედა. ესეც „გაფუჭდა“ და რომ არ წაქცეულიყო, მე „ჩამიპოდრუჩკდა“.

- ხვალიდან მე მოვიქცევი ისე, როგორც თქვენნაირი დისციპლინის დამრღვევებს ეკადრებათ, თქვენ სხვანაირად უნდა მოგექცეთ ხვალიდან, რასაც მომისვამთ ხელზე, იმას მოგისვამთ წვერზე! - გასაგებია, გია?

ამასობაში გიას ფეხზევე ჩაძინებია ცხენივით, თავისი სახელის გაგონებაზე ერთი ნაბიჯი წინ წადგა, ველარ მოზომა ძილ-ღვიძილში და პირდაპირ მწვრთნელს ჩაემხო კალთაში.

...დილის 6 საათია და წამოგვყარა იმ „ტრენერმა“.

- რამდენი ბოთლი დალიეთ წუხელ? - ისევ გიას ეკითხება. გია ჩაფიქრდა:

- რამდენი... რამდენი და... ოცდაათი.

- ოცდაათი... მაშ ასე... ოცდაათ წრეს დაარტყამთ მოედანს!

ვერდიქტი შეუვალი იყო. შევუდექით პახმელიაზე სირბილით გამოსვლას. ძლივს დავლასლასებთ. მწვრთნელი არხეინად ზის სკამზე და გაზეთს კითხულობს.

- მოვკვდი, აღარ შემიძლია მეტი! - თქვა ერთმა მეექვსე წრეზე და ადგილზევე ჩაიკეცა.

- გიააა, მე შენიიიი... რამ გათქმევინა ოცდაათი... ნაკლები ვერ თქვი?

- მოვატყუე - გაეხარდა უცებ... თორემ მერე გენახათ... ოცდაათი კი არა ოცდათორმეტი დავლიეთ.

- ყოჩაღ! - შევაქეთ.

- რამდენი წრე დაარტყით? - გაზეთი მოიშორა მწვრთნელმა.

- თორმეტი.

- თვრამეტი დაგრჩათ - გაშალა გაზეთი „ტრენერმა“.

- არა... რატომ, ჩვენ 10 ბოთლი დავლიეთ - უცბად დაახეთქა გიამ. ეგ კი არა, ორი წრე ზედმეტიც გამოგვივიდა. თქვენ, ალბათ, ოცდაათი გაიგონეთ, რა ამბავია!

- ააა... მომეჩვენა ხომ?

- კი, ორი წრე ზედმეტად დავარტყით - გათამამდა გია. მწვრთნელი მაგის ჩიტი იყო?

- ეგ არაფერია... ახლა წადით, ორი წრე უკულმა დაარტყით და გაბათილდება! უნიათოდ შევუდექით ძუნძულს. განა მოტყუვდა, უბრალოდ გაგვიგო, უთქვამთ რაც მოხდა და იმანაც გვარიანად ჩამომიგრძელა ყური.

ასე იყო ეს ამბავი...

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. ახალი სეზონის წინ

# იმპოსიბილე, ინკრედიბილე: იწყება!

## ტრადიციული აჟაფსანდალი მონელებულია, დღეიდან იტალიაში ბურთიც გაგორდება



მოქმედი ჩემპიონი მილანი სკუდეტოს შენარჩუნებისთვის იბრძოლებს



ლაციოს იმედი მიროსლავ კლოზე



რომას ახალი მთავარი მწვრთნელი ლუის ენრიკე

იტალიაში ყველაფერი ბოლო წუთს, ბოლო წამს ან უმეტესად დაგვიანებით ხდება – ეს არც კარგია და არც ცუდი, იტალია ასეთია და მორჩა! მხოლოდ იტალიაში, თასის ფინალის დროს, ხალხი მთელი 90 წუთის განმავლობაში იმაზე ბჭობს, რომელი გუნდის პრეზიდენტმა უფრო მეტი ფული გადაიხადა იმისათვის, რომ ფინალი მოიგოს... მხოლოდ იტალიაში, სეზონი არასდროს იწყება, გრძელდება და მთავრდება სკანდალის გარეშე. იტალიაში ზოგადად ცხოვრება დუღს და შესაბამისად, დუღს ფეხბურთიც. მთავარი ის არის, რომ დაპირისპირება მორჩა: ფეხბურთელებმა, კლუბებმა და საფეხბურთო ლიგამ ბევრი იდავეს, თუ ცოტა, რაღაც-რაღაცებზე შეთანხმდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლოს და ბოლოს ბურთიც გაგორდება. სერია A დღეს „მილანისა“ და „ლაციოს“ მატჩით იწყება, ჩვენ კი გადავწყვიტეთ, სეზონის წინ ყველა გრანდში არსებული ვითარება მიმოვიხილოთ და განვიხილოთ, რა შეიძლება შემოგვთავაზოს ახალმა იტალიურმა სეზონმა.

პირველი, რაც აუცილებლად უნდა ითქვას, ისაა, რომ იტალიაში ფავორიტების როლები ისე გარკვევით არ არის განაწილებული, როგორც მაგალითად ესპანეთში. ზოგადად კი თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა (გაუთვალისწინებელს კი სწორედ იტალიაში უნდა ელოდო), „სკუდეტოს“ მოპოვების მთავარი კანდიდატები ისევ მილანური გრანდები იქნებიან, თუმცა ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლიათ „ნაპოლის“, „იუვენტუსს“, რომას და „ლაციოსაც“.

### მილანი: მაგარი თავდასხმა, საეჭვო ნახევარდაცვა

„როსონერის“ მთავარმა მწვრთნელმა **მასიმილიანო ალეგრიმ** უძველეს წესს არ გადაუხვია და მოქმედი ჩემპიონი გუნდი ზაფხულში მხოლოდ მცირედით შეცვალა. რაც მთავარია, ლიდერების აბსოლუტური უმრავლესობა „მილანში“ დარჩა.

ალეგრის არაფერი უჭირს დაცვის ცენტრში, სადაც **ტიაგო სილვა** და **ალესანდრო ნესტა** შესანიშნავ ტანდემს ქმნიან, ნახევარდაცვაში მშვენივრად დამკვიდრდა **კევინ-პრინს ბოატენგი** (თანაც, სადებიუტო სეზონში), **კრისტიან აბიატის** სახით კი „როსონერის“ გამოცდილი მეკარე ჰყავს. ორი აზრი არ არსებობს, ალეგრის საქმე ყველაზე კარგად თავდასხმაში აქვს, სადაც **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, **ანტონიო კასანო**, **რობინიო** და **ალეშანდრე პატო** ჰყავს (არც **ფილიპო ინძაგი** უნდა დაგვავიწყდეს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ არის, იტალიის ჩემპიონატში კი ითამაშებს), თუმცა „მილანის“ მწვრთნელისთვის, შესაძლოა, დიდი არჩევანი უფრო წარმოადგენდეს პრობლემას. აი, ნახევარდაცვას კი, ექსპერტები ეჭვის თვალით უყურებენ, რადგან ბოატენგთან ერთად, ცენტრისთვის მილანს **მარკ ვან ბომელის**, **ჯენარო გატუზოს**, **მასიმო ამბროზინისა** და **კლარენს ზეედორფის** სახით გადაბერებული მოთამაშეები ჰყავს, **ანდრეა პირლო** კი „იუვენტუსში“ გადავიდა. **ფლამინის** სერიოზული ტრავმა ალეგრისთვის ასევე პრობლემაა. მართალია, „მილანმა“ **ნოჩერინო** და **აკვილანი** გადაიბირა, მაგრამ მათგან სასწაულებს არ უნდა ველოდოთ. ერთი სიტყვით, „მილანის“ ნახევარდაცვაში სახეზეა რაოდენობა და არა ხარისხი. სხვამხრივ, „როსონერიმ“ შეიძინა ცენტრალური მცველი **მექსე** (რომადან) და მარცხენა მცველი **ტაივო** (მარსელიდან).

აგვისტოში „მილანმა“ იტალიის სუპერთასზე „ინტერი“ დაამარცხა (2:1), ბერლუსკონის თასზე კი „იუვეს“ მოუგო (ასევე 2:1). წესით, მოქმედ ჩემპიონებს „სკუდეტოს“ შენარჩუნება უნდა გაუჭირდეთ.

### ინტერი: საეჭვო მწვრთნელი და რევოლუციური ტაქტიკა

**ჯანპიერო გასპერინის** „ინტერის“ მთავარ მწვრთნელად დანიშვნა, „ნერაძურის“ ბოს **მასიმო მორატის** თავიდანვე უდიდეს ექსპერიმენტად შეურაცხეს. რაც არ უნდა იყოს, მან გასპერინი მას მერე დანიშნა, რაც არაერთი სასურველი კანდიდატისგან უარი მიიღო. თუმცა ეს არის სპეციალისტი, რომელიც თავის სამწვრთნელო კარიერაში გარკვეული წარმატებებით ნაღდად დაიკვეხნის. მაგალითად, 2006-დან 2010 წლამდე გასპერინი „ჯენოას“ წვრთნიდა და ეს გუნდი იტალიური ფეხბურთის ელიტაში დააბრუნა. ახლა კი, მისი მიზანი „ინტერის“ წარმატებულ გზაზე დაბრუნებაა – ზედიზედ ხუთი ჩემპიონობის შემდეგ „ნერაძურის“ „სკუდეტო“ ხომ „მილანმა“ წაართვა.

გასპერინის რევოლუციური ტაქტიკური სქემა კი „ინტერისთვის“ ფაქტობრივად ყველაფრის თავიდან დაწყებას ნიშნავს. თუკი გასპერინიმდე „ინტერის“ სავიზიტო ბარათი ფიზიკური სიძლიერე და კონტრშეტევები იყო (განსაკუთრებით **მოურინიოს** დროს), გასპერინის ხელში „ინტერი“ მთავარ აქცენტს ტექნიკასა და ტაქტიკაზე გააკეთებს. 3-4-3 რთულად სათამაშო ტაქტიკაა, რომელსაც უალრესად ზუსტპასიანი, ჰარმონიულად მოთამაშე სჭირდება. არავინ იცის, სად გაამწესებს ამ სქემაში გასპერინი **ვესლი სნეიდერს** – საყრდენი ნახევარმცველის პოზიციისთვის ჰოლანდიელი არასაკმარისად რობუსტულია, ფლეიმეიკერისთვის ამ სქემაში ადგილი არ მოიძებნება.

„ინტერის“ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მახაჭკალის „ანჟიში“ გადასული **სამუელ ეტო'ოს** კომპენსირება იქნება. ამისათვის გასპერინის საკმაოდ კარგი ახალწვეულები, **ფორლანი** და **სარატე** ჰყავს.

### იუვე: გაახალგაზრდავებული ბებერი ქალბატონი

ახალი მწვრთნელი, ახალი სტადიონი, ახალი ფეხბურთელები: „ბებერ ქალბატონს“ გასულ სეზონში მეშვიდე ადგილის დაკავების დავიწყება და ახალგაზრდული შემადგენლობით, ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყება უნდა. ამისათვის „იუვემ“ არა მარტო ახალი სტადიონი ააშენა, არამედ ტრანსფერებშიც ძალიან ბევრი ფული დახარჯა. ტურინელთა ახალმა, 42 წლის მწვრთნელმა **ანტონიო კონტემ**, რომელიც „ბებერ ქალბატონთან“ იდეალურადაა იდენტიფიცირებული, განსაკუთრებით ნახევარდაცვა გააძლიერა, სადაც ანდრეა პირლო, **არტურო ვიდალი** და **ელჯერო ელია** შეიძინა. კონტეს „რომადან“ ნაყიდი მონტენეგროელი თავდამსხმელის, **მირკო ვუჩინიჩისაც** დიდად ეიმედება.

„იუვეს“ დაცვის ცენტრი არ გაუძლიერებია, არადა, გასულ სეზონში **ჯორჯო კიელინის**, **ლეონარდო ბონუჩისა** და **ანდრეა ბარძალის** ძალიან უჭირდათ – ტურინელებმა ხომ 47 გოლი გაუშვეს (შედარებისთვის, ჩემპიონმა „მილანმა“ მხოლოდ 24 გოლი მიიღო). სამაგიეროდ, „იუვემ“ ლიხტშტაინერის სახით (ლაციოდან) საკმაოდ დიდი პოტენციალის მქონე მარჯვენა მცველი გადაიბირა.

„ახალი იუვენტუსის“ ერთ-ერთი მთავარი პლუსი ის იქნება, რომ გუნდი ევროსარბიელზე არ თამაშობს და შესაბამისად, კონტეს გუნდი ორმაგი წნეხის ქვეშ არ მოექცევა. ტურინში ახალი სეზონის წინ ყველაზე მეტად ახალი არენით ამაყობენ – „იუვე“ პირველი და ერთადერთი იტალიური კლუბია, რომელსაც 100 პროცენტით საკუთარი სტადიონი აქვს.

### რომა: ყველაფერი თავიდან, მცდელობა მეორე

ახალი მწვრთნელი, ახალი პრეზიდენტი, ახალი შემადგენლობა – ერთადერთი, რაც სიახლეებში „რომას“ „იუვენტუსთან“ შედარებით დააკლდა, ახალი საკუთარი სტადიონი იყო. სამაგიეროდ, „ჯალოროსის“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს. გასული სეზონი „რომამაც“ ჩააგდო და დედაქალაქელები ყველაფერს თავიდან იწყებენ. „ჯალოროსიმ“ ახალ ფეხბურთელებში საერთო ჯამში დაახლოებით 58 მილიონი ევრო დახარჯა.

გუნდის ახალი ბოსი **თომას დი ბენედეტო** ამერიკელი ინვესტორია, რომელიც „რომას“ 67-პროცენტიან პაკეტს ფლობს. ახალი მწვრთნელი კი ესპანელი **ლუის ენრიკე** გახლავთ, რომელიც მანამდე „ბარსელონას“ მეორე გუნდს წვრთნიდა და რომელსაც რომში დიდი გეგმები აქვს. თუმცა მას უკვე შეექმნა პრობლემა „რომას“ სავიზიტო ბარათ **ფრანჩესკო ტოტისთან**, მერე კი „ჯალოროსი“ ევროპის ლიგიდანაც გავარდა.

რომაელებს ძალიან საინტერესო ახალწვეულები ჰყავთ: მეკარე **სტეკელენბურგი** (აიაქსიდან), მცველები **კიაერი** (ვოლფსბურგიდან) და **ჰაინცე** (მარსელიდან), ნახევარმცველი **პიანიჩი** (ლიონიდან) და უნიჭიერესი თავდამსხმელები **კრკიჩი** (ბარსელონადან) და **ლამელა** (რივერ პლეიტიდან).

### ლაციო: კლოზე და კომპანია

ტრანსფერებში ფული „ლაციომაც“ ბლომად ხარჯა და ამით მეორე რომაული კლუბის ბოსებიც ამაყობენ. ლაციალეს პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** ამბობს, მწვრთნელს ისეთი ფეხბურთელები ვუყიდე, მანქანების მოყვარულს „ფერარი“ რომ აჩუქოო.

ორი აზრი არ არსებობს: „ლაციოს“ მთავარი შენაძენი გამოცდილი გერმანელი თავდამსხმელი **მიროსლავ კლოზეა**, რომლითაც რომაელთა თავკაცი **ედუარდო რეია** განსაკუთრებით ამაყობს. მირომ მისგან ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია მიიღო და ჯერჯერობით იმედებსაც ამართლებს – ამხანაგურ მატჩებში გერმანელი გოლეადორი ძალიან შედეგიანი იყო. მასთან ერთად, „ლაციოს“ თავდასხმაში ფრანგი **ჯიბრილ სისე** გამწესდება, რომელიც რომაელებმა „პანათინაიკოსიდან“ გადაიბირეს და იმედი აქვთ, რომ „მეორედ დაიბადება“. კლოზეს და სისეს აქტიურად მიეხმარებიან ხოლმე **მაური** და **ერნანესი**.

ახალ სეზონში „ლაციოსგან“ ყველაფერია მოსალოდნელი: გამორიცხული არაა, რომ რეიას გუნდმა იტალიის ჩემპიონობისთვის იბრძოლოს და არც ის უნდა გაუკვირდეს ვინმეს, კლოზე და კომპანია მხოლოდ ევროპის ლიგის საგზურს რომ დასჯერდნენ.

### ნაპოლი და მისი ვუნდერ-ტრიო

„ნაპოლის“ გასულ სეზონში ძალიან ცოტა დააკლდა იქამდე, რაც მთელ ნეაპოლს დღემდე ახსოვს იმ დროიდან, როცა ამ კლუბში **დიეგო მარადონა** თამაშობდა. „ნაპოლიმ“ იტალიის ჩემპიონობისთვის იბრძოლა და საბოლოოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურს დასჯერდა, რაც ამ გუნდისთვის ასევე შესანიშნავი მიღწევაა – ნეაპოლელები ევროპის ელიტაში 21-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გაერივნენ.

„ნაპოლის“ მთავარი იმედი პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი, თავდამსხმელი **ედინსონ კავანია**. ეს უკანასკნელი **ლავეცისთან** და **ჰამშიკთან** ერთად წინა ხაზზე იდეალურ სამკუთხედს ქმნის. გასულმა სეზონმა ნეაპოლურ კლუბს თავდაჯერება შემატა და წესით, კავანიმ და კომპანიამ ამ სეზონშიც მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის უნდა იბრძოლონ.

### და... ატალანტა მინუს ექვსით

აბა, ისე როგორ იქნებოდა, რომ იტალიის ჩემპიონატი რომელიმე კლუბის დაუსჯელად დაწყებულიყო? ამჯერად ბერგამოს „ატალანტას“ არ გაუმართლა. კლუბს, რომელმაც ელიტაში დაბრუნება ერთ სეზონში მოახერხა, ჩაწყობილ მატჩებში მონაწილეობისთვის ექვსი ქულა ჩამოაკლეს. ასე რომ, ბერგამოელები ახალ სეზონს მინუს ექვსი ქულით იწყებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

# უცხოური ფეხბურთი

## ლა ლიგა. განაცხადები

### ბარსელონა

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. ვიქტორ ვალდესი | 14.01.1982 |
| 13. ხოსე პინტო | 08.11.1975 |
| 31. რუბენ მინიო | 18.01.1989 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. დანიელ ალვეში (ბრაზილია) | 06.05.1983 |
| 3. ჟერარდ პიკე | 02.02.1987 |
| 5. კარლეს პუიოლი | 13.04.1978 |
| 19. მაქსველი (ბრაზილია) | 27.08.1981 |
| 22. ერიკ აბიდალი (საფრანგეთი) | 11.09.1979 |
| 24. ანდრეუ ფონტასი | 14.11.1989 |
| 32. მარკ ბარტრა | 15.01.1991 |
| 35. მარტინ მონტოია | 14.04.1991 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 4. სესკ ფაბრეგასი | 04.05.1987 |
| 6. ჩავი ერნანდესი | 25.01.1980 |
| 8. ანდრეს ინიესტა | 11.05.1984 |
| 11. ტიაგო ალკანტარა | 11.04.1991 |
| 14. ხავიერ მასკერანო (არგენტინა) | 08.06.1984 |
| 15. სეიდუ კეიტა (მალი) | 16.01.1980 |
| 16. სერხიო ბუსკეტსი | 16.07.1988 |
| 18. სერხი რობერტო | 07.02.1992 |
| 20. იბრაჰიმ აფელაი (ჰოლანდია) | 02.04.1986 |
| 21. ადრიანო კორეია (ბრაზილია) | 26.10.1984 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. დავიდ ვილია | 03.12.1981 |
| 9. ალექსის სანჩესი (ჩილე) | 19.12.1988 |
| 10. ლიონელ მესი (არგენტინა) | 24.06.1987 |
| 17. პედრო როდრიგესი | 28.07.1987 |
| 28. ჯონათან დოს სანტოსი (მექსიკა) | 26.04.1990 |

### რეალი (მადრიდი)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. იკერ კასილიასი | 20.05.1981 |
| 13. ანტონიო ადანი | 13.05.1987 |
| 25. ტომას მეხიასი | 30.01.1989 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. რიკარდო კარვალიო (პორტუგალია) | 18.05.1978 |
| 3. კაპლერ ლიმა პეპე (პორტუგალია) | 26.02.1983 |
| 4. სერხიო რამოსი | 30.03.1986 |
| 12. მარსელო ვიეირა (ბრაზილია) | 12.05.1988 |
| 15. ფაბიო კოენტრაო (პორტუგალია) | 11.03.1988 |
| 17. ალვარო არბელოა | 17.01.1983 |
| 18. რაულ ალბიოლი | 04.09.1985 |
| 19. რაფაელ ვარანი (საფრანგეთი) | 25.04.1993 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 5. ნური შაჰინი (თურქეთი) | 05.09.1988 |
| 6. სამი ხედირა (გერმანია) | 04.04.1987 |
| 8. რიკარდო კაკა (ბრაზილია) | 22.04.1982 |
| 10. მესუთ ოზილი (გერმანია) | 15.10.1988 |
| 11. ესტებან გრანერო | 02.07.1987 |
| 14. ჩაბი ალონსო | 25.11.1981 |
| 16. ჰამით ალთინთოპი (თურქეთი) | 08.12.1982 |
| 22. ანხელ დი მარია (არგენტინა) | 14.02.1988 |
| 24. ლასანა დიარა (საფრანგეთი) | 10.03.1985 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია) | 05.02.1985 |
| 9. ქარიმ ბენზემა (საფრანგეთი) | 19.12.1987 |
| 20. გონსალო იგუაინი (არგენტინა) | 10.12.1987 |
| 21. ხოსე მარია კალეხონი | 11.02.1987 |
| 29. ალვარო მორატა | 23.10.1992 |

### ვალენსია

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. დიეგო ალვეში (ბრაზილია) | 24.06.1985 |
| 13. ვისენტე გუაიტა | 18.02.1987 |
| 43. კრიშტიანო პერეირა (პორტუგალია) | 29.11.1990 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. ბრუნო სალტორი | 10.01.1980 |
| 3. ჰედვიგეს მადურო (ჰოლანდია) | 13.02.1985 |
| 4. ადილ რამი (საფრანგეთი) | 27.12.1985 |
| 12. ანტონიო ბარაგანი | 12.06.1987 |
| 15. ანხელ დეალბერტი | 01.01.1983 |
| 18. ვიქტორ რუისი | 25.01.1989 |
| 20. რიკარდო კოშტა (პორტუგალია) | 16.05.1981 |
| 22. ჟერემი მატიო (საფრანგეთი) | 10.05.1985 |
| 23. ლუიშ მიგელ ბრიტო (პორტუგალია) | 04.01.1980 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 5. მეჰმეთ თოფალი (თურქეთი) | 03.03.1986 |
| 6. დავიდ ალბელდა | 01.09.1977 |
| 8. სოფიან ფეგული (საფრანგეთი) | 26.12.1989 |
| 10. ევერ ბანეგა (არგენტინა) | 29.06.1988 |
| 16. სერხიო კანალესი | 16.02.1991 |
| 17. ხორდი ალბა | 21.03.1989 |
| 19. პაბლო ერნანდესი | 11.04.1985 |
| 21. დანიელ პარეხო | 16.04.1989 |
| 24. ტინო კოსტა (არგენტინა) | 09.01.1985 |
| 28. ხუან ბერნატი | 01.03.1993 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. ჟონას გონსალვეშ ოლივეირა (ბრაზ.) | 01.04.1984 |
| 9. რობერტო სოლდადო | 27.05.1985 |
| 11. არიც ადურისი | 11.02.1981 |
| 14. პაბლო პიატი (არგენტინა) | 31.03.1989 |

### ვილიარეალი

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. სესარ სანჩესი | 02.09.1971 |
| 13. დიეგო ლოპესი | 03.11.1981 |
| 31. დიეგო მარინო | 09.05.1990 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. გონსალო როდრიგესი (ურუგვაი) | 10.04.1984 |
| 3. ხოან ორიოლი | 05.11.1986 |
| 4. მატეო მუსაჩიო (არგენტინა) | 26.08.1990 |
| 5. კარლოს მარჩენა | 31.07.1979 |
| 6. ანხელ ლოპესი | 10.03.1981 |
| 12. კრისტიან საპატა (კოლუმბია) | 30.09.1986 |
| 14. მარიო გასპარი | 24.11.1990 |
| 15. ხოსე კატალა | 01.01.1985 |
| 27. მანუ (პორტუგალია) | 09.04.1987 |
| 28. დორიან დერვიტი (საფრანგეთი) | 25.07.1988 |
| 30. ტომას კარლოსი | 18.05.1988 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 8. ჯონათან დე გუზმანი (ჰოლანდია) | 13.09.1987 |
| 10. რუბენ კანი | 03.08.1981 |
| 11. ერნან პერესი (პარაგვაი) | 25.02.1989 |
| 17. ხავიერ კამუნიასი | 17.07.1980 |
| 18. ვაკასო მუბარაკი (განა) | 25.07.1990 |
| 19. მარკოს სენა | 17.07.1976 |
| 20. ბორხა ვალერო | 12.01.1985 |
| 21. ბრუნო სორიანო | 12.06.1984 |
| 26. მარკუს გულონი | 20.02.1989 |
| 32. ხორდი პაბლო | 01.01.1990 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. ნილმარი (ბრაზილია) | 14.07.1984 |
| 9. მარკო რუბენი (არგენტინა) | 26.10.1986 |
| 22. ჯუზეპე როსი (იტალია) | 01.02.1987 |
| 23. ხერარდ ბორდასი | 11.09.1981 |

### სევილია

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. ანდრეს პალოპი | 22.10.1973 |
| 13. ხავი ვარასი | 10.09.1982 |
| 29. დანი ხიმენესი | 05.03.1990 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 3. ფერნანდო ნავარო | 25.06.1982 |
| 4. მარტინ კასერესი (ურუგვაი) | 07.04.1987 |
| 5. ალექსის რუანო დელგადო | 04.08.1985 |
| 6. ემირ სპაჰიჩი (ბოსნია) | 18.08.1980 |
| 14. ჟულიენ ესკუდე (საფრანგეთი) | 17.08.1979 |
| 19. ანტონიო ლუნა | 17.03.1991 |
| 23. ანდუხარ კოკე | 26.04.1987 |
| 33. სამუ დე ლოს რეისი | 15.02.1992 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 7. ხესუს ნავასი | 21.11.1985 |
| 8. გარი მედელი (ჩილე) | 03.08.1987 |
| 10. დიეგო პეროტი (არგენტინა) | 26.07.1988 |
| 11. ივან რაკიტიჩი (ხორვატია) | 10.03.1988 |
| 15. პიოტრ ტროხოვსკი (გერმანია) | 22.03.1984 |
| 16. ხოსე კამპანია | 31.05.1993 |
| 17. ტიბერიუ გუარენტე (იტალია) | 01.11.1985 |
| 18. ემილიანო არმენტეროსი (არგენტინა) | 18.01.1986 |
| 24. ტომ დე მული (ბელგია) | 04.03.1986 |
| 27. სალვა რივასი | 01.08.1990 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 9. ალვარო ნეგრედო | 20.08.1985 |
| 12. ფრედერიკ კანუტე (მალი) | 02.09.1977 |
| 20. მანუ დელ მორალი | 25.02.1984 |
| 26. ლუის ალბერტო | 28.09.1992 |

### ათლეტიკი (ბილბაო)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. გორკა ირაისოსი | 06.03.1981 |
| 13. რაული | 13.03.1988 |
| 30. აიტორი | 03.05.1991 |
| 33. კეპა არიზაბალაგა | 03.10.1994 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 3. იონ აურტენეჩე | 03.01.1992 |
| 5. ფერნანდო ამორებიეტა | 29.03.1985 |
| 6. მიკელ სან ხოსე | 30.05.1989 |
| 12. კოიკილი დელ კამპო | 23.12.1980 |
| 15. ანდონი ირაოლა | 22.06.1982 |
| 16. იბან ზუბიაურე | 22.01.1983 |
| 20. აიტორ ოსიო | 28.11.1976 |
| 22. ჩაბი კასტილიო | 29.03.1986 |
| 23. ბორხა ეკიზა | 06.03.1988 |
| 31. იონას რამალიო | 10.06.1993 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 7. დავიდ ლოპესი | 10.09.1982 |
| 8. ანდერ იტურასპე | 08.03.1989 |
| 10. ოსკარ დე მარკოსი | 14.04.1989 |
| 11. იგორ გაბილონდო | 10.02.1979 |
| 14. მარკელ სუსაეტა | 14.12.1987 |
| 18. კარლოს გურპეგი | 19.08.1980 |
| 21. ანდერ ერერა | 14.08.1989 |
| 24. ხავი მარტინესი | 02.09.1988 |
| 26. იგორ მარტინესი | 19.07.1989 |
| 29. ენრიკ საბორიტი | 27.04.1992 |
| 32. რუიზ დე გალარეტა | 06.08.1993 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 2. გაისკა ტოკერო | 09.08.1984 |
| 9. ფერნანდო ლორენტე | 26.02.1985 |
| 19. იკერ მუნიაინი | 19.12.1992 |
| 27. გილერმო | 23.05.1993 |
| 28. იბაი გომეს პერესი | 11.11.1989 |

### ათლეტიკო (მადრიდი)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. ხოელ რობლესი | 17.06.1990 |
| 13. ტიბო კურტუა (ბელგია) | 11.05.1992 |
| 25. სერხიო ასენხო | 28.06.1989 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. დიეგო გოდინი (ურუგვაი) | 16.02.1986 |
| 3. ანტონიო ლოპესი | 13.09.1981 |
| 6. ფელიპე ლუიშ კასმირსკი (ბრაზ.) | 09.08.1985 |
| 17. სილვიო მანუელ აზევედო (პორტ.) | 28.09.1987 |
| 18. ალვარო დომინგესი | 15.05.1989 |
| 21. ლუის პერეა (კოლუმბია) | 30.01.1979 |
| 24. ჟოაო მირანდა (ბრაზილია) | 07.09.1984 |
| 26. ხორხე პულიდო | 08.04.1991 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 4. მარიო სუარესი | 24.02.1987 |
| 5. ტიაგო მენდეში (პორტუგალია) | 02.05.1981 |
| 8. ედუარდო სალვიო (არგენტინა) | 13.07.1990 |
| 11. არდა თურანი (თურქეთი) | 30.01.1987 |
| 12. პაულო ასუნსაო (ბრაზილია) | 25.01.1980 |
| 14. გაბი ფერნანდესი | 10.07.1983 |
| 20. ხუანფრან ტორესი | 09.01.1985 |
| 23. ხორხე მელოდიო კოკე | 08.01.1992 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. ადრიან ლოპესი | 08.01.1988 |
| 9. რადამელ ფალკაო (კოლუმბია) | 10.02.1986 |
| 10. ხოსე ანტონიო რეიესი | 01.09.1983 |
| 29. ბორხა გონსალესი | 25.08.1992 |
| 22. დიეგო კოშტა (ბრაზილია) | 07.10.1988 |
| 15. პიცი (პორტუგალია) | 06.10.1989 |

### ესპანიოლი (ბარსელონა)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. კარლოს იდრის კამენი (კამერუნი) | 18.02.1984 |
| 13. ფრანსისკო კიკო კასილია | 02.10.1986 |
| 25. კრისტიან ალვარესი (არგენტინა) | 13.11.1985 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. ფელიპე მატიონი (ბრაზილია) | 15.10.1988 |
| 3. რაულ როდრიგესი | 22.09.1987 |
| 5. ხორდი ამატი | 21.03.1992 |
| 14. ერნესტო გალანი | 17.06.1986 |
| 15. ექტორ მორენო (მექსიკა) | 17.01.1988 |
| 18. ხუან ფორლინი (ურუგვაი) | 10.01.1988 |
| 22. დიდაკ ვილა | 09.06.1989 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 4. ხავი მარკესი | 11.05.1986 |
| 7. რაულ ბაენა | 02.03.1989 |
| 10. იოან ვერდიუ | 05.05.1983 |
| 11. კოფი ნდრი რომარიკი (კოტდივ.) | 04.03.1983 |
| 16. ხავი ლოპესი | 21.01.1986 |
| 23. ხესუს დატოლო (არგენტინა) | 19.05.1984 |
| 24. ხუან ალბინი (ურუგვაი) | 17.07.1986 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 6. რუი ფონტე (პორტუგალია) | 23.04.1990 |
| 8. ალვარო ვასკესი | 27.04.1991 |
| 9. სერხიო გარსია | 09.06.1983 |
| 20. ვალტერ პანდიანი (ურუგვაი) | 27.04.1976 |

### ოსასუნა (პამპლონა)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. რიკარდო ლოპეს ფელიპე | 30.12.1971 |
| 13. ასიერ რიესგო | 06.10.1983 |
| ანდრეს ფერნანდესი | 17.12.1986 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. მარკ ბერტრანი | 22.05.1982 |
| 3. იუკა რაიტალა (ფინეთი) | 15.09.1988 |
| 4. მიგელ ფლანიო | 19.08.1984 |
| 5. მანუელ ლოლო | 22.08.1984 |
| 12. იონ ეჩაიდე | 05.01.1988 |
| 15. როვერსიო როდრიგესი (ბრაზ.) | 17.01.1984 |
| 20. რუბენ გონსალესი | 29.01.1982 |
| 23. სერხიო გონსალესი | 23.05.1977 |
| 24. დამია პერესი | 15.04.1982 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 6. ჯავად ნეკუნამი (ირანი) | 07.09.1980 |
| 8. მასუდ შოჯაეი (ირანი) | 09.06.1984 |
| 10. პაჩი პუნიალი | 06.09.1975 |
| 14. რაულ გარსია | 11.07.1986 |
| 16. ალვარო სეხუდო | 29.01.1984 |
| 18. ხავიერ ანუნზიატა | 31.08.1987 |
| 19. ხავიერ კალეხა | 12.05.1978 |
| 21. როლან ლამა (ბელგია) | 31.12.1987 |
| 22. დავიდ ტიმორი | 17.10.1989 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. ხუან ფრანსისკო ნინო | 10.06.1980 |
| 9. დეიან ლეკიჩი (სერბეთი) | 07.06.1985 |
| 11. იბრაჰიმა ბალდე (სენეგალი) | 01.09.1990 |
| 17. ნინო | 10.06.1980 |
| 18. კიკე სოლა | 25.02.1986 |

### მალაგა

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. რუბენი | 22.06.1984 |
| 13. ვილი კაბალიერო (არგენტინა) | 28.09.1981 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. ხესუს გამესი | 10.04.1985 |
| 3. რობსონ ველინგტონი (ბრაზილია) | 26.08.1979 |
| 4. კრის სტადსგაარდი (ნორვეგია) | 01.08.1985 |
| 5. მარტინ დემიკელისი (არგენტინა) | 20.12.1980 |
| 14. იორის მატეისენი (ჰოლანდია) | 05.04.1980 |
| 15. ნაჩო მონრეალი | 26.02.1986 |
| 21. სერხიო სანჩესი | 03.04.1986 |
| 25. ელდერ როსარიო (პორტუგალია) | 09.03.1980 |
| ხავიერ მალაგუენო (არგენტინა) | 27.10.1982 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 6. ნაჩო კამაჩო | 04.05.1990 |
| 7. ხოაკინ სანჩესი | 21.07.1981 |
| 8. ჟერემი ტულალანი (საფრანგეთი) | 10.09.1983 |
| 10. ანტონიო ბენიტეს აპონიო | 13.02.1984 |
| 12. სანტი კასორლა | 13.12.1984 |
| 16. ენცო მარესკა (იტალია) | 10.02.1980 |
| 17. სერჟიო პაულუ ბარბოზა დუდა (პორტ.) | 27.06.1980 |
| 18. ელიზეუ პერეირა (პორტუგალია) | 01.10.1983 |
| 22. ფრანსისკო სუარესი | 21.04.1992 |
| 27. ფრანსისკო პორტილიო | 13.06.1990 |
| 28. ხოსე ლუის რესიო | 11.01.1991 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 9. რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლანდია) | 01.07.1976 |
| 11. სებასტიან ფერნანდესი (ურუგვაი) | 23.05.1985 |
| 19. ჟულიო ბაპტიშტა (ბრაზილია) | 01.10.1981 |
| 20. დიეგო ბუონანოტე (არგენტინა) | 19.04.1988 |
| 23. ხოსე სალომონ რონდონი (კოლუმბია) | 28.04.1989 |
| 24. არნალდო ედინიო (პორტუგალია) | 07.07.1982 |
| 26. ხუანმი ლოპესი | 20.05.1993 |

### სპორტინგი (ხიხონი)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. ხუან პაბლო | 02.09.1978 |
| 25. ივან პიჩუ კუელიარი | 27.05.1984 |
| 27. რაულ დომინგესი | 01.11.1986 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. ალბერტო ბოტია | 27.01.1989 |
| 4. ხორხე გარსია ტორე | 18.01.1984 |
| 12. გრეგორი არმოლინი (საფრანგეთი) | 10.11.1980 |
| 14. ივან ერნანდესი | 27.02.1980 |
| 15. რობერტო კანელია | 07.02.1988 |
| 17. დამიან სუარესი (ურუგვაი) | 27.04.1988 |
| 26. პედრო ორფილა | 06.03.1988 |
| 29. ალაინი | 13.11.1989 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 5. ალბერტო რივერა | 16.02.1978 |
| 6. კარმელო ხიმენესი | 09.07.1983 |
| 7. აიოსე პერესი | 22.11.1985 |
| 8. სებასტიან ეგურენი (ურუგვაი) | 08.01.1981 |
| 11. ალბერტო ლორა | 25.03.1987 |
| 16. სერხიო ალვარესი | 23.01.1992 |
| 18. ლუის მორანი | 26.07.1987 |
| 20. მიგელ ანხელ დე ლას კუევასი | 19.06.1986 |
| 21. ნაჩო კასესი | 22.11.1987 |
| 22. რიკარდო ლეონ ბრიტო | 08.02.1983 |
| 28. ხუან მუნისი | 14.03.1992 |
| 30. ალეხანდრო ბარერა | 12.05.1991 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 9. მატე ბილიჩი (ხორვატია) | 23.10.1980 |
| 10. ნაჩო ნოვო | 26.03.1979 |
| 19. გასტონ სანგოი (არგენტინა) | 05.10.1984 |
| 23. დავიდ ბარალი | 10.05.1983 |
| 24. ოსკარ ტრეხო (არგენტინა) | 26.04.1988 |
| 31. ალეხანდრო მენენდესი | 15.07.1991 |
| 32. ფორმოსე მენდი (გვინეა-ბისაუ) | 23.03.1989 |

### რასინგი (სანტანდერი)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 13. ტონიო მარტინესი | 17.12.1979 |
| 25. მარიო ფერნანდესი | 30.04.1988 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. ხოსე პიკონი | 13.03.1988 |
| 3. კრისტიან ფერნანდესი | 15.10.1985 |
| 4. ოსმარი იბანიესი | 05.06.1988 |
| 6. დომინგო სისმა | 09.02.1982 |
| 15. ფრანსის პერეს მალია | 17.12.1981 |
| 19. მარკ ტორეხონი | 18.02.1986 |
| 33. ალვარო გონსალესი | 08.01.1990 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 7. მანუელ არანა | 03.12.1984 |
| 8. გონსალო კოლსა | 11.05.1977 |
| 11. ოსკარ სერანო | 30.09.1981 |
| 18. ედუ ბედია | 23.03.1989 |
| 21. პაპაკული დიოპი (სენეგალი) | 19.03.1986 |
| 23. ადრიან გონსალესი | 25.05.1988 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 9. კრისტიან სტუანი (ურუგვაი) | 12.12.1986 |
| 10. პედრო მუნიტისი | 19.06.1975 |
| 16. კენედი ბაკირჩიოგლუ (შვედეთი) | 02.11.1980 |
| 22. არიელ ნაუელპანი (არგენტინა) | 15.10.1987 |
| 24. ლაუტარო აკოსტა (არგენტინა) | 14.03.1988 |

### სარაგოსა

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. ანტონიო დობლასი | 05.08.1980 |
| 13. რობერტო ხიმენესი | 10.02.1986 |
| 25. ლეო ფრანკო (არგენტინა) | 20.05.1977 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. ეფრაინ ხუარესი (მექსიკა) | 22.02.1988 |
| 3. ხავიერ პარედესი | 05.07.1982 |
| 4. დავიდ მატეოსი | 22.04.1987 |
| 5. მაურიციო ლანძარო (იტალია) | 14.03.1982 |
| 6. ფერნანდო მეირა (პორტუგალია) | 05.06.1978 |
| 14. პაულო და სილვა (პარაგვაი) | 01.02.1980 |
| 21. აბრაჰამ მინერო | 22.02.1986 |
| 24. ივან ობრადოვიჩი (სერბეთი) | 25.07.1988 |
| 26. ვიქტორ ლაგუარდია | 05.11.1989 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 8. ედუ ორიოლი | 05.11.1986 |
| 11. ხუან კარლოს პერესი | 30.03.1990 |
| 17. ანხელ ლაფიტა | 07.08.1984 |
| 18. რუბენ მიკაელი (პორტუგალია) | 19.08.1986 |
| 22. ადამ პინტერი (უნგრეთი) | 12.06.1988 |
| 23. ლეონარდო პონსიო (არგენტინა) | 29.01.1982 |
| 29. კევინ ლაკრუსი | 08.04.1992 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. ბრაულიო როდრიგესი | 18.09.1985 |
| 9. ელდერ პოშტიგა (პორტუგალია) | 02.08.1982 |
| 10. ლუის გარსია | 06.02.1981 |
| 20. ფრანკო სუკულინი (არგენტინა) | 05.09.1990 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რეალ სოსიედადი (სან სებასტიანი) | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. კლაუდიო ბრავო (ჩილე) | 13.04.1983 |
| 13. ენაუტ ზუბიკარაი | 26.02.1984 |
| 30. ტონიო მარტინესი | 23.11.1986 |
| **მცველები** | |
| 2. კარლოს მარტინესი | 09.04.1986 |
| 3. მიკელ გონსალესი | 24.09.1985 |
| 15. იონ ანსოტეგი | 13.07.1982 |
| 16. ვადიმ დემიდოვი (ნორვეგია) | 10.10.1986 |
| 24. ალბერტო დე ლა ბელა | 02.12.1985 |
| 31. ლასინე კადამურო (საფრანგეთი) | 05.03.1988 |
| **ნახევარმცველები** | |
| 4. გორკა ელუსტონდო | 18.03.1987 |
| 5. მარკელ ბერგარა | 05.05.1986 |
| 6. მაკდონალდ მარიგა (კენია) | 04.04.1987 |
| 7. ანტუან გრიზმანი (საფრანგეთი) | 21.03.1991 |
| 10. ჩაბი პრიეტო | 29.08.1983 |
| 11. მიკელ არანბურუ | 18.02.1979 |
| 14. ჯეფრი სარპონგი (ჰოლანდია) | 03.08.1988 |
| 17. დავიდ ზურუტუზა | 19.07.1986 |
| 22. დანიელ ესტრადა | 03.01.1987 |
| 26. ასიერ ილარამენდი | 08.03.1990 |
| **თავდამსხმელები** | |
| 8. ხოსება ლორენტე | 24.11.1979 |
| 9. იმანოლ აგირეჩე | 24.02.1987 |
| 18. ბორხა ვიგერა | 26.03.1987 |
| 21. დიეგო იფრანი (ურუგვაი) | 08.06.1987 |
| 23. კარლოს ველა (მექსიკა) | 01.03.1989 |

| ლევანტე (ვალენსია) | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. გუსტავო მუნუა (ურუგვაი) | 27.01.1978 |
| 13. კეილორ ნავასი (კოსტა რიკა) | 15.12.1986 |
| სერხიო გარაბატო | 16.05.1989 |
| **მცველები** | |
| 3. ვიქტორიანო ნანო | 07.07.1980 |
| 5. ექტორ როდასი | 07.03.1988 |
| 15. ასიერ დელ ორნო | 19.01.1981 |
| 17. ხავი ვენტა | 13.12.1975 |
| 18. სერხიო ბალესტეროსი | 04.09.1975 |
| 22. გუსტავო კაბრალი (არგენტინა) | 14.10.1985 |
| **ნახევარმცველები** | |
| 4. ფრანსისკო ხავიერ ფარინოსი | 29.03.1978 |
| 6. მიგელ პალიარდო | 05.09.1986 |
| 7. ხოსე ხავიერ ბარკერო | 27.04.1979 |
| 8. სერხიო სორიანო | 10.11.1976 |
| 10. ვისენტე იბორა | 16.01.1988 |
| 12. ხუანფრანი | 15.07.1976 |
| 14. ხავი ტორესი | 21.11.1986 |
| 16. მარკ მატეუ | 16.06.1990 |
| 20. ხუანლუ გომეს ლოპესი | 18.05.1980 |
| ადრიან ლოისი | 12.02.1989 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. რაფა ხორდა | 11.01.1984 |
| 11. ველინგტონი (ბრაზილია) | 06.01.1993 |
| 21. რუბენ სუარესი | 19.02.1979 |
| 23. ვალდო ლოპეს როჩა | 23.04.1981 |
| 24. კარლოს არანდა | 27.07.1980 |
| 25. ნაბილ ელ ჟარი (მაროკო) | 27.08.1986 |
| ხოსე მარკო იგონი | 22.05.1991 |

| ხეტაფე (მადრიდი) | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ოსკარ უსტარი (არგენტინა) | 03.07.1986 |
| 13. ხორდი კოდინა | 27.04.1982 |
| 25. მიგელ ანხელ მოია | 02.04.1984 |
| **მცველები** | |
| 2. დანიელ კატა დიასი (არგენტინა) | 13.03.1979 |
| 3. მანე ხიმენეს ორტისი | 21.12.1981 |
| 4. ალბერტო ლოპო | 05.05.1980 |
| 5. მიკელანჯელო ალბერტაცი (იტალია) | 07.01.1991 |
| 15. რაფა ლოპესი | 09.04.1985 |
| 18. ცეპო მასისელა (ს. აფრიკა) | 05.05.1985 |
| 20. პაბლო პინტოსი (ურუგვაი) | 01.07.1987 |
| 24. მიგელ ტორესი | 28.01.1986 |
| ხუან ვალერა | 21.12.1984 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. მეჰდი ლასენი (ალჟირი) | 15.03.1984 |
| 8. ხაიმე გავილანი | 12.05.1985 |
| 10. დიეგო კასტრო | 02.07.1982 |
| 11. პაბლო სარაბია | 11.05.1992 |
| 14. მიჩელ მადერა | 09.11.1985 |
| 16. პედრო რიოსი | 12.12.1981 |
| 19. ხუან როდრიგესი | 01.04.1982 |
| 21. პედრო მოსკერა | 21.04.1988 |
| 22. ფრანსისკო კასკერო | 11.03.1976 |
| ალბერტო ესკასი | 28.02.1989 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. ნიკოლას ფლორეს მიკუ (კოლუმბია) | 19.08.1985 |
| 9. ადრიან კოლუნგა | 17.11.1984 |
| 17. დანიელ გუისა | 17.08.1980 |

| გრანადა | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ხოსე ხუან გარსია | 31.12.1979 |
| 13. რობერტო ფერნანდესი | 25.01.1979 |
| 25. ჟულიო სეზარი (ბრაზილია) | 02.09.1986 |
| 30. რაფა მარტინესი | 11.11.1986 |
| **მცველები** | |
| 2. ალან-რომეო ნიომი (საფრანგეთი) | 10.05.1988 |
| 3. ჟორჟე რიბეირო | 09.11.1981 |
| 4. ნოე პამაროლ | 14.04.1979 |
| 5. დიეგო მაინს გარსია | 29.12.1982 |
| 8. ინიგო ლოპესი | 23.07.1982 |
| 18. მანუელ ლუსენა | 18.11.1982 |
| 21. დავიდ კორტესი | 29.08.1979 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. ფრან რიკო | 03.08.1987 |
| 9. იოან მოლო (საფრანგეთი) | 18.07.1989 |
| 10. კარლუშ მარტინში (პორტუგალია) | 29.04.1982 |
| 11. დანი ბენიტესი | 07.04.1987 |
| 14. მიკელ რიკო | 01.11.1984 |
| 15. გილერმე სიკეირა (ბრაზილია) | 28.04.1986 |
| 19. ჰასან იებდა (ალჟირი) | 14.05.1984 |
| 20. ხაიმე რომერო | 31.07.1990 |
| 23. აბელ გომესი | 20.02.1982 |
| გოკუ | 01.04.1990 |
| აბდულ აზიზ ტეტე (განა) | 25.05.1990 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. ოდიონ იგჰალო (ნიგერია) | 16.06.1989 |
| 12. უკეჩუკვუ იკე (ნიგერია) | 05.01.1984 |
| 22. ალექსანდრე გეიხო (შვეიცარია) | 11.03.1982 |
| 24. ფრანკო ხარა (არგენტინა) | 15.07.1988 |
| რენსფორდ ოსეი (განა) | 05.12.1990 |
| იკეჩი ანია (შოტლანდია) | 31.01.1988 |

| მალიორკა (პალმა) | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ხუან კალატაიუდი | 21.12.1979 |
| 13. დუდუ ავატე (ისრაელი) | 17.10.1977 |
| 26. იერაი | 10.06.1992 |
| **მცველები** | |
| 2. ჯანი ზუივერლოონი (ჰოლანდია) | 30.12.1986 |
| 4. ივან რამისი | 25.10.1984 |
| 12. ხოსე ფლორეს ჩიკო | 06.03.1987 |
| 15. პაბლო კასერესი (ურუგვაი) | 22.04.1985 |
| 16. ჟოზე ნუნიეში (პორტუგალია) | 07.03.1977 |
| 21. მარტი კრესპი | 15.06.1987 |
| 22. პაბლო სენდროსი | 01.04.1987 |
| 23. კევინ გარსია მარტინესი | 08.09.1989 |
| **ნახევარმცველები** | |
| 3. ჟოაო ვიქტორი (ბრაზილია) | 07.11.1988 |
| 5. ტომას პინა | 14.10.1987 |
| 6. ფერნანდო ტისონე (არგენტინა) | 24.07.1986 |
| 7. მიშელ პერეირა (საფრანგეთი) | 08.12.1987 |
| 11. გონსალო ჩორი კასტრო (ურუგვაი) | 14.09.1984 |
| 14. აკიჰირო იენიეგა (იაპონია) | 13.06.1986 |
| 19. ხოსე ლუის მარტი | 28.04.1975 |
| 24. ალეხანდრო ალფარო | 23.11.1986 |
| 27. სერხიო ტეხერა | 28.05.1990 |
| **თავდამსხმელი** | |
| 8. ემილიო ნსუე | 30.09.1989 |
| 9. მარვინ ოგუნჯიმი (ბელგია) | 12.10.1987 |
| 10. ტომერ ჰემედი (ისრაელი) | 02.05.1987 |
| 18. ვიქტორ კასადესუსესი | 28.02.1985 |

| რაიო ვალეკანო (მადრიდი) | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. დავიდ კობენიო | 06.04.1982 |
| 13. დანი ხიმენესი | 30.07.1983 |
| 26. ხუან კარლოსი | 20.01.1988 |
| **მცველები** | |
| 2. ტიტო ტრიგუერო | 11.07.1985 |
| 3. ხოსე მანუელ კასადო | 09.081986 |
| 5. ალეხანდრო არიბასი | 01.05.1989 |
| 6. მიკელ ლაბაკა | 10.08.1980 |
| 11. პედრო ბოტელიო (ბრაზილია) | 14.12.1989 |
| 4. ხორდი ფიგუერასი | 16.05.1987 |
| 15. სუელტონ პერეირა (ბრაზილია) | 19.08.1986 |
| **ნახევარმცველები** | |
| 7. ხოსე მარია მოვილია | 08.02.1978 |
| 8. მიგელ ანხელ მიჩელი | 30.10.1975 |
| 14. ნესტორ სუსაეტა | 11.12.1984 |
| 16. რაფა გარსია | 14.01.1986 |
| 17. ხული სერდა | 09.08.1981 |
| 18. ხავი ფუეგო | 04.01.1984 |
| 20. რობერტო ტრაშორასი | 28.02.1981 |
| 22. მიჩუ პერესი | 21.03.1986 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ალბერტო პერეა | 16.05.1990 |
| 10. ფრანსისკო პიტი | 26.05.1981 |
| 25. ანდრია დელიბაშიჩი (ჩერნოგ.) | 24.04.1981 |
| 32. ლასანა ბანგურა (გვინეა) | 30.03.1992 |

| ბეტისი (სევილია) | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ინიაკი გოიტია | 02.03.1982 |
| 13. კასტო ესპინოსა | 18.06.1982 |
| 25. ფაბრისიო რამირესი | 31.12.1987 |
| **მცველები** | |
| 2. ხოსე ისიდორო გომესი | 01.08.1986 |
| 3. მარიო ალვარესი | 02.02.1982 |
| 4. ანტონიო ამაია | 31.05.1983 |
| 5. ჩეჩუ დორადო | 10.07.1982 |
| 17. ხავიერ ჩიკა | 17.05.1985 |
| 22. ნელსონი (პორტუგალია) | 10.06.1983 |
| 23. ნაჩო პერესი | 24.06.1980 |
| უსტარიცი | 16.02.1983 |
| ფერნანდო ვეგა | 03.07.1984 |
| 26. მიკი როკე | 08.07.1988 |
| 29. ხუანიტო კალაორო | 12.05.1988 |
| **ნახევარმცველები** | |
| 7. ხუანმა სანჩესი | 29.05.1981 |
| 8. ხავიერ მატილია | 01.01.1988 |
| 10. ბენატ ეჩებარია | 19.02.1987 |
| 11. ხერონიმო ფიგეროა მორო | 15.07.1982 |
| 14. სალვა სევილია | 18.03.1984 |
| 18. ირინეი სანტოსი (ბრაზილია) | 23.04.1981 |
| 20. ჯეფერსონ მონტერო (ეკვადორი) | 01.09.1989 |
| 21. ხოსე ალბერტო კანიასი | 27.05.1987 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ხონათან როდრიგესი | 12.05.1987 |
| 19. ხორხე მოლინა | 22.04.1982 |
| 24. რუბენ კასტრო | 27.06.1981 |
| 28. ესეკიელ კალვენტე | 12.01.1991 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით ნარწერა მაისურზე*

● დორტმუნდის ბორუსია



იაკუბ „კუბა" ბლაშჩიკოვსკი შესანიშნავ ფორმაშია

# გიოტცე არაა, კუბა მზადაა!

## კლოპის დილემა: ბლაშჩიკოვსკი თუ პერიშიჩი?

ბუნდესლიგის მე-4 ტურში, „ლევერკუზენთან" მიღებული წითელი ბარათის გამო, **მარიო გიოტცეს** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი, რაც იმას ნიშნავს, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" უახლოეს ორ ტურში ვერ დაეხმარება. 19 წლის შემტევი ნახევარმცველის არყოფნა კი, დორტმუნდელთათვის სერიოზული დანაკლისია, რომელსაც კომპენსირება სჭირდება. „ბორუსიას" თავკაცი **იურგენ კლოპი** დილემის წინაშე დგას: ვინ უნდა ათამაშოს მარჯვენა შემტევ ნახევარმცველად, პოლონელი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** თუ ხორვატი **ივან პერიშიჩი**?

მომზადების დონითა და ფორმით თუ ვიმსჯელებთ, კლოპმა უპირატესობა აუცილებლად ბლაშჩიკოვსკის უნდა მიანიჭოს, რადგან „კუბამ" შუა კვირაშიც დაამტკიცა, რომ შესანიშნავ ფორმაშია. გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში უსწრაფესმა ნახევარმცველმა შესანიშნავად იასპარეზა და თანაც, ანგარიშზე გოლი და საგოლე პასიც ჩაიწერა.

სამშობლოდან დორტმუნდში დაბრუნებულ ბლაშჩიკოვსკის ფეხი სტკიოდა და ოთხშაბათს არ უვარჯიშია, მაგრამ გუშინ გუნდთან ერთად მზადება განაახლა და ამბობს, შაბათს, „ჰერტასთან" სათამაშოდ მზად ვარო. თუმცა იურგენს პერიშიჩიც ჰყავს, რომელიც ასევე ფლანგის ნახევარმცველია, თუმცა ბლაშჩიკოვსკიზე გაცილებით მრავალმხრივი ფეხბურთელი გახლავთ. თუკი კუბა ტიპური გარემარბია, პერიშიჩს წინა ხაზის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში, თუკი პოლონელი მხოლოდ პასის მიმცემია, ხორვატი უფრო შეტევების დამგვირგვინებელი გახლავთ. ასე რომ, ფაქტია, კლოპი ამ კრიტერიუმებითაც იხელმძღვანელებს.

### ბენდერმა ვარჯიში დაიწყო

ამასობაში, გამოჯანმრთელდა და სავარაუდოდ „ჰერტასთან" ითამაშებს დორტმუნდელთა ახალგაზრდა საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი**, რომელიც გერმანიის ნაკრებში გამოძახებული კი იყო, მაგრამ ვერც ავსტრიასთან (6:2) და პოლონეთთან (2:2) ვერ იასპარეზა. ახლა კი ჯანზეა და **ლევან კობიაშვილის** გუნდის წინააღმდეგ თამაში შეუძლია.

**გოტფრიდ ლენცი**

● ლევერკუზენი

# კისლინგი: რა გინდათ ჩემგან?

„ლევერკუზენის" თავდამსხმელი **შტეფან კისლინგი** უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ბოლო დროს ძალიან ხშირად და თანაც მწარედ აკრიტიკებენ. კრიტიკის მთავარი მიზეზი კი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ბუნდესლიგის პირველ ოთხ ტურში მან არაერთი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

*„არა მგონია, კრიტიკა თავდამსხმელს შველოდეს, პირიქით, ეს უარესია. ვერ ვხვდები, რას მერჩიან ჟურნალისტები ან გულშემატკივრები? ბუნდესლიგაში 200-ზე მეტი მატჩი მაქვს ჩატარებული და სტატისტიკის მიხედვით, საშუალოდ სამ თამაშში ერთი გოლი გამაქვს, რაც, ჩემი აზრით, ნორმალური შედეგია. ჩემი სტილის თავდამსხმელისთვის ეს ნამდვილად არ არის ცუდი მაჩვენებელი და მიუხედავად ამისა, მაინც მაკრიტიკებენ. მინდა ყველას ვუთხრა, რომ სხვების მოსაზრებები ფეხებზე მკიდია,"* - აი, ასეთი განცხადება გააკეთა კისლინგმა „სქაისთვის" მიცემულ ინტერვიუში, „აუგსბურგთან" მეხუთე ტურის მატჩის წინ, რომელიც დღეს საღამოს უნდა გაიმართოს.

შტეფანის აზრით, თავდამსხმელის შეფასების მთავარი კრიტერიუმი გატანილი გოლების რაოდენობა არ უნდა იყოს. *„ჟურნალისტები ჩემზე წერენ ხოლმე, ისევ იბრძოლა, ბევრი ირბინა, მაგრამ გოლი კი ვერ გაიტანაო, რის გამოც ნერვები მეშლება. თუ ვიბრძოლე და ბოლომდე დავიხარჯე, ესე იგი, ცუდად არ მითამაშია. მე ასე მწამს,"* - ამბობს თავდამსხმელი, რომელსაც ბუნდესლიგის 215 მატჩში 71 გოლი აქვს გატანილი, მიმდინარე სეზონში კი ოთხ შეხვედრაში ორჯერ იხეირა.

**გოტფრიდ ლენცი**




შტეფან კისლინგი კრიტიკოსებს არ ეთანხმება

# უცხოური სპორტი

## ავტომოტოსპორტი



# უქმეების წინ

11 სექტემბერს იტალიის მონცაში ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატი განახლდება. რა თქმა უნდა, მომავალ რბოლაში „ფერარის" დიდი მხარდაჭერა გარანტირებული აქვს, თუმცა საკითხავია, დაეხმარება თუ არა ეს „სკუდერიას" „რედ ბულთან" კონკურენციაში.

GP2-ის სერია დასასრულს უახლოვდება და ჩემპიონი უკვე ცნობილია - **რომან გროსჟანი**. თუმცა ფრანგი არ უნდა მოდუნდეს, რადგან ფორმულა 1-ში დამკვიდრების პირველი მცდელობა მას არ გამოუვიდა და ახლა, „სამეფო რბოლებში" გადასვლის მეორე შანსი გაუჩნდა.

რალის მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი ავსტრალიის მტვრიან გზებზე გაიმართება. ასეთ პირობებში თავს ძალიან კარგად გრძნობს **სებასტიან ლოები**, თუმცა ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ეტაპის წინა გამარჯვებული **მიკო ჰირვონენი** გახლავთ. ისე კი, ტიტულისთვის წელს სამი პილოტი იბრძვის, ასე რომ, დარჩენილ რბოლებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

### ფორმულა 1

#### იტალიის გრანპრი

**ჩატარების ადგილი** - მონცა, იტალია
**წრის სიგრძე** - 5 793 მ
**საუკეთესო წრე** - 1:21,046 (ბარიკელო, 2004)

#### საერთო ჩათვლა

1. ფეტელი (რედ ბული) - 259 ქულა
2. უებერი (რედ ბული) - 167
3. ალონსო (ფერარი) - 157
4. ბატონი (მაკლარენი) - 119
5. ჰემილტონი (მაკლარენი) - 146
6. მასა (ფერარი) - 74
7. როსბერგი (მერსედესი) - 56
8. შუმახერი (მერსედესი) - 42

#### განრიგი

9 სექტემბერი, 12:00 - I პრაქტიკა
9 სექტემბერი, 16:00 - II პრაქტიკა
10 სექტემბერი, 13:00 - III პრაქტიკა
10 სექტემბერი, 16:00 - კვალიფიკაცია
11 სექტემბერი, 16:00 - რბოლა

### GP2

#### იტალიის გრანპრი

**ჩატარების ადგილი** - მონცა, იტალია
**წრის სიგრძე** - 5 793 მ
**შარშანდელი გამარჯვებულები** - ბერდი, ფიტორისი

#### საერთო ჩათვლა

1. გროსჟანი - 83 ქულა
2. ვან დერ გარდე - 49
3. ბიანკი - 48
4. პიკი - 42
5. ფილიპი - 40
6. ბერდი - 37

#### განრიგი

9 სექტემბერი, 17:55 - კვალიფიკაცია
10 სექტემბერი, 17:40 - I რბოლა
11 სექტემბერი, 12:35 - II რბოლა

### რალი

#### ავსტრალია

**შტაბი** - კოფს-ჰარბორი
**საფარი** - ღორღი
**სპეცმონაკვეთების რაოდენობა** - 26
**ბოლო გამარჯვებული (2009 წ)** - მიკო ჰირვონენი

#### საერთო ჩათვლა

1. ლოები (სიტროენი) - 192 ქულა
2. ოჟიე (სიტროენი) - 167
3. ჰირვონენი (ფორდი) - 156
4. ლატვალა (ფორდი) - 96
5. პ. სოლბერგი (სიტროენი) - 94
6. ოსტბერგი (ფორდი) - 56

## ჰოკეი

# კროსბი იმედიანადაა

ბოლო დროს, ძალიან ბევრი წყარო იტყობინებოდა იმის შესახებ, რომ „პიტსბურგ პინგვინზის" კაპიტნის **სიდნის კროსბის** კარიერა ტვინის შერყევის გამო საფრთხის წინაშე დადგა. ამიტომაც, კანადური ჰოკეის მთავარმა ვარსკვლავმა პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

*„ძალიან რთულია ასეთი დაზიანების შემდეგ აღდგენა, თუმცა მე თქვენზე მეტად მინდა ვიცოდე დაბრუნების ზუსტი თარიღი"*, - განაცხადა კროსბიმ.

გარდა ამისა, სიდნიმ ისიც დაამატა, რომ ხუთი იანვრიდან მოყოლებული, როცა მოთამაშემ ტვინის შერყევა მიიღო, ის ასე მხნედ არ ყოფილა. ასე რომ, კროსბი ახლა თავს გაცილებით კარგად გრძნობს და მომავალ სეზონში თამაშის იმედი აქვს.

კროსბის თან ახლდა თავისი პირადი ექიმი, რომლის განცხადებით, „პინგვინების" ლიდერი ამ მომენტისთვის 90 პროცენტით გამოჯანმრთელდა, მაგრამ კონტაქტურ ვარჯიშებზე ჯერ უფლება არ მიუღია. როგორც ექიმს მიაჩნია, ყინულზე დაბრუნების თარიღის დასახელება ჯერ ადრეა.

■ ■ ■

კარიერა დაასრულა ჰოკეის ეროვნული ლიგის ცნობილმა ვეტერანმა, 37 წლის **კორი სტილმანმა**, რომელიც „კაროლინას", „ფლორიდას", „ოტავას", „ტამპა ბეის", „სენტ ლუისისა" და „კალგარის" ღირსებას იცავდა. მან ოფიციალური განცხადება გუშინ გააკეთა.

გასულ სეზონში ფორვარდმა რეგულარულ ჩემპიონატში 65 მატჩი ჩაატარა და 39 ქულა (12+27) დააგროვა. სულ NHL-ში მის ანგარიშზე 1025 შეხვედრაში დაგროვებული 727 ქულა (278+449) მოდის.

სტილმანი 2004 და 2206 წლებში სტენლის თასის მფლობელი გახდა „ტამპა ბეისა" და „კაროლინას" შემადგენლობაში.



სიდნი კროსბი

## ველოსპორტი. ვუელტა

# კენიელი ბრიტანელის ტრიუმფი

კენიაში დაბადებულმა ბრიტანელმა ველომრბოლმა **კრის ფრუმმა** ესპანელ **ხუან ხოსე კობოსთან** დაძაბულ ბრძოლაში პირველი გამარჯვება მოიპოვა გრანდ-ტურის ეტაპებზე, თუმცა ესპანელმა შეინარჩუნა ლიდერის წითელი მაისურა.

უკვე პირველივე კილომეტრებზე სოლიდური ჯგუფი (15 ველომრბოლი) გაექცა პელოტონს. მათ შორის რამდენიმე ძლიერი ველომრბოლი იყო, მაგალითად, საერთო ჩათვლის ყოფილი ლიდერი **სილვენ შავანელი**. თუმცა ამ ჯგუფმა წუთნახევარზე შორს წასვლა ვერ მოახერხა და პელოტონი საბოლოოდ დაეწია გაქცეულებს.

მეორე კატეგორიის მთის მწვერვალთან ლიდერთა ახალი ჯგუფი შეიქმნა. შავანელისთვის მეორე ცდა წარმატებული გამოდგა და პელოტონთან უპირატესობამ უკვე სამი წუთი შეადგინა. თუმცა ამ მთამ დაწინაურებულებს ბევრი ენერგია წაართვა და თანდათან სხვაობა შემცირდა, ბოლოს კი საერთოდ გაქრა.

ფინიშამდე 20 კილომეტრით ადრე კი აქტიურობა დაიწყეს საერთო ჩათვლის ლიდერთა გუნდებმა. ამ მხრივ გამორჩეული იყო „ჯეოქსი", რომლის ველომრბოლები გენერალური კლასიფიკაციის ლიდერის - კობოს პოზიციების დაცვას ცდილობდა. სწორედ ამ გუნდის წევრი **დენის მენშოვი** გააქტიურდა და სხვა ფავორიტებიც აყვნენ მას, თუმცა ბევრმა ტემპს ვერ გაუძლო. მაგალითად, ესპანელმა **ხოაკინ როდრიგესმა** და იტალიელმა **ვინჩენცო ნიბალიმ**.

ამასობაში, სენსაციურმა კრის ფრუმმა ისეთი ტემპი აკრიფა, რომ მის შეტევას მხოლოდ ხუან ხოსე კობო გამოეხმაურა. თუმცა ფრუმის მიერ **ლენს არმსტრონგის** სტილში განხორციელებულ გაქცევას კობოც კი ვერაფერს უხერხებდა. და მაინც, ესპანელს ზედ ფინიშის წინ მეორე სუნთქვა გაეხსნა და კონტრშეტევა განახორციელა. მართალია, ეტაპი ვერ მოიგო, მაგრამ „ვუელტაზე" ლიდერობა შეინარჩუნა.

წლევანდელი ველომარათონი მართლაც უცნაურად ვითარდება. ვინ წარმოიდგენდა, რომ ფავორიტები ასე ჩავარდებოდნენ ვუელტაზე და პირველ როლებზე გუნდების მეორე და მესამე ნომრები აღმოჩნდებოდნენ. უკვე ცხადია, რომ სწორედ ისინი გაითამაშებენ ესპანური რბოლის მთავარ პრიზს.

### XVII ეტაპი

1. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - 4:52.38; 2. **ხუან ხოსე კობო** (ესპანეთი, Geox) - +0.01; 3. **ბოკ მოლემა** (ჰოლანდია, Rabobank) - +0.21; 4. **დანიელ მარტინი** (ჰოლანდია, Garmin) - +0.24; 5. **იგორ ანტონი** (ესპანეთი, Euskaltel-Suakdi) - +0.27; 6. **მიკელ ნიევე** (ესპანეთი, Euskaltel-Euskad) - იგივე დრო; 7. **მარციო ბრუზეგინი** (ესპანეთი, Movistar) - +0.29; 8. **იურგენ ვან დენ ბრეკი** (ბელგია, Omega Pharma-Lotto) - +0:31; 9. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Geox) - იგივე დრო; 10. **ბენუა ინჩაუსტი** (ესპანეთი, Movistar) - +0.35...

### საერთო ჩათვლა

1. **ხუან ხოსე კობო** (ესპანეთი, Geox) - 69:31.41; 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0.13; 3. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +1.31; 4. **ბოკ მოლემა** (ჰოლანდია, Rabobank) - +2.05; 5. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Geox) - +3.48; 6. **მაქსიმ მონფორი** (ბელგია - Leopard-Trek) - +4.13; 7. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, Liquigas) - +4.31; 8. **იურგენ ვან დენ ბრეკი** (ბელგია, Omega Pharma-Lotto) - +4.45; 9. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა") - +5.20; 10. **მიკელ ნიევე** (ესპანეთი, Euskaltel-Euskad) - +5.33...

## TV პროგრამა

### 9 სექტემბერი. პარასკევი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**11:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-შალკე.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ექსელსიორი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-ოლიმპო.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. მატჩის ისტორია.
**18:30** იტალიის შოუ.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ფიგუერენსე-სან პაულუ.
**21:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. V ტურის წინ.
**21:30** ესპანეთის ჩემპიონატი. III ტურის წინ.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. II ტურის წინ.
**22:40** იტალიის ჩემპიონატი. II ტური. მილანი-ლაციო (LIVE).
**00:45** გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. აუგსბურგი-ლევერკუზენი.

#### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-ავსტრია.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. ოკლაჰომა-დალასი.
**14:25** სპორტული ტანვარჯიში.
**17:40** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**18:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-უნიონი.
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**20:30** კალათბურთი. ევროლიგა. სუპერმატჩი. მაკაბი-კახა ლაბორალი.
**22:05** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**22:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. აუგსბურგი-ლევერკუზენი (LIVE).
**00:20** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. ოკლაჰომა-დალასი.

#### I არხი

**11:30** რაგბი. მსოფლიოს თასი. გახსნის ცერემონია. ახალი ზელანდია (LIVE).
**12:30** რაგბი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ახალი ზელანდია-ტონგა. ახალი ზელანდია (LIVE).
**21:50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. ლიტვა-საფრანგეთი. ლიტვა (LIVE).

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**22:40** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ლაციო (LIVE).

#### HTB-პლუსი (სპორტი)

**23:00** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ჰალი-უორინგტონი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ონლაინი)

**22:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აუგსბურგი-ლევერკუზენი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

**20:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. კაცები. წყვილების ფინალი. ქალები. 1/2 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).

#### HTB-პლუსი (კალათბურთი)

**16:25** ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-სერბეთი. ლიტვა (LIVE).
**18:40** ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. გერმანია-თურქეთი. ლიტვა (LIVE).
**21:55** ევროპის ჩემპიონატი. მეორე ჯგუფური ეტაპი. ლიტვა-საფრანგეთი. ლიტვა (LIVE).

#### EUROSPORT

**11:30** სნუკერი. მასტერსი. V დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**15:45** სნუკერი. მასტერსი. V დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. XIX ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ქალები. ნიუ იორკი (LIVE).

#### EUROSPORT-2

**20:30** ველოსპორტი. გრანპრი. სპრინტი. კვებეკი. კანადა (LIVE).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ესპანეთის თასი

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-ხიმნასტიკი | 6:0 |

#### გერმანია

##### რეგიონალლიგა (სამ)

| | |
|---|---|
| ზონენჰოფი-კარლსრუე A | 2:0 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| გეფლე-მალმიო | 2:0 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| სუნდსვალი-ვარნამო | 2:2 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ჰონკა-იუვიასკიულა | 2:2 |
| მიუპა-მარიეჰამნი | 0:1 |
| როვანიემი-იარო | 0:2 |
| ტურკუ-ჰიკ | 2:1 |
| ვაასა-ჰაკა | 1:2 |

### კალათბურთი

#### ევრობასკეტი

| | |
|---|---|
| ფინეთი-რუსეთი | 60:79 |
| სლოვენია-საბერძნეთი | 60:69 |

#### ამერიკა

| | |
|---|---|
| ურუგვაი-ვენესუელა | 80:92 |

### ჰოკეი

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ციურიხი-ცუგი | 5:5 დ.დ. 5:6 |

### ჩოგბურთი

#### აშშ-ის ღია

##### კაცები

| | |
|---|---|
| **ნადალი**-მიულერი | 7:6, 6:1, 6:2 |
| ფერერი-**როდიკი** | 3:6, 4:6, 6:3, 3:6 |
| **მიურეი**-იანგი | 6:2, 6:3, 6:3 |
| **ისნერი**-სიმონი | 7:6, 3:6, 7:6, 7:6 |
| ჯოკოვიჩი-ტიპსარევიჩი | გვ.დასრ. |

##### ქალები

| | |
|---|---|
| **ს. უილიამსი**-პავლიუჩენკოვა | 7:5, 6:1 |
| **სტოსური**-ზვონარევა | 6:3, 6:3 |
| **ვოზნიაცკი**-პეტკოვიჩი | 6:1, 7:6 |
| კერბერი-პენეტა | გვ.დასრ. |

## ჩოგბურთი

# მონფილსი დევისის თასზე არ იქნება

წინა ნომერში დევისის თასის ნახევარფინალისტი გუნდების შემადგენლობები გაგაცანით, თუმცა ერთ-ერთში უკვე მოხდა ცვლილება. ესპანეთთან გასვლით შეხვედრაში საფრანგეთის ნაკრებს ვერ დაეხმარება მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი **გაელ მონფილსი**. **გი ფორჟეს** გუნდის ერთ-ერთ ლიდერს მუხლის ტრავმა აწუხებს და მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს.

მონფილსის შემცვლელს უახლოეს დღეებში დაასახელებენ. ეს იქნება **ჟულიან ბენეტო** ან **მიკაელ ლოდრა**.

დევისის თასის ნახევარფინალები 16-18 სექტემბერს გაიმართება.

# ჩოგბურთი მედისონ სკვერ გარდენში

საინტერესო საჩვენებელი მატჩი დაგეგმეს მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგნებმა - ამერიკელმა **ენდი როდიკმა** და შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. ისინი ნიუ იორკის ლეგენდარულ „მედისონ სკვერ გარდენში" 2012 წლის 5 მარტს შეხვდებიან ერთმანეთს.

ეს იქნება სამსეტიანი მატჩი, რომელიც ინდიან უელსის მასტერსის ეგიდით გაიმართება. იმავე დღეს ერთმანეთს შეხვდებიან რუსი **მარია შარაპოვა** და დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**.

ფედერერი და როდიკი კარიერაში 22-ჯერ შეხვდრიან ერთმანეთს, მათ შორის ოთხჯერ „დიდი სლემის" ტურნირების ფინალში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ასი 2011

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| გუნდი | C ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | | | | | | | | | | | |
| ირლანდია | | | | | | | | | | | |
| იტალია | | | | | | | | | | | |
| რუსეთი | | | | | | | | | | | |
| აშშ | | | | | | | | | | | |

| გუნდი | D ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ | ად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | | | | | | | | | | | |
| უელსი | | | | | | | | | | | |
| ფიჯი | | | | | | | | | | | |
| სამოა | | | | | | | | | | | |
| ნამიბია | | | | | | | | | | | |

**C ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 11.09. | ავსტრალია-იტალია | 07.30 |
| 11.09. | ირლანდია-აშშ | 10.00 |
| 15.09. | რუსეთი-აშშ | 11.30 |
| 17.09. | ავსტრალია-ირლანდია | 12.30 |
| 20.09. | იტალია-რუსეთი | 11.30 |
| 23.09. | ავსტრალია-აშშ | 12.30 |
| 25.09. | ირლანდია-რუსეთი | 09.00 |
| 27.09. | იტალია-აშშ | 10.30 |
| 01.10. | ავსტრალია-რუსეთი | 06.30 |
| 02.10. | ირლანდია-იტალია | 11.30 |

**D ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 10.09. | ფიჯი-ნამიბია | 07.30 |
| 11.09. | სამ.აფრიკა-უელსი | 12.30 |
| 14.09. | სამოა-ნამიბია | 06.30 |
| 17.09. | სამ.აფრიკა-ფიჯი | 10.00 |
| 18.09. | უელსი-სამოა | 07.30 |
| 22.09. | სამ.აფრიკა-ნამიბია | 12.00 |
| 25.09. | ფიჯი-სამოა | 06.30 |
| 26.09. | უელსი-ნამიბია | 10.30 |
| 30.09. | სამ.აფრიკა-სამოა | 11.30 |
| 02.10. | უელსი-ფიჯი | 09.00 |

## ფინალი

09.10

D1- C2
A1-B2

## მესამე ადგილისთვის

21.10 11.30

## ლი

12.00



ოკარა პარკი



როტორუა



ტრაფალგარ პარკი



ვაიკატო



ვესტ სპეისი



იაროუ სთედიუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა



# ვარსკვლავების ბუნტი

ზედიზედ ორი დღეა ამერიკის ღია პირველობაზე ერთი მატჩიც არ ჩატარებულა. ორგანიზატორების ყველანაირი გრაფიკი და გეგმა წვიმამ დაამსხვრია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტურნირზე ცხოვრება მოკვდა. პირიქით, იმ ჩოგბურთელებმა, რომლებიც ორი დღეა ელოდებიან კორტზე გასვლას, პატარა ბუნტი მოაწყვეს, პარალელურად, ბოლო არ უჩანს მოთამაშეების, მაყურებლისა და ჟურნალისტების შეკითხვებს, რომელიც უამინდობით არის გამოწვეული.

USTA - ამერიკის საჩოგბურთო ასოციაცია, რომლის მფლობელობაშია აშშ-ის ღია ჩემპიონატი, პირველად მრავალი წლის განმავლობაში ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა მაყურებლების, ტელეკომპანიებისა და სპონსორების წინაშე, რომლებიც ტურნირის ფინანსურ საფუძველს წარმოადგენენ. თავის მხრივ, თავად აშშ-ის ღია იმ თანხის მოზიდვის საშუალებაა, რომელიც ამერიკული ჩოგბურთის განვითარებას ხმარდება. ორი კვირის განმავლობაში ტურნირზე მილიარდ ნახევარი დოლარი „ტრიალებს“!

სავარაუდოდ, სწორედ ნერვულმა დაძაბულობამ აიძულა ჩემპიონატის ორგანიზატორები რისკიანი ნაბიჯი გადაედგათ: მიუხედავად იმისა, რომ ამინდის პროგნოზი ისევ არასახარბიელო იყო, სამშაბათს დაკარგული დროის ასანაზღაურებლად, მათ წვიმიან ამინდში გამოჩენილი პატარა „ფანჯრის“ გამოყენება სცადეს და ჩოგბურთელები კორტზე გაუშვეს. შედეგად კი ის მიიღეს, რომ ჩოგბურთელებმა სახიფათოდ სველ კორტებზე მხოლოდ 15-20 წუთი ითამაშეს და მოედნები ისევ დაიხურა.

სულ სამი თამაში დაიწყო - მამაკაცების სამი მერვედფინალი: **ნადალი-მიულერი, მიურეი-იანგი** და **ფერერი-როდიკი**. შეხვედრები მაშინ შეაჩერეს, როცა მიულერი 3:0-ს იგებდა, როდიკი 3:1-ს ამარცხებდა ფერერს, ხოლო მიურეი 2:1-ს იანგს.

ნადალმა, როდიკმა და მიურეიმ პირდაპირ მიმართეს ორგანიზატორებს მოთხოვნით - გაეთვალისწინებინათ ამინდის პროგნოზები და არ დაეშვათ ჩოგბურთელთა ჯანმრთელობის რისკი. მათ **ნოვაკ ჯოკოვიჩმაც** დაუჭირა მხარი.

*„ჩვენ არ გვინდა კორტზე გასვლა წვიმის დროს. ვფიქრობ, ეს არასამართლიანია. ჩოგბურთელები აბსოლუტურად დაუცველები არიან. „დიდი სლემის“ ჩემპიონატებზე დიდ ფულს შოულობენ, მაგრამ ამ შოუს ნაწილი ჩვენ - ჩოგბურთელებიც ვართ. ორგანიზატორები კი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და მოთამაშეები არ აინტერესებთ.*

*როცა კორტზე დაგვიძახეს, მცირე წვიმა მოდიოდა. ყველა კორტი სველი იყო. მესმის, რომ გულშემატკივრები ჩოგბურთის სანახავად მოვიდნენ, მაგრამ მოთამაშის ჯანმრთელობის მდგომარეობასაც უნდა ჰქონდეს რაღაც მნიშვნელობა“*, - განაცხადა ნადალმა.

*„კარგად მესმის, რომ ყველას უნდა ტელევიზორში პირდაპირი რეპორტაჟის ნახვა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს სპორტია და არა ბიზნესი. აქ ყველა საკუთარ ინტერესს იცავს, ამიტომაც ორგანიზატორებს უბრალოდ სურთ მიიღონ მზა პროდუქტი ჩვენს ხარჯზე“*, - ეს როდიკის სიტყვებია.

*„ეს არის „დიდი სლემის“ ტურნირი, რომელსაც უდიდესი მოგება მოაქვს. იქნებ, ორგანიზატორებმა მომავლისთვის გაითვალისწინონ მოძრავი სახურავის აშენება?!*

*მეც ვყოფილვარ ასეთ სიტუაციაში და სრულად ვეთანხმები კოლეგების განცხადებებს. პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდნენ სპორტსმენის ჯანმრთელობას. კარგად ვიცით ჩოგბურთის საქმიანი მხარის შესახებ. თავადაც გვინდა თამაში, მაგრამ მოთამაშეთა ჯანმრთელობა მთავარი უნდა იყოს“*, - ნადალისა და სხვების მხარე დაიჭირა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა.

საბოლოოდ, ჩოგბურთელთა პრეტენზიები შეისმინეს და 17 საათისთვის მამაკაცთა მატჩები გააუქმეს, თუმცა ამით პრობლემას არ ეშველა.

■ ■ ■

ამის შემდეგ გამწარებულმა და ანერვიულებულმა ორგანიზატორებმა ქალთა მეოთხედფინალების გადარჩენა სცადეს. ეს მატჩები საღამოს სესიაში გადაიტანეს და როგორც კი წვიმა შეწყდა, კორტის მომსახურე პერსონალმა სუპერთანამედროვე ტექნიკით მოედნების გაშრობა დაიწყო. სულ რაღაც ნახევარ საათში კორტები მზად იყო.

და, როგორც კი **არტურ ეშის** სახელობის კორტზე გამოჩდნენ **ანასტასია პავლიუჩენკოვა** და **სერენა უილიამსი** და მაყურებლებმა ტრიბუნების შევსება დაიწყეს, მაშინვე განახლდა წვიმა. საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ იმ დღეს არც ერთი მატჩი აღარ ჩატარდებოდა. ათი წუთის შემდეგ სათამაშო დღე დასრულებულად გამოცხადდა.

ორი დღის განმავლობაში დაზარალდა მაყურებელი, რომელმაც ბილეთებში გადახდილი საფასურის სანაცვლოდ სანახაობა ვერ იხილა, არადა, ბევრი ნიუ იორკში შორიდან ჩავიდა და **ბილი ჯინ კინგის** სახელობის ეროვნული საჩოგბურთო ცენტრის სველ ტერიტორიაზე სეირნობამ მოუწია. თუმცა პირველი საათების შემდეგ, როცა საბოლოო პროგნოზი გახდა ცნობილი, მაყურებელთა უმრავლესობა შინ გაემგზავრა.

ჟურნალისტებსაც გაუჭირდათ: ჩემპიონატის ინტრიგა „გაიყინა“, მოთამაშეებმა სატურნირო რიტმის დაკარგვის შიშით დარბაზში ვარჯიში დაიწყეს, ასე რომ, საწერი და საკომენტარო არც არაფერი იყო.

როგორია პერსპექტივები? ენდი მიურეიმ განაცხადა, რომ გრაფიკი შეიძლება დალაგდეს იმ შემთხვევაში, თუ ფინალს ორშაბათისთვის გადაიტანენ, როგორც ეს ბოლო სამი წლის განმავლობაში ხდებოდა. შესაძლოა, ბრიტანელი მართალია, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ პროგნოზი შემდეგი დღისთვისაც არადამაიმედებელია: ამერიკელი მეტეოროლოგები 60-პროცენტიანი ალბათობით ვარაუდობენ წვიმას. მხოლოდ პარასკევისთვის ელოდებიან მშრალ, თუმცა მოღრუბლულ ამინდს. ამიტომაც გამორიცხული არ არის, რომ მატჩების ნაწილის ჩატარება დარბაზში გახდეს საჭირო. ამას შეეწირება მაყურებელთა რაოდენობა და შესაბამისად, ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული თანხა, აგრეთვე ტელეტრანსლაციების ხარისხი.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, შექმნილ სიტუაციას გამოეხმაურა ამერიკის ღია პირველობის დირექტორი **ჯიმ ქიორლი**. მან წამყვანი მოთამაშეების კრიტიკასაც უპასუხა.

*„ჯერჯერობით, ჩვენ კვლავინდებურად დაგეგმილი გვაქვს ტურნირის კვირას დასრულება. ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩოგბურთელები - ნამდვილი ათლეტები არიან და ფიზიკური მომზადება არ აკლიათ.*

*დღის 12 საათისთვის შემდეგი ინფორმაცია გვქონდა: შეხვედრების ჩატარების ერთადერთი შანსი იყო ორსაათიანი ფანჯარა, რომლის დროსაც წვიმა არ უნდა წამოსულიყო. სამწუხაროდ, მცირე წვიმა და ნისლი მეტეომონიტორებზე არ ფიქსირდება. ჩვენ გვყავს ძალიან გამოცდილი მსაჯები, რომლებიც გადაწყვეტენ - არის თუ არა მოედანი მზად ჩოგბურთელების მისაღებად. პირობები იდეალური არ იყო, მაგრამ სავსებით უხიფათო გახლდათ.*

*მიუხედავად ამისა, თუ მოთამაშეებს საკუთარი უსაფრთხოების შესახებ განსხვავებული აზრი აქვთ, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მათ მოვუსმინოთ. რეფერი ჩოგბურთელთა აზრსაც ითვალისწინებს, როცა მატჩის გაგრძელების შესახებ იღებს გადაწყვეტილებას.*

*ეჭვგარეშეა, მეც დიდი სურვილი მაქვს ცენტრალურ კორტს მოძრავი სახურავი ჰქონდეს. როცა გასული საუკუნის 90-იან წლებში არტურ ეშის სახელობის სტადიონის პროექტს ამტკიცებდნენ, სახურავი მისი დიდი ღირებულების გამო გათვალისწინებული არ იყო. მოძრავი სახურავის ასაშენებლად 200 მილიონი დოლარი იქნება საჭირო“*, - იმ დღის ყველა კითხვას უპასუხა ქიორლიმ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კრივი

# ოქროს ბიჭის აღიარება

აქ წარმოდგენილ ფოტოს ყველა იცნობს. ეს არის ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე **ოსკარ დე ლა ჰოია**, რომელიც ქალის თეთრეულშია გამოწყობილი.

ნიუიორკელი სტრიპტიზიორი **მილანა დრონუელი** ამ ფოტოთი დიდი ხანი აშანტაჟებდა ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს და ბოლოს მუქარა აასრულა - სურათი ინტერნეტში განათავსა. დე ლა ჰოია კი სახალხოდ ამტკიცებდა, რომ ეს ფოტო ყალბია და ის, როგორც კომპრომატი, კომპიუტერული ტექნოლოგიებით არის შექმნილი. საქმე იქამდე მივიდა, რომ კონფლიქტის ორივე მონაწილემ სასამართლოს მიმართა.

მილანა იმდენად დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში, რომ არც კი დათანახმდა ოსკარის მხრიდან დათმობებს. როგორც ჩანს, იმ ღამით ის თავად იყო ფოტოგრაფის როლში. უცნობია, ბოლოს და ბოლოს, რა თანხაზე შეთანხმდნენ მოკრივე და სტრიპტიზიორი, მაგრამ ცნობილია, რომ ოსკარი ჯერ კიდევ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე სთავაზობდა 20 მილიონს იმის აღიარებისთვის, რომ ფოტო ყალბი იყო.

საბოლოოდ, ყოფილმა ჩემპიონმა ამ დღეებში აღიარა, რომ ის სკანდალური ფოტო, რომელიც რამდენიმე წლის წინ გაჩნდა ინტერნეტში, ყალბი არ არის. *„დავილალე ამდენი ტყუილით. მოვიდა აღიარების დრო - ფოტოზე მე ვარ გამოსახული“*, - განაცხადა ოსკარმა და დაამატა, რომ ფოტო მაშინ არის გადაღებული, როცა ის ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო.



ეს ნამდვილად დე ლა ჰოიაა

# მენი პაკიაოს გუბერნატორობა ურჩევნია

ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, თანამედროვე პროფესიული კრივის მთავარმა ვარსკვლავმა **მენი პაკიაომ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 2013 წელს ფილიპინებში სარანგანის პროვინციის გუბერნატორის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს, ამიტომაც პოლიტიკაში მოღვაწეობისა და კრივის შეთავსება უფრო გაუჭირდება, ვიდრე ეს დღეს ხდება. შეგახსენებთ, რომ 32 წლის პაკიაო ამ პროვინციიდან არის არჩეული კონგრესმენად და ეს სამუშაო მას ბევრ დროს არართმევს.

*„დღეს ყველაფერი კარგად არის, რადგან კონგრესში მუშაობა არც ისე რთულია,* - ამბობს პაკიაო. - *მაგრამ, თუ მომავალში აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოვხვდი, მაშინ გამიჭირდება მოკრივის კარიერის გაგრძელება, რადგან გუბერნატორის პოსტზე პრაქტიკულად 24-საათიანი სამუშაო გრაფიკი მექნება. დიდი დროის გატარება მომიწევს ოფისში. სავარაუდოდ, 2013 წელს გუბერნატორის არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას და ეს შეაფერხებს ჩემს სპორტულ კარიერას“.*

პაკიაო ამჟამად ნიუ იორკში იმყოფებოდა, სადაც **ხუან მანუელ მარკესთან** 12 ნოემბრისთვის დანიშნული მატჩის რეკლამირებით არის დაკავებული. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ფილიპინელმა კომენტარი გაუკეთა ხუთ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან **ფლოიდ მეივეზერთან** ბრძოლის პერსპექტივას. ამ ბრძოლასთან დაკავშირებით ორჯერ ჩატარდა მოლაპარაკება და ორივე უშედეგოდ დასრულდა. პაკიაოს გუნდი უარს ამბობდა მეივეზერის შეთავაზებაზე - ოლიმპიური სისტემით გაევლოთ დოპინგ-ტესტი.

პრესკონფერენციის დროს პაკიაომ პირადად განაცხადა, რომ ახლა ეს საკითხი მოგვარებულია და დოპინგ-ტესტი არ იქნება ამ ბრძოლის გამართვის შემაფერხებელი ფაქტორი.

მეივეზერი სულ მალე ჩაატარებს თავის მორიგ ბრძოლას - ის 17 სექტემბერს ეჩხუბება ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონს **ვიქტორ ორტისს**. პაკიაო კი, როგორც გითხარით, 12 ნოემბერს კარიერაში მესამედ შეხვდება მარკესს.

*„მეივეზერთან ჩხუბის შანსი არსებობს,* - განაცხადა პაკიაომ. - *მან აირჩია მეტოქე, რომელიც ცაციაა. ვფიქრობ, ის მომავალ წელს ჩემთან ბრძოლისთვის ემზადება. რაც შეეხება დოპინგ-ტესტს, ამ მხრივ პრობლემა აღარ არსებობს. ეს საკითხი მოგვარებულია. ერთადერთი, რაზეც უნდა მოვილაპარაკოთ - ბრძოლიდან შემოსული მოგების გადანაწილებაა“.*



პაკიაო და მარკესი